



საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
BULLETIN DU MUSÉE DE GÉORGIE

ცალკე ამონაბეჭდი

Extrait

დოკ. გ. 601რაძე

ზემოავტოლის სამარე



გვარი 1931 წლის იანვრის 10-ს

ტფილისი

—  
1931

F 10 839

3

K 2 370

3



බ. ම. ජු. ස ඩොලිගරාජුත්රේස්ට්‍රිස 1-

උන්දාගා—50 ප්‍රාලි. ජ්‍යෙෂ්ඨ. № 898.

## შ 0 6 1 1 რ ს ი

	გვერდი
ს აღმოჩენა და მისი ინვენტარი . . . . .	139
მართვა . . . . .	144
სასახლის მუზეუმის მომსახურება . . . . .	146
150	150
ა. რატომ არხავდენ მჯდომარე პოსითი? . . . . .	159
6. თვეის ქაღა . . . . .	161
a) თვეის ქაღლის ზომები . . . . .	163
b) ცფორმაცია . . . . .	168
c) ტრეპანაცია . . . . .	170
d) ჭალები . . . . .	173
e) იავის ქაღლის წონა . . . . .	174
7. ზემოავტოლის ადამიანის სიმაღლე . . . . .	174
8. რა სქესის იყო ზემოავტალის ადამიანი? . . . . .	175
9. როგორი თავის ქაღლები იყო აღმოჩენილი ზემოავტალის მახლობლად? . . . . .	177
10. რომელ ადამიანთა ვარიეტეტს ეკუთვნოდა ზემოავტალის ადამიანი . . . . .	177
11. გვხვდება ოუ არა საომარი იარაღით დამარტული ქაღლების ჩონჩჩი . . . . .	179
12. ბრინჯაოს ნივთები . . . . .	180
A. მახვილი . . . . .	180
a) როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჩენი მახვილის წარმოშობა? . . . . .	194
b) ტიპოლოგიისათვის . . . . .	195
c) ქრონოლოგიისათვის . . . . .	198
d) სად არის ნაპონი ზემოავტალის მახვილის ტიპის მახვილები . . . . .	203
e) ზემოავტალის და ქედაბეჭის მახვილები . . . . .	205
B. სამაჯურები . . . . .	209
ბეჭდები . . . . .	210
მახათი . . . . .	210
ღილები . . . . .	210
F. ფირფიტა . . . . .	210
G. ლურსმნები . . . . .	210
13. რენის ნივთები . . . . .	210
A. შუბის თავი . . . . .	210
B. ხანჯალი . . . . .	211
14. თიხის მურჭელი . . . . .	211

A. ფიალი . . . . .	212
B. ჯამი . . . . .	213
C. დოქტორი . . . . .	213
D. ორყურა კოჭობი . . . . .	2 3
E. მუცელვიშრო კოჭობი . . . . .	2
F. შავი ფერის კერამიკა . . . . .	215
15. სარდოლიკის ანუ კარნელის მძივები . . . . .	215
16. „შუშის“ მძივები . . . . .	218
17. Zusammenfassung und Ergebnisse . . . . .	219
18. სახელების, ნივთების და ადგილების მაჩვენებელი . . . . .	220
	229

## მაჩვენებელი

### სურათების და ფაზულების

#### A) სურათები

1. ზემოავჭალის ბავშთა ახალშენის მიღამოს გეგმა . . . . .	გვერდი 140
2. ზემოავჭალის სამარის მიღამოს განაკვეთი . . . . .	141
3. ზემოავჭალის სამარე პრეპარაციის შემდეგ . . . . .	142
4. ბრინჯაოს ლურსმნები და ფირფიტა . . . . .	143
5. ხელის თოობის ფალანგები და მათზე წამოცმული ბეჭდები . . . . .	144
6. რკინის შუბი და მის ქვეშ ცხენის ქვემო ყბა კბილებით . . . . .	144
7. ბრინჯაოს ღილები . . . . .	145
8. სარდოლიკის მძივები . . . . .	145
9. კვარცის მძივი . . . . .	146
10. შუშის მაგვარი მძივები . . . . .	146
11. მოცისფრო შუშის მაგვარი მძივები . . . . .	147
12. სქემა ჩონჩხის რეკონსტრუქციისათვის . . . . .	148
13. მიცვალებულის მდებარეობის რეკონსტრუქცია დასაფლავების დროს და სამარის ზოგიერთი ინვენტარის მდებარეობა პრეპარაციის შემდეგ . . . . .	148
14. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა. Norma lateralis . . . . .	171
15. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა. Norma lateralis . . . . .	180
16. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა Norma frontalis . . . . .	181
17. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა. Norma verticalis . . . . .	182
18. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა . . . . .	183
19. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა. Norma basilaris . . . . .	183
20. ზემოავჭალის სამარის მახვილი . . . . .	183
21. ზემოავჭალის და ქედაბეჭის მახვილის პირის ჭრილის მოხაზულობა . . . . .	183
22. ზემოავჭალის მახვილი . . . . .	183
23. ზემოავჭალის მახვილის ტიპის მახვილის ბოლო . . . . .	183



დოც. გ. ნიორაძე.

## ზემოავჭალის სამართლის სამართლი.

სამართლის აღმოჩენა და მისი ინვენტარი.


1927 წლის დეკემბერში საქართველოს მუნიციპალიტეტი მოქ. ბიქტორ შელქაძემ განაცხადა, ზემოავჭალიში (12 km ტფილისიდან) ბავშთა ახალშენის მიდამოში, მიწის გადაბრუნების დროს, მუშები პოულობენ ადამიანის ძვლებს, თიხის ჭურჭლის და ბრინჯაოს ნამტვრევებს.

მუნიციპალიტეტით მაშინვე გავემგზავრე ნახსენები ადგილის დასაზღვრავად. მისვლისთანავე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მუშებს სასაფლაოს უმეტესი ნაწილი გადაებრუნებიათ, რასაც მოწმობდა მიწის ზემო პირზე განხეული აუარებელი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები და ადამიანის ძვლები. ცხადი იყო აგრეთვე, რომ სასაფლაო ღრმად არ იყო მიწაში, ვინაიდან მიწის გადამრუნება ხდებოდა 55 cm სიღრმეზე. მიწის გადაბრუნებამდე სასაფლაო არა ერთხელ ყოფილა დაზიანებული, რაღაც ეს ადგილი დიდი ხნის განხავლობაში სახნავ მიწად იყო გამოყენებული.

გადაბრუნებულ მიწაზე მე შევუდექი სანიმუშო ორმოების ამოღებას. ერთს მათგანში, რომელიც ბავშთა ახალშენის მთავარ შენობას დასავლეთის მიმართულებით 140 m მანძილზე იყო დაშორებული (სურ. 1), 65 cm სიღრმეზე, ახალი ალუვიონის ეგრეთწოდებულ ლიოსის მაგვარ დანალექ მეოთხეულის ფორმაციის ფენში (სურ. 2 c), გამოჩნდა გატეხილი დოქის ნაპირები (სურ. 3 A).


როგორც შემდეგში გამოირკვა, ამ ახალ ალუვიონს ქვეშ (სურ. 2 c) მისდევდა ხვინჭკა-რიყის ქვის ფენი--ძველი ალუვიონი<sup>1</sup> (სურ. 2 b), რომელიც უთანხმოდ ზედ ედო ლლიგოცენის დანაჭებულ ქვიშა-ქვას (სურ. 2 a). უნდა ვითიქროთ, რომ ახალი ალუვიონის

<sup>1)</sup> მტკვრის ყოფილი ტერასი.



სურ. 1. ზემოავჭალის ბავშთა ახალშენის მიღამოს გეგმა. ვარსკვლავით აღნიშნულია სამარის ადგილმდებარეობა; а—ახალშენის მთავარი შენობა. პორიზონტულები მოცემულია მეტრებში.

შიწა არის იქვე მახლობელი გორაკებიდან ნაკადების მიერ ჩამო-  
რეცხილი.



სურ. 2. a—ოლიგოცენის ქვიშა-ქვა, b—მეოთხეულის ნარიყალი (ძველი ალუვიონი) და c—თანამედროვე ფორმაციის ლილისებური ნალექი (ახალი ალუვიონი).

ეტყობოდა, რომ მიწის ბრუნების დროს გატეხილმა დოქმა არ  
მიიქცია მუშების ყურადღება და მით განადგურებას გადარჩა მის  
გასწვრივ და ქვემოთ მდებარე ნივთები. არც მუშებს მოუსურვებიათ  
ამ ადგილის უფრო ღრმად გათხრა, რადგან მათთვის ეს საჭიროებას  
არ შეადგენდა.

მე მაშინვე შევუდექი ნაპოვნი დოქმის პრეპარაციას და მის  
გარშემო მდებარე მიწა მეტად თხელ ფენებად, პატარა ზომის ფუნ-  
ჯების საშუალებით, ერთი მეორეს გადავაცილე.

მალე გამოჩნდა სხვა ნივთებიც; გამოჩნდა თიხის ფიალი (სურ.  
3 B), თავის ქალა (სურ. 3 C), ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი  
(სურ. 3 D) და მის ქვეშ მდებარე ფენების (სურ. 3 E) და მარცხნა  
მკლავის (სურ. 3 G) ძვლები და წინა-მხარზედ წამოტმული ორი  
ბრინჯაოს სამაჯური (სურ. 2 F); მახვილის ბოლოსთან ახლოს გამო-  
ჩნდა ნეკნების ძვლები—costae (სურ. 3 H) და მენჯის (pelvis)  
ნაწილები (სურ. 3 I). მახვილის ტართან ახლოს, ორ რიყის ქვას  
შუა, გამოჩნდა დანის ანუ ხანჯლის სრულებით უანგად ქცეული ნაშთი

(სურ. 3 J), ბრინჯაოს თავამობურცული, მოკლე ზომის 205 ცული  
ლურსმანი (სურ. 4 a) და მრგვალი პატარა ზომის თხელი ფილფილი  
სურ. 3 K და სურ. 4 b), რომლებიც ზემოხსენებული ხანჯლის ან



სურ. 3. ზემოაღჭალის სამარე პრეპარაციის შემდეგ.


დანის ტარის და მის ბოლოს სამკაულად უნდა ყოფილიყო გამოყე-  
ნებული. იქვე ახლოს იყო ორი პატარა ზომის ქოთანი (სურ.  
3 M და L).



მახვილის ტარის ქვეშ და მის მახლობლად იყო წინა ტერფის ძვლები — ossa metatarsalia და ფეხის ფალანგები (სურ. 3 D და N). მარცხენა ბარძაყის ძვლის ზემო თავთან (caput femoris) იყო ბრინჯაოს მახათი (სურ. 3 O).

როდესაც ფიალი გავასუფთავეთ, მიწა მოვაცილეთ, მის შიგნით გამოჩნდა პატარა ზომის თიხის ჯამი (სურ. 3) და ამ ჯამის შიგნით — მარჯვენა წინამხრის ძვლები (სურ. 3 R) და ხელის თითების ფალანგები (phalanges digitorum) ერთი გატეხილი ბრინჯაოს ბეჭდით. ფიალსა და პატარა ჯამის ნაპირებს შუა იყო ადამიანის კბილები და ქვემო ყბის ნაწილები. მახვილის ბოლოს ქვეშ აღმოჩნდა მარჯვენა მხრის (humerus) ძვალი (სურ. 3 S).

თავის ქალასა და ფიალს შუა იყო მარცხენა ხელის თითების ფალანგები და ერთ მათგანს წამოცმული ჰქონდა ბრინჯაოს ოთხი ბეჭედი (სურ. 3 T და სურ. 5). მარჯვენა ფეხის მუხლთან




სურ. 4. ბრინჯაოს ლურსმნები და ფირფიტა (III ნატ. სიდ.).

ახლოს იყო რკინის შუბი (სურ. 3 U და სურ. 6) და მის ქვეშ ცხენის კბილები ქვემო ყბით (სურ. 6)<sup>1)</sup>. ნეკნების ძვლების მარცხენა მხრის და მენჯის ძვლებს შუა ვიპოვეთ სამი ცალი ნახევარსფეროსებური ბრინჯაოს ღილი (სურ. 7), 37 ცალი სარდლოვის (სურ. 8), ერთი ცალი კვარცის (სურ. 9), ორი ცალი მსხვილი, შუშისმაგვარი (სურ. 10) და 15 ცალი წვრილი მოცისფრო, ესეც შუშის მაგვარი მძივები (სურ. 11).

აი ყველა ის ნივთი, რომელიც ჩვენ მიერ გათხრილ სამარეში აღმოჩნდა.

<sup>1)</sup> თუ რა ჯიშის ცხენს ეკუთვნოდა ეს კბილები, ამის გამოკვლევა ვერ შეეძლით, ვინაიდან ამისათვის საჭირო შედარებითი მასალა ადგილობრივაზე მოვალეობის გამოყენება; კბილები მომცრო ზომისაა და შესაძლოა *Equus caballus minor*'ს ეკუთვნოდა.

აღნიშნული ნივთებისა და ჩონჩხის გარშემო ერთომ მუტორის მიზან  
ნე მიწა გავთხარეთ, მაგრამ ვერავითარი ნაშთი ჩონჩხისა ან სხვა  
რამე საგნისა ვერ ვიპოვეთ.



სურ. პ. ხელის თითების ფალანგები და მათზე ჭამოცმული ბეჭდები  
(დაახლოვებით ნატ. სიდ.).

სამარის ძირი სწორი იყო და მიწის ზემო პირს 95 cm დაცი-  
ლებული. მისი სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით



სურ. ც. რკინის შუბი და მის ქვეშ ცხენის ქვემო ყბა კბილებით (% ნატ. სიდ.).


1,4 m, სიგანე — 1,3 m<sup>1</sup>, ასე რომ სამარეს დაახლოებით მრგვალი

<sup>1)</sup> სამარის ძირის სიგრძე-სიგანეს ჩეენ ვანგარიშობთ დაახლოვებით იმ სივ-  
რცის მიხედვით, რომელიც ეჭირა სამარეში მდებარე საგნებს.

24. ზემოავტალის მახვილის ტარზე გამოყვანილი ორნამენტი . . . . .	184
25. ზემოავტალის მახვილის ტარის თავი . . . . .	186
26. ვენერას გრაფიკული გადმოცემა ძველ სუზაში . . . . .	186
27. ეგვიპტეში აღმოჩენილი ქვის სატევარი . . . . .	190
28. ბრინჯაოს მახვილთა ტიპების გავრცელების რუკა . . . . .	207
29. ბრინჯაოს სამაჯურები . . . . .	209
30. ფიალი და მის ზემო ნაპირთან დატანებული მილი . . . . .	211
31. ფიალი, რომლის შიგნით მოჩანს ჯამი და წინამხრის ძვლები . . . . .	212
32. ღოქი . . . . .	213
33. მუცელვიწრო და ორყურა კოჭობები . . . . .	214
34. მუცელვიწრო და ორყურა კოჭობები (ზემოდან დახედვით) . . . . .	214


### B) ტაბულები

ზემოავტალის მახვილის ტიპის მახვილები:	
a) ზემოავტალიდან (1), საცხენისიდან (2), N-დან (3) და ზაქათალის ოლქი-დან (4) . . . . .	ტაბ
b) ბაკურციხიდან . . . . .	IV.
c) ბაკურციხიდან . . . . .	V
d) ბაკურციხიდან და ნინოშინდიდან (4) . . . . .	VI
e) ზემო მაჩხანიდან (1), გახეთიდან (2), ნინოშინდიდან (3), კაკაბეთიდან და კახეთიდან (5) . . . . .	VII



სურ. 7. ბრინჯაოს ღილები (ნატ. სიდ.).

ან კვადრატული ფორმა ჰქონდა და შესაძლოა იმ რიყის ქვებით იყო შემოვლებული, რომლებიც სამარის ახლოს საგმაოდ მოიპოვებოდა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ რიყის ქვები ჩვენ გვხვდებოდა მხოლოდ სასაფლაოს კულტურულ ფენში იმ დროს, როდესაც მახლობლად მდებარე ადგილებში, სამარის ძირის ჰორიზონტის გასწვრივ, რიყის ქვები სრულიად არ მოიპოვებოდა. არც ამ რიყის ქვებ-




სურ. 8. სარდოლიკის მძივები (ნატ. სიდ.).

თან გვხვდებოდა სილა ან ხვინჭკა, რომ ადამიანს ეფიქრა, რომ რიყის ქვები მდინარით იყო მოტანილი და არა ადამიანის ხელით. მაგრამ, თუ როგორ ავლებდენ საფლავს რიყის ქვებს, ან რა მიზნით იყო გამოყენებული სასაფლაოსათვის ეს რიყის ქვები, ამის გამორკვევა საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI.




ყოვლად შეუძლებელი იყო. აგრეთვე ძნელი იყო კარტუზის ცვევა, თუ რით ხურავდენ საფლავს, რომელიც, როგორც შემდგრადი წავთ, მიცვალებულის დასაფლავების დროს მიწით არ იყო ამოვ-სებული.



სურ. 9. კვარცის მძივი (ნატ. სიდ.).

### მიცვალებულის მდგარეობა.

ნახევრად მტერად ქცეული ჩონჩხის ნაშთები. რომლებსაც სპირტში გახსნილი შელლაკის საშუალებით ვამაგრებდით, გვიჩვენებდა, რომ მიცვალებული ფეხებმოკეცილი, დამჯდარი იყო სამარეში ჩასვენებული. მიცვალებულს დასაფლავების დროს მუხლებზე მახვილი დაუდვეს, მარჯვნივ ცხენის ყბა<sup>1</sup> და შუბი, წინ კი ორ ქვაზე — რკინის დანა (ან ხანჯალი) და გარშემო თიხის ჭურჭელი შემოუწყვეს; პირი სამხრეთისკენ მიუბრუნეს და ზურგით საფლავის კედელს მიაყრდნეს.



სურ. 10. შუშის მაგვარი მძივები (2 ნატ. სიდ.).


მიცვალებულის დასაფლავების დროს სამარეში მიწა არ იყო ჩაყრილი; ამას მოწმობს ძელების ერთს ჰორიზონტზე მდებარეობა, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის გამო, რომ სამარე მიწისგან თავისუფალი იყო და, მიცვალებულის დაშლის დროს, ყველა ძვალი სამარის ძირზე ერთს კულტურულ ფენში მოექცა.

მიცვალებული მარჯვნივ იყო გადაქანებული; თავიც მარჯვნივ ჰქონდა გადაეგრძნილი. უნდა ვიფიქროთ, რომ, მიცვალებულის და-

<sup>1)</sup> ყბას მშვენიერად აქვს კბილები შერჩენილი.



საფლავების დროს, სამარეს ზემოდან ხის ტოტები ან ფიცრეჭის გულებით ჰქონდა დაფარებული და შემდეგ მიწა იყო დაყრილი.



სურ. 11. მოცისფრო შუშის მაგვარი მძივები (2 ნატ. სიდ.).


რომ მიცვალებული ფეხებ-მოკრუნჩულად დამჯდარი იყო სა-მარეში ჩასვენებული, ამას ჩვენ გავარკვევთ, თუ დავაკვირდებით სურ. 12-ს. ამ სურათზე N<sub>1</sub> არის ფეხის, ხოლო I<sub>1</sub> — მენჯის ძვლის ნაშთების პროექცია ვერტიკალურს სიბრტყეზედ.

ამ ძვლების ერთი მეორესთან მდებარეობა გადმოცემული გვაქვს სამარეში ადგილობრივ გაზომის დროს.


ამავე სურათზე V<sub>1</sub> და V წარმოადგენს საფლავის კედელს, ხოლო N, N და I — ფეხების და მენჯის ძვლების პროექციას პორი-ზონტალურ სიბრტყეზედ. რაღაც ჩვენ უკვე ვიცით ფეხის და მენ-ჯის ძვლების პროექცია და აგრეთვე დაახლოვებითი ზომა ბარძა-ყის (femur) და დიდი წვივის (tibia) ძვლების, ამიტომ ჩვენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს ამ პროექციით მოვნახოთ შუხლის თავის მდებარეობა. ამსთვის საქმარისია N<sub>1</sub> - დან (რადიუსით, რომელიც უდრის დიდი წვივის ძვლის სიგრძეს), და I<sub>1</sub>-დან (რადიუ-სით, რომელიც უდრის ბარძაყის ძვლის სიგრძეს,) შემოვხაზოთ წრე-ები. ამ წრეების კვეთილის წერტილი მოგვცემს შუხლის თავის პრო-ექციას a-ს. როდესაც ა წერტილს შევუერთებთ ამ წრეების ცენ-ტრებს, მივიღებთ სქემატიურად ბარძაყის და დიდი წვივის ძვლე-ბის მდებარეობას საპროექციო ვერტიკალურ სიბრტყეზედ.

აგრეთვე ხერხემლის ძვლების მდებარეობას გამოვარკვევთ, თუ ჩვენ ხ წერტილიდან შემოვხაზავთ წრეს, რომლის რადიუსი (52 cm) ბაზიონის და მენჯის შუა სიგრძეს უდრის. ამ წრის და სამარის კედლის საერთო წერტილი მოგვცემს ბაზიონის მდებარეობას.

ჩვენს სურათზე ხერხემლის ძვლებსა და სამარის კედლებს შუა პატარა სივრცე დავტოვეთ, რაღაც მხედველობაში გვქონდა მიცვა-ლებულის ტანთამელი და ზურგის რბილი ნაწილები, რომლებიც არ მისცემდენ საშუალებას ხერხემლის ძვლებს მჭიდროდ სამარის კედლებს მიყრდნობოდენ.





ხელის მდებარეობა, რასაკვირველია, საკამათოა, სუბტილური გვევინია, რომ ხელი მიცვალებულს ისეთნაირად ჰქონდა მუხლზე დადებული, როგორც ეს ჩვენ გვაქვს სურათზე ნაჩვენები. ამგვარი



სურ. 12. სქემა ჩონჩხის რეკონსტრუქციისათვის.

წარმოდგენა მით უფრო მართლდება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ გათხრების დროს აღმოჩენილი მქლავის შუა ნაწილის და მუხლის თავის ერთად მდებარეობას (სურ. 3); თანაც ხელის ამგვარი მდება-

**A****B**

ჩრ. 13. ზემოთ (A)—მიცვალებულის მდებარეობის რეკონსტრუქცია დასაფლავებროს; ქვემოთ (B)—ჩონჩხის და სამარის ზოგიერთი ინვენტარის მდებარეობა პრეპარაციის შემდეგ.



რეობა მჯდომარე ადამიანისათვის უფრო ბუნებრივი ბული.

ამ სქემის (სურ. 12) მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ მთლიანი რეკონსტრუქცია მიცვალებულის მდებარეობისა იმ სახით, როგორც ეს იყო დასაფლავების დროს (სურ. 13 A).

ეხლა, თუ ჩვენ მიერ მიღებულ რეკონსტრუქციას, რომელიც წარმოადგენს მჯდომარე ადამიანის პროექციას ვერტიკალურ სიბრტყეზე (სურ. 13 A), შევადარებთ ფოტოგრამას (სურ. 3 და სურ. 13 B), რომელიც თავის თავად მჯდომარე ადამიანის დაახლოვებითი პროექცია არის ვერტიკალურ სიბრტყეზე<sup>1</sup>, დავინახავთ, რომ ორივე პროექცია ერთი მეორეს ეფარდება, რასაც ნათლად ვარჩევთ სურათზე პუნქტირების საშუალებით. მაშასადამე მიცვალებულის მჯდომარე მდებარეობა ჩვენთვის ცხალი ხდება არა მხოლოდ სურათიდან, არა მედ პროექციების საშუალებითაც.

#### ზემოავალის საზოგადოების მნიშვნელობა.

მიცვალებულის მჯდომარე მდებარეობას აღნიშნავს ფ. ბაიერნი ი სამთავროს ეგრეთწოდებულ „ძირა სართულის“ (untere Etage) ანუ „გუმბათოვან“ (Kuppelgräber) საფლავებში<sup>2</sup>; მაგრამ მის მიერ მოყვანილი ცნობები და მტკიცება არ არის დამაკმაყოფილებელი, მით უმეტეს, რომ ფ. ბაიერნი არც ერთს ფოტოგრამას არ იძლევა მიცვალებულის ნაშთების მდებარეობის შესახებ, ხოლო მის მიერ მოცუმული ორი ორმოსამარის ჩანახატი სრულიად მიუღებელია და დაუჯერებელი. ეს მეტად პრიმიტიულად შესრულებული ჩანახატები მოყვანილი აქვს ფ. ბაიერნს თავის შრომაში: Untersuchungen, S. 32. Fig. 11 und 12.

1) ფოტოგრამა № 3 აღებული გვაქვს სამარის ნაპირიდან „ზემოდან დახდით“.

2) Fr. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, herausgegeben von Rud. Virchow. Supplement zu Band XVII der Zeitschrift für Ethnologie, S 3. (Berlin 1885).

სახელწოდება „გუმბათოვანი სამარე“ ვერ აქვს ფ. ბაიერნს მოხერხებულად ნახმარი. ამის შესახებ რუდ. ვირხოვი შენიშნავს და ამბობს, რომ უმჯობესა „Kuppelgräber“-ის მაგივრად ვიხმაროთ სახელწოდება «Brunnengräber». R. Viarchow, Die kaukasischen und transkaukasischen Gräberfelder: Verhandlungen der Berliner Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte. S. 474 (Berlin 1882). ჩვენ სრულებით ვეთანხმებთ რუდ. ვირხოვს და „გუმბათოვანი“ სამარების მაგივრად ვიტყვით „ორმოსამარები“, მით უმეტეს რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება სარწმუნო მასალა იმის შესახებ, რომ სამთავროს სამარებს გუმბათისებური თაღი ჰქონდა.



ერთს მათგანზე (Fig. 11) სამარე წარმოდგენილია „ხემილან დახედვით“ (Ansicht von oben.), ხოლო მეორეზედ — პროფილით (Fig. 12). პირველ ჩანახატზე მოცუმულია თიხის ჭურჭელი, მიცვალებულის ჩონჩხი სწორად, გაჭიმული ფეხებით და მეტად გრძელი (1 m 22 cm) რკინის მახვილით, რომელიც სრულიად არ შეესაბამება სამთავროს ორმოსამარეების კულტურას. მაჩასადამე, არც ამ ჩანახატზე მოცუმული დამრხველის ფორმა არის მისაღები სამთავროს უძველესი კულტურისათვის.

დაუშვათ, რომ ამ ჩანახატებზე მოცემული სამარე თავისი გახვილით და ჩონჩხის მდებარეობით დამახასიათებელია სამთავროს ორმოსამარეების უძველესი კულტურისათვის და რომ ფ. ბაიერნი იძღვა დამარხვის სრულიად გარკვეულ ფორმას. მაშიც მაინც სრულიად გაუგებარი ჩეხება, თუ რად იძღვა ფ. ბაიერნი ამავე სამარის შეუსაბამო პროფილს (Fig. 12), რომელზედაც დამარხვის სულ სხვა ფორმა არის წარმოდგენილი. იქნება ამ ჩანახატზე სულ სხვა პერიოდის, სულ სხვა კულტურის დამახასიათებელი სემარის პროფილია მოცემული. თუ ასეა, რომლის? ეს სრულებით არ ჩანს ფ. ბაიერნის შრომებიდან, და ამიტომ სამთავროს უძველეს ირმოსამარეებში მიცავალებულის დამარხვის ფორმა ბურუსით არის მოცემული.

სიმართლე რომ ითქვას, ფ. ბაიერნს არც შეეძლო ორმოსამარებში დამარხვის ფორმის აღდგენა, ვინაიდან ეს სამუშაო მეტად დიდ დროს, დაკვირვებას და ფაქტზე პრეპარაციას ითხოვდა. ფ. ბაიერნი სამარების გათხრას მეტად ცოტა დროს ანდომებდა და ხანდახან სამარები ნივთების აღმოჩენას დაქვირავებულ მუშებს ანდობდა. თუ როგორი სიჩქარით აწარმოებდა ფ. ბაიერნი სამარების გათხრას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან ორი კვირის განმავლობაში შესძლო აღმოეჩინა 3 მ სილრმეზედ მდებარე ჩვიდებეტი ორმოსამარე. და ამასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაოს მოთავსება<sup>1</sup>.

აქვე უნდა გვასხოვდეს, რომ ამ ჩვილშეტ „ძირა სართულის“ (untere Etage) ორმოსამარებებს ზემოთ მისცევდა „ზემო სართულის“ სულ სხვა ტიპის, ფიქალი ქვებით ნაკეთები აკლდმები, რომ-ლების გათხრა და ადგილობრივ შესწავლა არა ნაკლებ დროს ითხოვდა. ორი კვირა ამგვარი რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოსათვის წარმოუდგენელია.

იმის დასამტკიცებლად, რომ მიცვალებული სამარეში იჯდა და არ იწვა, ფ. ბაიერნი ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ ჩვეულებრი-

<sup>1)</sup> Fr. Bayern, Untersuchungen, S. 30.



ვაღ თავის ქალა და ქვემო ყბის ძვალი იღვა მიცვალებულის ჩონჩხის გარშემო მდებარე სხვადასხვა ჭურჭელებში, სახელდობრ ყბის ძვალი — წინაში (ესე იგი ჩონჩხის წინ მდებარე ჭურჭელებში), თავის ქალა—უკანაში<sup>1</sup>.

მაგრამ ამგვარი მტკიცება ფ. ბაიერნისავე წინააღმდეგ არის მიმართული. ცხადია, თუ მიცვალებული იჯდა იმ სახით, როგორც ამის ფ. ბაიერნი გადმოგვცემს სურათზე<sup>2</sup>, თავის ქალა არასგზით უკან არ დაეცემოდა; თავის ქალის სიმძიმის ცენტრი ვისცერალური ნაწილისაკენ არის გადმოწეული და ამიტომ თავის ქალა ყოველთვის წინ დაეცემოდა და არა ზურგის უკან. არც მიცვალებულის ამგვარად „დამჯდარი“ მდგომარეობა, როგორც ეს ჩახატული აქვს ფ. ბაიერნს (Fig. 12), დასაჯერებელი არაა, ვინაიდან მიცვალებული მხოლოდ ფეხების თითებზედ არის დაყრდნობილი, თუმცა ფ. ბაიერნი აღნიშნავს, რომ მიცვალებულის ამგვარ მჯდომარეობას თიხის ჭურჭლების გარშემო მიყუდების საწუალებით აღწევდენის<sup>3</sup>. იმ შემთხვევაში, როდესაც სამარეში არავითარი ჭურჭელი არ იყო, ხოლო მიცვალებულის ჩონჩხი მაინც მჯდომარე პოზით ეჩვენებოდა, მაშინ ფ. ბაიერნი სამარეში „პოულობდა“ იმდენ ქვას, რამდენიც თავის ქალა იყო და ადასტურებდა, ვითომეც ამ ქვებს აღებდენ მიცვალებულს მუხლებზედ და ამგვარი ხერხით აძლევდენ მჯდომარე პოზას<sup>4</sup>.

თუ როგორ ძნელია მიცვალებულის მართლაც რომ მჯდომარე პოზით დაყრდნება, საჭიროა მოვიგონოთ ძველი პერსანელები.

როვეროს და ჩუდის გადმოცემით, მჯდომარე პოზით დასამარხავ მიცვალებულს, პერსანელები ჯერ თოკით შეჰკრავდენ და შემდეგ მიწაში, ბარძაყებს შუა, ჯოხს გაურჭობდენ, რომ გვამი გვერდზე არ გადასრუნებულიყო<sup>5</sup>.

ამიტომ, თუ ყოველსავე ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, ადვილი გასაგებია, რომ ფ. ბაიერნის ნათქვამს და ნაწერს საერთოდ მეტად ფრთხილად და ეჭვის თვალით ეკიდებოდენ. გამოჩენილმა არქეოლოგმა ა. უვაროვმა სრულიად უარყო ფ. ბაიერნის ეგრეთწო-

<sup>1)</sup> Museum Caucasicum. B. V., Archeologie, S. 64, Tiflis 1902.

<sup>2)</sup> Fr. Bayern, Untersuchungen S. 32, Fig. 12.

<sup>3)</sup> Fr. Bayern, Untersuchungen. S. 31; Mus. Cauc. S. 63.

<sup>4)</sup> С. Ф. Спенура, Опыт антропологического исследования макроcefалических черепов, стр. 21—22. Тифлис 1875.

<sup>5)</sup> რასაკვირველია არა ფეხის თითებზედ დაყრდნობით.

<sup>6)</sup> შეად. Г. Обермаргер, Донеторический человек, стр. 488. Москва 1913.



დებული „გუმბათოვანი“ სამარტები და, როდესაც ოვით სამთავროში გათხრების ადგილზე ა. უვაროვმა ფ. ბაიერნს კონტროლი გაუკეთა, ამ უკანასკნელმა ვერაფერის გზით ვერ დაარწმუნა ა. უვაროვი „გუმბათოვანი“ საფლავების არსებობაში, რასაც შედეგად მოჰყვა ა. უვაროვის შემდეგი დასკვნა: „ვერავითარი ქვის წრეები, ვერავითარი თაღები რიყის ქვიდან ნაშენი, როგორც ამას ფ. ბაიერნი ამტკიცებდა, ვერ შევნიშნეო“<sup>1)</sup>.

გ. ტიზენჰაუზენი, რომელმაც ორჯერ გაარჩია ფ. ბაიერნის ნათქვამი და ნაწერი სამთავროს სასაფლაოს შესახებ, თითქმის სასაცილოდ იგდებს ფ. ბაიერნს და ამბობს, ფ. ბაიერნის დასკვნები და მოსაზრებები სულ ერთიანად ულონო და შეუწყნარებელი არისო<sup>2)</sup>.

თუ ჩვენ მოვიგონებთ ფ. ბაიერნის მართლაც რომ ახირებულ აზრს, ვითომც სამთავროში ნაბონი „შემწვარი“ აღამიანის თავის ძვლები, ანთროპოფაგიას ადასტურებენ<sup>3)</sup>, დავრწმუნდებით, რომ ფ. ბაიერნი მეტად ცუდად ერკვეოდა როგორც ძვლების მდგომარეობაში, აგრეთვე მათ მდებარეობაში.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ არამც თუ ფ. ბაიერნის მტკიცება მიცვალებულის საფლავში მდებარეობის შესახებ (სადაც მას ნახევრად მტგრად ჭვეულ და ერთი მეორეში არეულ-დარეულ ძვლებთან ჰქონდა საქმე), არამედ მისი დასკვნები თვით საფლავის ძირზე შემოვლებული რიყის ქვების, საფლავის ფორმისა და მისი ნაშენობის შესახებ დაუჯერებელი შეიქნა ისეთი სახელოვანი და გამოცდილი არქეოლოგისათვის, როგორიც იყო ა. უვაროვი, რომელიც ფ. ბაიერნის გათხრებს არა ერთხელ დაესწრო ადგილობრივ, სამთავროში.

ეს ასეც უნდა მომზღვარიყო, რადგან თვით ფ. ბაიერნის ნაწერებიდან ცხადი ხდება, რომ ის არქეოლოგიური გათხრები, რომლებიც მან აწარმოვა სამთავროში, ყოვლად შეუწყნარებელია მეთოდიურად.

ცალცალკე ნივთების ამოლება სამარიდან, სანამ ეს უკანასკნელი არ არის მთლიანად პრეპარირებული და არ არის გამორკვეული საერთოდ ყველა ნაშთების ერთი მეორესთან მდებარეობა, დაუშვებელია. ხოლო ფ. ბაიერნი, როგორც კი ნივთი ან რომელიმე ძვლის ნაშთი გამოჩნდებოდა, მაშინვე ამოიღებდა (ამის მაგალითები

<sup>1)</sup> А. С. и П. С. Уваровы, Взгляд на Мцхетский могильник: Труды Московского Археологического Общества, Т. X, стр. 10. Москва 1885.

<sup>2)</sup> შეად. ილ. ჭავჭავაძე, ერთ და ისტორია, ტ. V გვ. 138. ტფილისი 1927.

<sup>3)</sup> С. Ф. Сепура, стр. 21—22.



ჩვენ გვაქვს), და ნუ გაგვიკვირდებათ, თუ ფ. ბაიერნი ზანდაზე „ zertrümmerten Knochen... fand theilweise im herausgeworfenen Schutte“<sup>1</sup>.

მოხუცმა გარსე ვანიშვილმა, რომელიც ფ. ბაიერნთან მუშაობდა მიამბო: „როდესაც ჩვენ, მუშები, გათხრილ სამარები, ნივთს აღმოვაჩენდით, ამისთვის ცალკე საჩქარი იყოო“.

ცხადია, ამნაირად დაყენებული არქეოლოგიური გათხრა, როდესაც მუშები აღმოჩენილ ნივთს ერთი მეორეს ხელში სტაცებდენ, რომ საჩქარი მიეღოთ და როდესაც სამარიდან ამოყრილ ძვლებს მიწის ზემო პირზე არჩევდენ, ვერასოდეს გარკვეულ სურათს ვერ მისცემდა და გაუგებრობას გამოიწვევდა.

საქმის გაურკვეველ მდგომარეობას სამთავროს უძველეს „გუმბათოვან“ სამარებში დამარხვის ფორმის შესახებ ვითომც შველის ე. პჩელინა, რომელიც ახდენდა არქეოლოგიურ გათხრას საგურამოში.

საგურამოს სასაფლაოში (სამთავროდან 8 km დაშორებით) ე. პჩელინა ადასტურებს მიცვალებულის მჯდომარე, გაჭიმული ფეხებით მდებარეობას; პჩელინას აზრით — სამთავროს და საგურამოს სამარები „მხოლოდ დამარხვის ტიპის მიხედვით არიან ნამდვილად ერთნაირი“. „Самтаврский и Сагурамский могильники — азотны ე. პჩელინა — только на основе типа погребений<sup>2</sup> являются действительно тождественными и единственными“<sup>3</sup>.

„სამთავროში და საგურამოში — განაგრძობს. ე. პჩელინა,—იყო დამარხული ერთი და იგივე ხალხი, ან სხვადასხვა ხალხი, რომელიც ერთსა და იმავე რელიგიურ რიტუალს მისდევდა“<sup>4</sup>.

საგურამოს სასაფლაოს კველა სამარები დამარხვის ტიპს ე. პჩელინა აღნიშნავს ჩინჩხის მჯდომარე მდებარეობით, გაჭიმული ფეხებით, და თავის შრომაში კიდევაც მოჰყავს ამგვარი მდებარეობის მრავალი ჩანახატი (იხ. მაგ. Е. Пчелина, გვ. 153, 155, 157 და სხვა), ხოლო, სამწუხაროდ, არაა მოთავსებული არც ერთი ფოტოგრამა, თუმცა ამის საშუალება მას ჰქონდა<sup>5</sup>.

<sup>1)</sup> Friedrich Bayern, Untersuchungen, S. 29.

<sup>2)</sup> აქ პჩელინა გარკვევით ამბობს: „только на основе типа похребений“ და არა на основе типа могил.

<sup>3)</sup> E. Пчелина, Отчет о раскопках близ деревни Сагурамо. Сағურათველოს მუზეუმის მოამბე. ტ. III. გვ. 150. ტფილისი 1927.

<sup>4)</sup> E. Пчелина, Отчет. стр. 150.

<sup>5)</sup> ე. პჩელინა იძლევა ისეთს სურათებს, რომლებსაც თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო ასეთ დიდმნიშვნელოვან სამარის ტიპის სურათს არ გვაძლევს.



ჩანს, ე. პჩელინაზე დიდი გავლენა ჰქონდა ფ. ბაიერნის ზემოავტალის ნახსენებს ჩანახატებს, ვინაიდან ფ. ბაიერნის და ე. პჩელინას ახატები თითქმის ერთნაირია<sup>1</sup>.

ე. პჩელინას ნაწერებისა და ჩახატვების მიხედვით ცხადია, რომ, თუ საგურამოში და სამთავროში ერთი და იგივე ხალხი იმარტებოდა (ან სხვადასხვა ხალხი, რომელსაც ერთი და იგივე რელიგიური რიტუალი ჰქონდა) და თუ „Самтаврский и Сагурамский могильники только на основе типа погребений являются действительно тождественными и единственно тождественными“, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთად ერთი დასკვნა მივიღოთ, რომ სამთავროშიდაც მიცვალებულებს ასაფლავებდენ მჯდომარეს, გაჭიმული ფეხებით.

ჩვენ გვგონია, რომ ე. პჩელინას ამგვარ დებულებასა და დასკვნებს სამთავროს ორმოსამარების შესახებ, სრულიად ეწინააღმდეგება გათხრილობა ზემოავტალის სამარისა, რომელიც მართლაც რომ განუყრელად უკავშირდება სამთავროს უძველესი დროის სამარებს, როგორც დროთი, აგრეთვე ერთი და იმავე კულტურით, ერთი და იმავე ინვენტარით და სხვა. ზემოავტალის სამარის ინვენტარი სრულიად ისეთივე, როგორც ინვენტარი სამთავროს უძველესი დროის სამარებისა, რომელთაც ფ. ბაიერნი უწოდებს „ძირა სართულის“ ანუ „გუმბათოვან“ სამარებს, და რომელთაც ის აღარებს საფრანგეთის და . სარდინის კუნძულ ბორნჰოლმის სამარებს“, „murgers“-ის სახელით წოდებულ და იღწერილს „Mémoires de la Société royale des Antiquaires du Nord 1872. Recherches sur le premier âge de fer dans l'île de Bornholm, par E. Vedel“<sup>2</sup>.

მართალია, ფ. ბაიერნმა თავის გათხრილობებში არ დაადგინა განსხვავება სხვადასხვა ტიპის სამარების ინვენტარისა და სრულებით არივდარივა ერთმანეთში სამარების ინვენტარი<sup>3</sup>, მაგრამ, მიუ-

1) F. Baeyer, Untersuchungen. S. 23. Fig. II; E. Пчелина. Отчет. Рис. 5, 8, და სხვა, გვ. 153—162. ე. პჩელინა აღნიშნავს აგრეთვე, რომ „Раскопки в Сагурамо с несомненностью доказали наличие в Сагурамо „колодцев со сводами“ (Е. Пчелина, стр. 150). როგორც ვნახეთ ფ. ბაიერნმა,, საკონტროლო გათხრების დროს, ვერას გზით ვერ დაარწმუნა ა. უვაროვი არამც თუ გუმბათოვანი სამარების არსებობაში, არამედ თვით სამარის ძირზე შემოყოლებული რიყის ქვების არსებობაშიაც.

2) B. Wroouboff, Objets d'Antiquité du Musée de la Société des amateurs d'Archéologie au Caucase გვ. 4. Tiflis 1877.

3) Mus. Cauc. S. 71.

ხედავად ამისა, ფ. ბაიერნისავე ნაწერებიდან, მაგალითად Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, Berlin 1885, S. 29—30 და B. Wyrouboff-ის უკვე ნახსენები შრომიდან „Objets d'Antiquité“, ჩვენ მაინც შეგვიძლია გამოყოფო სამთავროს უძველესი დროის სამარეების მეტად დამახასიათებელი ნივთები. თავის შრომაში „Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus und seine vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie“<sup>1</sup> ფ. ბაიერნი აღტაცებით იხსენიებს მის მიერ ნახულს ერთად ერთს ბოლოკვეთილ ბრინჯაოს მახვილს aus den Kuppelgräbern der unteren Etage von Samthawro, რომელსაც ის სოვლის საუკეთესო და მეტად ღირსშესანიშნავ აღმოჩენად და ათარიღებს რკინის ხანის დასაწყისის დროით.

ეს მახვილი დაცულია საქართველოს მუზეუმში; ხოლო მისი რეპროდუქციები მოყვანილია ვ. ვირუბოვის, ფ. ბაიერნის, პ. უვაროვის, ე. შანტრის და სხვათა შრომებში<sup>2</sup>.

ჩვენ მიერ მოხსენებული ზემოავჭალის მახვილი არც ორნამენტით, არც ფორმით, არც ლითონით და არც სხვა რაიმე ნიშნით სრულებით არ განსხვავდება ფ. ბაიერნის მახვილისაგან, რომელიც მან იპოვა სამთავროს უძველეს გუმბათოვან სამარეებში. ორივე მახვილის ტარის ბოლოზე მოცემულია ერთი და იგივე ასტრონომიული მოტივი ორნამენტის სახით; ტარზე ერთნაირად სტილიზირებული ფოთლებია, პირზე ერთნაირი სპირალები და გერმანელი არქეოლოგების მიერ წოდებული Blutrinne. განსხვავდება არის მხოლოდ ზომაში, რაც იმით იისნება, რომ ოვითეული ამგვარი მახვილის ჩამოსხმის დროს ყოველთვის ახალს ყალიბს აკეთებდნენ; ყალიბი ერთხელ ხმარების შემდეგ აღარ იყო გამოსადევი, ვინაიდან ეს ყალიბი სანთლისა და აყალო მიწის საშუალებით კეთდებოდა და ნივთის ჩამოსხმის შემდეგ ტყდებოდა. მახვილების ზომა არ უნდა ყოფილიყო ერთნაირი სხვათა შორის იმიტომაც, რომ შემკვეთი, ცხადია, სხვადასხვა სიმაღლისა იყვნენ.

სამთავროს უძველესი გუმბათოვანი სამარეების კრამიერა, რომელიც ფ. ბაიერნმა<sup>3</sup>, პ. უვაროვმა, ვ. ვირუბოვმა<sup>4</sup> და ე. შანტრ-

<sup>1)</sup> Verhand. der Berl. Gesellschaft für Anthr., Ethn. u. Urgeschichte, Berlin 1882, S. 352

<sup>2)</sup> Objets d'Antiquité, Pl. III F. 5; Untersuch. Taf. XI, Fig. 4; Mus. Cauc. Taf. VIII; Le Caucase. Paris—Lyon 1886 T. II Atlas, Pl. XLVIII.

<sup>3)</sup> Friedrich Bayern, Untersuchungen, Taf. XV, Fig. 5, 9 u. 12

<sup>4)</sup> Mus. Caucas. 69—71

მა<sup>1</sup> აღწერეს და დაასურათეს, არც თიხის დამუშავებით და გამოწვით, არც ფერით, არც სწორი გეომეტრიული მოყვანილობით, არც საერთო ფორმების სიმარტივით (მაგ. შეადარეთ ჩვენი ფიალი სურ. 3 B. სამთავროს ფიალს; <sup>2</sup> შეადარეთ აგრეთვე ჩვენი დოქი, სურ. 3 A, სამთავროს დოქს) <sup>3</sup> და არც სხვა რაიმე ნიშნებით სრულებით არ განიძევა ზემოავჭალის სამარის კერამიკისაგან.

აგრეთვე უკეთ ცნობილი სამთავროს „ძირა სართულის“ სამარების ინვენტარი, როგორიცაა მაგალითად — შუბი, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, მახათი, უძველესი სამარებისათვის დამახასიათებელი მრგვალი ფორმის გახეხილი სართულის მძივები, <sup>4</sup> — სრულიად ანალოგიური არის ზემოავჭალის სამარის ინვენტარისა. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ შეცდომა არ იქნება, თუ ზემოავჭალისა და სამთავროს „ძირა სართულის“ გუმბათოვან სამარებს მივაკუთვნებთ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე კულტურას, ერთსა და იმავე ხალხს, რომელსაც ერთი და იგივე დამარხვის წესი ჰქონდა..

ზემოავჭალის სამარები მიცვალებული მჯდომარე იყო, მუხლებმოხრილი, მაშასადამე სამართლიანი იქნება თუ დავასკნით, რომ სამთავროს უძველესი დროის სამარებში მიცვალებულები ამავე წესით იყენებ დამარხული.

ხოლო რაც შეეხება „გუმბათოვანი“ სამარების საკითხს, რომელ-საც ფ. ბაიერნი გადაჭრილად სთვლიდა და რომელიც ე. პჩელინას დამტკიცებულებდ მიაჩნია <sup>5</sup>, ჯერ-ჯერობით ისევ გაურკვევლად უნდა დარჩეს, ვინაიდან ჩვენ კიდევ არ მოგვპოვება ამის დასამტკიცებელი სანდო მასალა, არც ფ. ბაიერნის, არც ე. პჩელინას და არც სხვის მიერ მოცემული.

„გუმბათოვანი“ სამარები ჯერ კიდევ საჭიროებენ დამტკიცებას არამც თუ სამთავროსათვის, არამედ თვით საგურამოსთვისაც, ვინაიდან ნახშირი, რომელიც ე. პჩელინამ ნახა საგურამოს სამარები, სრულიადაც არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, ვითომც ეს ნახშირი (უგli) „могут являться остатками сгнившего дерева—досок или балок, придерживавших свод над могилой“ <sup>6</sup>.

<sup>1)</sup> E. Chantre, Le Caucase T. II. Pl. L—LIII.

<sup>2)</sup> Objets d' Antiquité Pl. IX, f. 1—13; Pl. X, f. 1—12.

<sup>3)</sup> Friedrich Bayern, Untersuchungen Taf. XV, Fig. 12, Wyrouboff Pl. X, f. 10—11; Chantre Pl. LIII.

<sup>4)</sup> Fr. Bayern Untersuch. Taf. XV, Fig. 12; Wyrouboff Pl. X f. 6.

<sup>5)</sup> А. С. и П. С. Уваровы, Стр. 11.

<sup>6)</sup> Е. Пчелина. Стр. 150.

<sup>7)</sup> Е. Пчелина. Стр. 132.

სავურამოს სამარეში ნაპოვნი ნახშირი არის ცეცხლუს-დანთუბის და არა ხის დალპობის შედეგი — შემთხვევით მანევრული სამარეში გათხრების დროს. რომ ცეცხლი მართლაც ყოფილა დანთებული სამარის თავზე დამარხვის დროს, ამის ნიშნები ნაცარი და ნახშირი — ხომ თვით ე. პეტლინამ ნახა სამარის თავზე „между холмиками из галки и верхом „свода“ МОГИЛЫ“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა, დასაფლავების სხვადასხვა ფორმებთან ერთად, ჩვენ ვკვდება პალეოლითის დროიდან (გამოქვაბული La Ferrassie, Grotte des Enfants, Laugerie Basse და სხვა) და დღესაც შერჩენილია ბევრს ქვეყანაში, მაგალითად ამერიკაში, ავსტრალიაში, ტასმანიაში, მელანეზიაში, პოლინეზიაში, აფრიკაში, ინდოეთში და სხვაგან<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ, სადაც კი მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა ვკვდება, უცელგან ვხედავთ მიცვალებულს ფეხებმოკრუნჩეულს და არა ფეხებგაჭიმულს, როგორც ამას ფ. ბაიერნი (F. Bayern, Unters. Fig. 11, S. 32) და ე. პეტლინა E. (Пчелина, Отчет; рис; 5, 8, 9, и друг. стр. 153—162) ვკისტრათებენ.

მაგალითად, სამხრეთ ინდოეთში, ინდოსტანში, რიო-გრანდე-დო-სულში და ბევრს სხვა ადგილას ხშირად შეხვდებით ფეხებმოკრუნჩეული მიცვალებულის ურნაში ჩადებას და შემდეგ მიწაში დამარხვას. იაპონიის ზოგიერთი უღარიბესი ხალხი მიცვალებულს ერთი მეტრის სიმაღლის ყუთში ათავსებს მჯდომარეს, ფეხებმოკრუნჩეულს და ისე მარხავს.

პოტენტოტები, ბანტუ და აფრიკის ბევრი სხვა ხალხი ჯერ მიაღებინებენ მიცვალებულს მჯდომარე, ფეხებმოკრუნჩეულს პოზის, შემდეგ მაგრად შეჰქრავენ<sup>3</sup> და ისე ასამარებენ. ასეთივე წესი აქვთ იუკონის ესკიმოსებს, ავსტრალიელებს და ბევრს სხვას<sup>4</sup>.

ზოგიერთს ქვეყნებში, მაგალითად ავსტრალიაში (კუპერ-კრიკში) მიცვალებულის შეკრვის გარდა ხელის და ფეხის თითების შებორკვასაც არ ერიდებიან. ადელაიდაში იალმასაჩინეს შეკრული მჯდომარე მუმია, ფეხებმოკრუნჩეული პოზით; ამ მუმიას ცხვირის ჩესტოები ემუს

<sup>1)</sup> ibidem გვ. 158

<sup>2)</sup> G. Wilke, Hockerbestattung: Reallexikon der Vorgeschichte. B. V, S. 335, Berlin 1926. K. Schuchhardt, Alteuropia. S. 22 Berlin 1926.

<sup>3)</sup> Laugerie Basse-ში პალეოლითის დროის აღმოჩენილი ჩონჩიც შეკრული უნდა ყოფილყო. Обермаиер, Доисторический человек, стр. 239. Москва 1913.

<sup>4)</sup> Hermann Klaatsch, Der Werdegang der Menschheit und die Entstehung der Kultur. S. 231—232. Taf. 30; S. 233, Abb. 181 Berlin 1920.



ბუმბლით ჰქონდა დაცობილი, ხოლო ტუჩი და უკანა გასავალი — აკერილი; ამავე ადგილებში ბევრი მუმია არის აღმოჩენილი მჯდომარე პოზით და შეკრული<sup>1</sup>.

### სატომ მარხავლენ მჯდომარე პოზით.

საინტერესო ვიცოდეთ, რა მოტივები აიძულებდა ჭირისუფლებს, როდესაც ისინი თავიანთ მიცვალებულს მჯდომარე პოზით მარხავლენ? რა იყო მიზეზი ამგვარი დამახვის წესის?

აი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია მეცნიერებაში და რომლის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს ეს საკითხი მარტივად გადაჭრას და გამოთქვაში აზრს, რომ ვინაიდან მიწა „დედალ“ იყო იღიარებული, ამიტომ ჭირისუფლები ცდილობდენ მიცვალებული „დედა“ მიწაშიაც იმ პოზით ჩაედოთ, როგორიც მას ჰქონდა ემბრიონალური განვითარების დროს<sup>2</sup>.

მაგრამ ამგვარი სანტიმენტალურ-ფანტასტიური ახსნა უსაფუძლოა, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ქვის ხანის ღროის ადამიანს სკოლნოდა და ან პრომიტიულმა ხალხმა იცოდეს ემბრიოს ანატომიური მდებარეობა საშეილოსნოში. თანაც ამ აზრის შესახებ სხვა საწინააღმდეგო მოსაზრებების მოყვანაც შეიძლება, რაზედაც ჩენ არ შეგზრდებით.

არ შეგვიძლია აგრეთვე გავამართლოთ დამარხვის ზემოთ აღნიშნული ფორმა იმ გარემოებით, ვითომც ჭირისუფლები იძულებული იყენენ მიცვალებული ისეთნაირად მოექრუნჩხათ რომ მას ცოტა სივრცის საფლავი დაჭირვებოდა, რის გათხრაც დიდ მუშაობას არ გამოიწვევდა.

ჩვენ ვერც იმ მკვლევართა აზრს გავიზიარებთ საცებით, რომლებიც ცდილობენ მჯდომარე მიცვალებულის დამარხვის ახსნას იმ მოსაზრებით, ვითომც ცოცხალი ადამიანისათვის მჯდომარე პოზა იყოს ყველაზედ სასიამოვნო და საყვარელი, ვინაიდან ამგვარი პოზით ადამიანს შეუძლია დასვენება და აგრეთვე დაძინებაც<sup>3</sup>. შეიძლება ამგვარი წარმოდგენით მართლაც სარგებლობდენ ზოგიერთი ჭირისუფლები თავიანთი მიცვალებულების დასაფლავების დროს, მა-

<sup>1</sup> H. Klaatsch, S. 236.

<sup>2</sup>) Klaatsch S. 239. იბ. აგრეთვე Rev. arch. 1864, I 289; Wosinsky, Das prähist. Schanzwerk von Lengyel 1891, S. 48.

<sup>3</sup>) Reallexikon der Vorgeschichte, B. V, S. 335, Berlin 1926.



გრამ საერთოდ ამნაირი წარმოდგენით არ აიხსნება მუქული მიცული იშედ ერთს დროს გავრცელებული და დღესაც ბევრს ადგილს შერჩენილი მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა, ვინაიდნ ამა ეჭინაალმდეგება ძალდატანებითი, არა ბუნებრივად ერთი მეორესთან სხეულის ნაწილების შეკრვა; მაგალითად, იურაკის ესკიმოსები მიცვალებულს თავს მუხლებს შუა ჩავდებენ და ისე კრავენ; თითქმის ამგვარადვე იქცევიან აგსტრალიელები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ტუჩებს და უკანა გასავალსაც კი უკერავენ, ფეხის და ხელის თითებს უბორეავენ და სხვა და სხვა.

უნდა სცდებოდეს ე. ბეკლენიც, რომელიც მიცვალებულის ფეხებმოკრუნჩხულ პოზას ახალმოვარის ფორმას უკავშირებს<sup>1)</sup>.

| ჩვენის შეხედულებით ამ საკითხის ახსნას სარჩულად უნდა დაედოს მიცვალებულის მიერ გამოწვეული შიში და წინასწარი ზომების მიღება, რომ მიცვალებული ან მისი „სული“ უკანვე არ „დაბრუნდეს“ და უსიამოვნება არ მიაყნოს ჭირისუფალს, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს რიხარდ ან დრეე<sup>2)</sup>.

რომ მიცვალებულს ან მის „სულს“ (რომელიც პრიმიტიული წარმოდგენით სხეულთან არის დაკავშირებული) მოუსპონ „სიარულის“ საშუალება, ამიტომ საჭიროდ სცნობენ გვამისსთვის დაჯდომილი პოზის მიცემას და შებორკვას. ამგვარად დამარხული და შებორკილი მიცვალებულის ჩონჩხის ნაშებს ჩვენ ვპოულობთ უკეე პალეოლითიდან მოყოლებული, ხოლო თუ ეთნოგრაფიულ მასალებს თვალს გადავაგლებთ, დღესაც, თანამედროვე პრიმიტიულ ხალხთა შორის და ხანდახან უფრო კულტურულად განვითარებულ ტომებშიაც, ვიკვით ამის უამრავ მაგალით.

სწორედ იმ მოსაზრებით, რომ მიცვალებული უკან არ „დაბრუნდეს“, უნდებს, სადაც მიცვალებულია მოთავსებული, თავდაღმა სდებენ მიწაში, და ზოგიერთ შემთხვევაში დღესაც სდებენ, მაგალითად რიო-გრანდე-დო-სულში და სხვაგან. ამავე მიზნით კუნძულ ლი-უკონზე (ფილიპეს კუნძულები) მიცვალებულს ჯერ სახლის წინ დასვამენ და შემდეგ ოთხი დღის განმავლობაში სევდიანის ხმით ეხვეწებიან უკან აღარ დაბრუნდეს მეგობრის ან ნათესავის წისაუყანად; დაბოლოს კი ამავე პოზით, ფეხებმოკრუნჩხულს ჩასდებენ მიწაში.

<sup>1)</sup> E. Böcklen, Die Entstehung der Sprache im Lichte des Mythos, 1922, S. 2, 188 ff.

<sup>2)</sup> Richard Andree, Ethnologische Betrachtungen über Hockerbestattung: Archiv f. Anthropologie. Braunschweig 1907, Neue Folge, Bd. VI, S. 282—307



ამავე მიზნით აგსტრალიელები ხელების და ფეხების თითებს მაგრაც უკრავენ მიცვალებულს, სხეულს უბორეავენ, ფრჩხილებს სქრიან და სწვავენ, რომ საფლავიდან არ ამოფოფედეს და სხვა და სხვა. როგორც უკვე აღნიშნული გვექნდა, ხშირი იყო შემთხვევე, როდესაც ნახეს მუმიად ქცეული მიცვალებული მჯდომარე პოზით შეკრული, რომელსაც ტუჩები და უკანა გასაგადი აკერილი ჰქონდა, ცხვირის ნესტოები კი დახშული<sup>1</sup>. საკითხავია, რით ხელმძღვანელობდენ ამგვარს შემთხვევებში მიცვალებულის ჭირისუფლები? პასუხი ერთია: რომ მიცვალებული ან მისი „სული“ უკანვე არ „დაბრუნებულიყო“.

ამგვარი მაგალითების მოყვანა, ცხადია, ბევრი შეიძლებოდა თანამედროვე პრიმიტიულ ხალხთა ცხოვრებიდან, მაგრამ ესეც საკმაოა, რომ ამნარი პარალელებით ახსნილ იქმნეს მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა ძველ დროში.

რასაკირველია, მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვა არ იყო დასაფლავების ერთად-ერთი ფორმა; ჩვენ ვიცით, რომ დამარხვის ამგვარ ფორმასთან პარალელურად არსებობდა დამარხვის სხვა ფორმებიც. მაგრამ, ვინც დამარხვის ამგვარ წესს მისდევდა, მას უეჭველია სხვადასხვა მოსაზრებებთან ერთად უმთავრეს მიზნად დასახული ჰქონდა მიცვალებულის თავიდან მოშორება ისე, რომ მას არ შესძლებოდა უკან „დაბრუნება“, თუმცა ამავე დროს მას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდენ და ყოველგვარ საჭირო ნივთს და საჭმელსაც სამარეში თან ატანდენ<sup>2</sup>.

### თავის ჩალა.

ზემოავტალის სამარის თავის ქალა დედაკაცის არის. ამ თავის ქალის ქვედა ყბა აღარ აქვს შერჩენილი და წარმოადგენს calvarium-ს.

თუ ველკერის სქემით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ზემოავტალის სამარის თავის ქალის მქონე დამიანის ხნოვანება 30—40 წლამდის უნდა ვიანგარიშოთ, რადგან ქალაზე შერჩენილი კბილები

<sup>1</sup>) Hermann Klaatsch, S. 236.

<sup>2</sup>) კარლ შუბჰარდ ტიც ეხება ამ საკითხს, მაგრამ მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვის ახსნას სრულიად გვერდს უხვევს. ამბობს მხოლოდ, რომ ამარეში გვერდზე დაწოლილი და ფეხებმოკრუნჩული მიცვალებული მიმგვანებული წარმატება იყოს მძინარე ადამიანს. Karl Schuchhardt, S. 23. შეად. Jakob Friesen, Grundfragen der Urgeschichtsforschung. Hannover 1928, S. 154.

საქართველოს მუნიციპის მოამბე, VI.



და საქმაოდ მკაფიოდ გამოხატული ნაკერები (სურ. 17 და 18) adultus-ის პერიოდს ეფარდება.

როგორც ყოველ თავის ქალაზე, აგრეთვე ზემოავჭალის სამარის თავის ქალაზედაც ორი უმთავრესი ნაწილი — ცერებრალური (Neurocranium) და ვისცერალური (Splanchnocranium) უნდა გავარჩიოთ. ამ ნაწილებს ფილოგენეტიურად და ფუნქციონალურად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და თანაც ადამიანთა ვარიეტეტების ერთო მეორეში გარჩევის საშუალებას გვაძლევს<sup>1</sup>.

ზემოავჭალის სამარის თავის ქალას კარგად აქვს განვითარებული ცერებრალური ნაწილი და ნაკლებად — ვისცერალური. ეს გარემოება კი საშუალებას გვაძლევს გადაჭრით ვოქვათ, რომ ზემოავჭალის სამარეში აღმოჩენილი თავის ქალა ეკუთვნოდა კულტურულად მაღალ საფეხურზე მდგომ ადამიანს.

ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად გარკვეულ კრიტერიუმს იძლევა თავის ქალის მოცულობაც, თუ ჩვენ, რასაკვირველია, ატავისტურსა და პათოლოგიურ მოვლენასთან (მაგალითად Mikrocephalie, Hydrocephalie და სხვა) არა გვაქვს საქმე. ამ მხრივ ზემოავჭალის სამარეში აღმოჩენილი თავის ქალა კულტურულად კარგად განვითარებულ ადამიანს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან მისი თავის ქალის მოცულობა 1367,89 ccm უდრიდა<sup>2</sup>.

აქვე საჭიროა მოვიგონოთ, რომ ევროპიელის თავის ქალის მოცულობა საშუალოდ 1500 ccm არის მამაკაცებისათვის და 1350 ccm — დედაკაცებისათვის; მაშასადამე, ზემოავჭალის სამარის თავის ქალის მოცულობა არც ისე პატარა ზომის გამოდის, რომ ის კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანს მივაკუთვნოთ.

<sup>1)</sup> ცნობილია, რომ კულტურულად მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანის თავის ქალის ცერებრალური ნაწილი უფრო კარგად არის განვითარებული და ნაკლებად — ვისცერალური, ვიდრე დაბალი კულტურის მენენე ადამიანის. ანთროპოგენეტიურად ეს აისხება იმ გარემოებით, რომ თავის ტვინის განვითარებას შედეგად მოსდევს თავის ქალის ცერებრალური ნაწილის გადიდება და ვისცერალური ნაწილის დაპატარავება, რადგან ამ შემთხვევაში საღეჭვი აპარატი რედუქციას განიცდის.

<sup>2)</sup> თავის ქალის მოცულობა ჩვენ გამოვიანგარიშეთ პერსონის და ლევ მიერ მოცემული ფორმულით: [ $\Delta C = 0,400$  (L—11) (B—11) (OH—11) + 200]. E. Fischer und Th. Mollison, Allgemeine Anthropologie. Anthropologie unter Leitung von G. Schwalbe und E. Fischer, S. 45. Leipzig u. Berlin 1923. ეს მოცულობა ვიანგარიშეთ აგრეთვე სხვანაირადაც. თავის ქალის შიგნით foramen occipitale magnum-იდან თხელი ბუშტი ჩავდევით და ამრიგად წყლით გავაცსო ცერებრალური ნაწილი. წყლის დარწყვამაც დაახლოებით ზემო, ნახ-

სახელიცხვი მოგვა.



საერთოდ დადასტურებულია, რომ კულტურის განვითარებას და მის ზრდას შედეგად მოსდევს ამ კულტურის მატარებელი ხალხის ტვინის ზრდა და ამ უკანასკნელზე დამოკიდებული თავის ქალის მოცულობის გადიდება. ჩვენი თავის ქალის მოცულობა იმდენად დიდია, რომ თამამად შეგვიძლია მისი მეონე სუბიექტი მაღალი კულტურის მატარებელ ადამიანს მივაკუთვნოთ და ფ. სარასინის მიერ მოცემული სქემის თანახმად aristencephal-ად ვაღიაროთ<sup>1</sup>.

### თავის ქალის ზომები.

ადამიანთა ვარიეტეტების ერთი მეორესთან შესაღარებლად, გარდა თავის ქალის ცერებრალური და ვისცერალური ნაწილების მხედველობაში მიღებისა, ზოგიერთი მნიშვნელობა აქვს თავის ქალის გარეგნულ ფორმასაც, რომლის გასარკვევად საჭიროა კრანიომეტრიული ზომები. ამ მხრივ უმთავრეს და მნიშვნელოვან ზომებად უნდა ჩითვალოს თავის ქალის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე.

ეს ზომები შემდეგია:

სიგრძე—193 mm (glabella-სა და opistocranion-ს შუა),

სიგანე — 125 mm (tuber parietale-ს შუა) და

სიმაღლე — 151 mm (basion-სა და bregma-ს შუა)<sup>2</sup>.

ამის მიხედვით:

სიგრძე-სიგანის	ინდექსი	( 100. სიგანე )	უდრის	64,77-ს,
		სიგრძე		

სიგრძე-სიმაღლის	"	( 100. სიმაღლე )	"	78,24-ს და
		სიგრძე		

სიმაღლე-სიგანის	"	( 100. სიგანე )	"	82,78-ს.
		სიმაღლე		

სიგრძე-სიგანის ინდექსი. ადამიანთა ვარიეტეტების ერთი მეორესთან შესაღარებლად სიგრძე-სიგანის ინდექსს, Anders Retzius-ის მეტად საყურადღებო შრომის<sup>3</sup> შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება ეძლევა. ამ ინდექსის მიხედვით და საერთოდ შემოლებული კლასიფიკაციის თანახმად ზემოავჭალის სამარჯის თავის ქალი hyperdolic-chocephal-ებს უნდა მივაკუთვნოთ<sup>4</sup>.

<sup>1</sup>) E. Fischer und Th. Mollison, S. 44.

<sup>2</sup>) გაზომვას ვახდენდით თავის ქალის ეგრეთწოდებულ „ფრანკფურტის ჰორიზონტალური მდებარეობის“ მიხედვით, თუმცა უვალბე ამგვარ ზომებს ახდენდა glabella-inion-ის ერთს დონეზე დაყენების დროს.

<sup>3</sup>) Om formen af Nordboernes Cranier. Stockholm 1842.

<sup>4</sup>) თავის ქალის ყველაზე პატარა ინდექსი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათოლიგიურ ცვალებადობას (სკაფოცეფალიას), იყო აღმოჩენილი მიკლ უხა მაკლაის მიერ ერთი ავსტრალიელის თავის ქალაზედ. ეს ინდექსი უდრიდა ნპ.



სიგრძე-სიგანის ინდექსის საშუალებით ადამიანთა ვარიეტეტების ერთი მეორესთან შედარების საკითხში მეცნიერთა შორის ღიღი უთანხმოება არსებობს დღესაც.

თავის თავად იგულისხმება, რომ მარტო ამ „ნიშნით“ არ შეიძლება ადამიანთა ერთი მეორეში გარჩევა და, თუ ყველა გარემოებას მხედველობაში არ მივიღებთ, შეგვიძლია აბსურდამდე მივიღეთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია ეს „ნიშანი“ გამოვიყენოთ, ვინაიდან ვიცით, რომ ყველსავე განსაზღვრულ ადამიანთა ვარიეტეტების დახსროვებით ერთი და იგივე სიგრძე-სიგანის ინდექსი აქვს. მაგალითად ავსტრალიელების უმტეტესი ნაწილი ( $89\%$ ) დოლიბოცფალები არიან, ხოლო უნიშვნელო პროცენტი ( $11\%$ ) მეზოცეფალები. თავის ქალები დიზენტიდან თითქმის ყველა ( $94\%$ ) ბრაზიცეფალური გამოდგა.

ცხადია, რომ ამგვარიდ დაყოფისათვის სიგრძე-სიგანის ინდექსს საქმაო მნიშვნელობა აქვს, როგორც თანამედროვე, აგრეთვე უკვე გადაშენებულ ადამიანთა ვარიეტეტების შესასწავლად და ერთგვარი კონვენციონალური კლასიფიკაციისათვის.

ევროპის იმ ადგილებში, სადაც დოლიბო- ან მეზოცეფალები ცხოვრინდენ, დღეს ბრაზიცეფალებს ჟედავთ. როგორ უნდა აგხსნათ ჩვენ ამგვარი ცვალებადობა სიგრძე-საგანის ინდექსის მიხედვით? პასუხი ერთად ერთია: „სხვა ადამიანთა ვარიეტეტების შემოსვით და შერევით, ვინაიდან ეს ცვალებადობა არ არის გამოწვეული დოლიბო-მეზოცეფალების თავისთავად ბრაზიცეფალებად გარდაქმნით.“

ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, სიგრძე-სიგანის ინდექსს დიდი მნიშვნელობა აქვს: ის გვშველის გავერკვევ, თუ როგორ ირეოდენ ერთი მეორეში, ან როგორ ენაცვლებოდენ ერთი მეორეს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ვარიეტეტები<sup>1)</sup>.

სიგრძე-სიმაღლის ინდექსი. ჩვენი თავის ქალის სიგრძე-სიმაღლის ინდექსი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, 78,24-ს უდრის, მაშასადამე თავის ქალა *hypsicephal*-ებს უნდა მივაკუთვნოთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ სიგრძე-სიმაღლის ინდექსს

<sup>1)</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ, როდესაც ამონათხარ თავის ქალასთან ვკაჭებს საქმე და გესურს მისი შედარება თანამედროვე ადამიანთა თავებთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამონათხარი თავის ქალის სიგრძეს და სიგანეს შვიდ-შეიდი მილიმეტრი უნდა მიუმატოთ. ცხადია, რომ ამ გზით კინტროვერზები შესაძლებელია, ვინაიდან თავის ბოლო ნაწილების სისქე სავადასხვა ინდივიდუუმებს სხვადასხვა აქვს, მაგრამ ასეთი წინდახდულება მაინც საჭიროა, რომ სინაზდეილუსთან უფრო ახლოს ვყოთ. E. Fischer und Th. Mollison, S. 46.



იგივე მნიშვნელობა აქვს „რასების“ კლასიფიკაციისათვის, როგორც სიგრძე-სიგანის ინდექსს.

**სიმაღლე-სიგანის ინდექსი.** რაც შეეხება სიმაღლე-სიგანის ინდექსს, ის ჩვენ თავის ქალას საკმაოდ პატარა (82,78) აქვს. ამ ინდექსის მიხედვით, თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ბროკას მიერ შემოღბული კლასიფიკაციით, ზემოაცხალის სამარის თავის ქალა tapeinopecephal-თა კატეგორიას უნდა მივაჟუთნოთ.

თავის ქალის ფორმა პორიზონტალურ პროექციაში. ვინაიდან სიგრძე-სიგანე-სიმაღლის გაზომით და ინდექსებით თავის ქალის ფორმის მოყვანილობის მიღება სავსებით არ შეიძლება, ამიტომ თავის ფორმის გამოსარკვევად სერეიმ (Sergi) შემოილო ერთგვარი კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად თავის ქალის კონტურ-ფორმა დაუდო. ამ უკანასკნელის მიხედვით ჩვენი თავის ქალა პორიზონტალურ პროექციაში (Fornie du crâne à la projection horisontale) მოგვცემს ოვოიდალურ მოყვანილობას, რაც ნათლად ჩანს სურათზე-დაც (სურ. 17).


**შუბლის ძვალი (os frontale).** შუბლის ძვლის მოყვანილობა გაიგება, როგორც მისი რკალის და ქორდის გაზომით და ინდექსით, აგრეთვე შვალბეს მიერ მოცემული სქემით, რომელიც შუბლის კუთხის გამოანგარიშებაზეა დამყარებული. ამ ძვლის რკალი (Frontalbogen), თუ მას nasion-სა და bregma-ს შუა გავზომავთ, უდრის 141 mm, ქორდა (Frontalsehne)—118 mm, მისი ინდექსი (frontaler Sehnen-index)—86,52, რაც ჰგულისხმობს თავის ტვინის წინა ნაწილის საჭაოდ განვითარებას.

Torus supraorbitalis განვითარება, რომელიც homo primigenius-ის და პრიმიტიულ ადამიანთა ვრციელებების დამახსიათებელ თვისებად ითვლება, ჩვენ თავის ქალას არ ეტყობა. არ ეტყობა აგრეთვე განვითარება სამკუთხოვანი ფორაკის (glabella), რომლის ფორმა საგიტალურ სიბრტყეზე ისეთს მოხაზულობას მოგვცემს, რომელიც ბროკას აქვს აღნიშნული პირველი ნუმრით<sup>1</sup>.

**თხემის ძვალს (os parietale)** მეტად ცოტა მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიაში. ამ ძვლის რკალის (Parietalbogen) სიგრძე bregma-სა და lambda-ს შუა უდრის 130 mm, ქორდა (Parietalsehne)—118 mm, მხოლოდ ინდექსი კი (parietaler Bogen-Sehnen-Index) 90, 78-ს არ აღემატება.

თუ bregma-სთან ჩვენ თავის ქალაზე მედიალურ ჭრილს (For-

<sup>1</sup>) П. Б р о к а, Антропологические таблицы для краинологических и кефалометрических вычислений. Вып. II, стр. 28, Москва 1879.



me du crâne en face) გავიყვანო, მაშინ ეს უკანასკნელი ფერი ტან მოღუნულ მოყვანილობას მოგვცემს.

**კეფის ძვალი** (os occipitale)<sup>1</sup>. ეს ძვალი საგიტალური ჭრილის პროექციაში არ არის დიდზე გამოწეული და protuberantia occipitalis externa ამ ჭრილზე იღებს ისეთს მოხაზულობას, რომელიც ბროკას სქემაში მეორე ნუმრით არის აღნიშნული<sup>2</sup> (სურ. 14—15). ამავე ძვალზე ჩვენ ვამჩნევთ, რომ protuberantia occipitalis interna დიდზედ არის დაცილებული torus occipitalis-ს, რომლის მიზეზად ფილოგენეზი უნდა ჩაითვალოს; თვით torus occipitalis-ის თვალსაჩინო სიმრუდე ამავე მიზეზს უნდა მიეწეროს. Os occipitale-ს ზემო ნაწილზე ჩვენ თავის ქალას არ ახლავს პატარა ძვლები, რომელიც os Inka-ს სახელით არიან ცნობილი.



სურ. 14. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა. Norma lateralis.

Os occipitale-ს რკალი (Occipitalbogen) უდრის 111 mm, ამავე ძვლის ქორდა (Occipitalsehne)—98 mm, ხოლო მისი ინდექსი (occipitaler Bogen-Sehnen-Index)—88, 29.

ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად ამ ინდექსს ჯეროვანი მნიშვნელობა ეძლევა ანთროპოლოგიაში.

**Mediansagittalbogen.** აქვე უნდა აღინიშნოს მედიან-საგიტალური რკალი, რომლის სიგრძე nasion-იდან opisthion-ამდენის 382 mm-ს

<sup>1)</sup> Os occipitale-ს ხევსურები „კუნკულას“ უწოდებენ.

<sup>2)</sup> П. Б р о к а, стр. 29.



უდრის. ამაზედ დამოკიდებული თავის უმთავრესი ძვლების ინდექსი- ურთიერთებული ბი, რომლებსაც ანთროპოლოგიური მნიშვნელობა აქვს, შემდეგია: პირულითია:

frontaler	Sagittal-Bogen-Index-ი	უდრის	36,91
parietaler	"	"	34,03
occipitaler	"	"	29,05

ნაკერი (sutura)<sup>1)</sup>. რაც შეეხება საზოგადოდ ნაკერს, უნდა აღვნი- შნოთ, რომ შუბლის ძვალის ნაკერი glabella-დან დაწყებული (სურ. 16) პატარა სივრცეზე ჩვენს თავის ქალას გახსნილი აქვს, მაგრამ ეს გარემოება მეტობიზმით მაინც არ აიხსნება. ეს არის მხოლოდ შედე- გი თავის ქალაზე ზემოდან მიწის დაწოლისა.

ამავე ძვალზე დანარჩენი ნაკერი მშვენიერად არის ერთი მეო- რეში შეკავშირებული და bregma-სთან ოთხი ნაკერი თვალსაჩინოდ არ იყრის ერთად თავს, როგორც ამას მეტობიზმის დროს აქვს ხოლმე ადგილი.



სურ. 15. ზემოავტორის ადამიანის თავის ქალა. Norma lateralis.

თავის ქალის დანარჩენი ნაკერები, მაგალითად sutura coronalis (სურ. 17) უახლოვდება ბროკას სქემაში მეორე ნუმრით აღნი- შნულს ნაკერს, ხოლო sutura sagittalis და sutura lambdoidea (სურ. 17 და 18) უფრო რთულია და ბროკასავე სქემის მე 4-ე ნუმერს ეფარდება.


კეფის დიდი ხვრელის (foramen occipitale magnum) სიგრძე basion-სა და opisthion-ს შუა უდრის 37 mm, ხოლო მისი განი-

1) Sutura-ს ხევსურეთში „შენაყარს“ ეძახიან.

—25 mm. კეფის როკების (condyli occipitales) შუა სიგანის აღება ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან მათ თავები აღარ აქვთ შერჩენილი.

**Pterion**-ის ფორმას ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად რამდენადმე აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენს თავის ქალის ცალ მხარეზე სულ არ აქვს pterion-ი შერჩენილი და მეორე მხარეზე კი იმდენად დაზიანებულია, რომ მისი დახასიათება შეუძლებული ხდება.

**დეფორმაცია.** ადამიანის თავის ქალის დეფორმაცია შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული, მაგალითად სინოსტოტიური, ხელვნური, პათოლოგიური და სხვა.



სურ. 16. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა. Norma frontalis.

ჩვენს თავის ქალას დეფორმაცია აქვს მიღებული მაწაში მოხვედრის შემდეგ (სურ. 14—19). გათხრების დროს აღმოჩნდა, რომ ქალა მარჯვენა გვერდით იყო მიწაზე დადებული (სურ. 3 C). მას ნათლად ეტყობოდა მიწის ზემოდან დაწოლა და ფორმის ცოტად თუ ბევრად შეცვლა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან თავის ქალის შიგნითა მოცულობა ტვინის გახრწნის შემდეგ ერთ დროს თითქმის ცარიელი იქნებოდა, სანამ ჩინაფონი წყლის საშუალებით მიწით ამოიციებოდა. ამ ხნის განმავლობაში და რამდენადმე შემდეგ-შიც თავის ძვლებს არ შეეძლოთ თავისუფლად მიწის სიმძიმე აეტანათ და ამიტომ იცვლიდენ თავის ფორმას. ასეთი ცვალებადობა ეტყობა ჩვენს თავის ქალას, რასაც სხვათა შორის მოწმობენ, როგორც შუბლის ძვალზე გახსნილი ნაკერები, აგრეთვე თავის ქალაზე დამსკდარი ადგილები (სურ. 17), რომლებიც პერპენდიკულა-



რულად ხვდებიან საგიტალურ ჭრილს. აქიდან ადვილი შარმოსადგე ურთიერთებული ნია, რომ თავის ქალა ცოტად გაბრტყელდებოდა, ე. ი. მისი სიგანგიშული მოიკლებდა.

მაგრამ აქვე იბადება საკითხი, შესაძლო იყო თუ არა, რომ თავის ქალის ძვლებს თავისი ზომა შეეცვალათ მიწის დაწოლის გავლენით, ე. ი. შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ ეს ძვლები გადიდებულიყო ან დაპატარავებულიყო? ამაზე ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ მიწის დაწოლას ძვლებზე ან სულ არავითარი ცვლილება და ან მეტად უმნიშვნელო გავლენა უნდა მოეხდინა, ვინაიდან ჩვენი თავის ქალის ძვლებს შერჩენილი აქვს სხვადასხვა მარილების შემაღებელობა. ჩვენ კი ვიცით, რომ ასეთი ძვლების გაგრძელება და შემოკლება ან სრულიდ არ შეიძლება და



სურ. 17. ზემოავტოლის ადამიანის თავის ქალა. Norma verticalis.

ან მეტად უმნიშვნელოდ. მხოლოდ ამავე ძვლების მოლუნვა კი შეიძლება, ვინაიდან ამისათვის არის საჭირო, რომ თავის ქალის ამოდრეუილმა ზედაპირმა სულ ოდნავ მოიმატოს, ხოლო შიგნითა პირი ცოტად შეიუმშოს. ამგვარ „მოლუნვას“ ხელს უწყობს აგრეთვე თავის ქალის ბრტყელი ძვლის გარეთა პირის დაბზარვაც.

აღსანიშნავია, რომ ძვლის მოლუნვის დროს ზომის მხრივ ცოტაცეალებადობას განიცდის მხოლოდ ძვლის გარეთა და შიგნითა პირი, ხოლო შუა გული კი თითქმის უცვლელად რჩება. ამიტომ მოლუ-



ნული ბრტყელი ძვლის ზომა შეიძლება უცვლელად ჩაითვალისწილობის მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მილიმეტრით განსხვავებას. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ თავის ქალის „ბრტყელი“ ძვლის მოლუნვის დროს რელების ზომა თითქმის უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მათი ქორდები. აი სწორედ ეს გარემოება უნდა გვქონდეს მხედველობაში, როდესაც ჩვენი თავის ქალის ზომებს სხვა თავის ქალის ზომებს შევადარებთ<sup>1)</sup>.



სურ. 18. ზემოავჭ ლის ადამიანის თავის ქალა.

**ტრანსაცია,** რომელიც უმთავრესად ჰყულის სმობს თავის ქალაზედ ხელოვნურად ხვრელის გაკეთებას, იყო გავრცელებული უძველესი დროიდან (ნეოლითიდან) თითქმის მთელ მსოფლიოში. ზოგიერთი რეცენტიული „რასა“ დღესაც მიმართავს ტრანსაციას მაგიური მნიშვნელობით<sup>2)</sup>.

ტრანსაციას უკეთებდენ როგორც ცოცხლებს, ისე მიცვალებულებს. ტრანსაციის დროს სურდათ ან ბოროტი სულის „გამოშვება“ თავიდან, ან ამოჭრილი ძვლის ამულეტად გაკეთება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამულეტისათვის თავის ქალიდან ძვლის ამოჭრა მიცვალებულებზე ხდებოდა. ამ მიზნით თავის ქალაზე ძვლის ამოჭრის დროს გაკეთებული ხვრელი სხვადასხვაობას განიცდიდა, როგორც ფორმით, აგრეთვე ზომით.

<sup>1)</sup> წეადარე Н. В. Берви, О методе исследования ископаемых и современных черепов: *Русский антропологический журнал* № 1, стр. 48—69, Москва 1903.

<sup>2)</sup> მაგალითად წითელკანა ილინისები.



ჩვენს თავის ქალის frontale-ს ძვლის მარცხენა მხარეზე frontale-სა და coronale-ს ნაკერებს შუა, bregma—დან 27 mm დაცილებით ოვოიდალური ფორმის ჭრილი აქვს (სურ. 17), რომელიც დასულია ძვლის ქვემო პირამდე. ამ ჭრილის სიგრძე არის 28 mm, სიგანე—7 mm; ჭრილის ნაპირების უმეტეს ნაწილს ნათლად ეტყობა ქვლის წამოზრდა. მაშასადამე, ზემოავჭალის სამარის თავის ქალის მქონე ადამიანს, ამ ჭრილობის მიღების შემდეგ, კიდევ დიდხანს უცოცხლია. ეს ჭრილი რომ გახვრეტილი ყოფილიყო, უნდა გვეფიქრა, რომ ტრეპანაციასთან გვქონდა საქმე, მაგრამ ამგვარი შესაძლებლობა არ არის დასაშევები. უფრო სამართლიანია ვიფიქროთ, რომ ამ ადგილის თავს ზემოდან დაარტყეს რამე (ქვა, ჯოხის ბოლო, შუბის წვერი ან სხვა) და ის დაზიანდა, რასაც მოჰყვა ექიმისა. ჭრილობა მოოჩია და მისმა ნაპირებმა ზრდა იწყეს. ეს ზრდა ნათლად ეტყობა თავის ქალაზე მიყენებული ჭრილობის ნაპირებს (სურ. 17).



სურ. 19. ზემოავჭალის ადამიანის თავის ქალა. Norma basilaris.

ჩვენ არ გვაქვს აგრეთვე საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენ დაუმთავრებელ ტრეპანაციასთან გვქონდეს საქმე. რომ ეს ჭრილობა დაუმთავრებელი ტრეპანაციის შედეგი იყოს, რასაც ამ თავის ქალის მქონე ადამიანის სიკვდილი უნდა მოჰყოლოდა, მაშინ ჭრილობის ნაპირების წამოზრდას ადგილი აღარ ექნებოდა. ჩვენი თავის

ქალის ჭრილობა კი გვეუბნება, რომ ადამიანს ამ ჭრილობის შემდეგ კიდევ უცოცხლია, ამიტომ ამას მოუთავებელ ტოქანაციად ვერ ჩავთვლით. მაშასადამე, არის ერთად ერთი დასაშვები აზრი, რომ ჩვენი თავის ქალის მქონე ადამიანს ჭრილობა ჰქონდა მიყენებული სიცოცხლეში და რომ ეს ჭრილობა მორჩენილი იყო.

**პირის სახის ქალა.** პირის სახის ქალა არ არის განვითარებული; მას მეტად კარგად ეტყობა, როგორც სალეჭავი აპარატის, აგრეთვე ცხვირის რედუქცია (სურ. 16). პირის სახის ფორმა (Forme de la face) უფრო ტრიანგულარულია, ვიღრე ოვოიდალური. პირის სახის სიმაღლე nasion-იდან prosthion-ამდე (დაახლოვებით) 64 mm-ს უდრის. პირის ზემო სახის ინდექსი—69, 57 არის, ვინაიდან os zygomaticum-ებს შეა სიგანე 92 mm უდრის.

**თვალბულე ანუ ორბიტა (orbita).** ადამიანთა ვარიეტეტების გასარჩევად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორბიტის ფორმას და მის ინდექსს. ჩვენი თავის ქალის ორბიტას ოთხუთხი ფორმა აქვს (სურ. 16). მისი სიგანე—38 mm, სიმაღლე—32 mm, ხოლო მისი ინდექსი—84,21 mm, რაც გვაძლევს საშუალებას იგი mesokonch-ების ჯგუფს მივაკუთხონოთ. აქვე ალვინიშნავთ, რომ ორბიტები 16 mm-ით არიან ერთი მეორეს დაცილებული და ნაპირები ცოტად თუ ბევრად მომრგვალებული აქვთ.

**ყვრიმალის ძვალი (os zygomaticum)<sup>1</sup>.** ამ ძვლის გარეგნული შეხედვითაც ნათლად ირკვევა, რომ ჩვენს თავის ქალის მონლოლიდალურ ტრიპთან, როგორც ეს ზოგიერთებს გონია, საერთო არაფერი აქვს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ, თუ ცხვირის ძვლების წინ ფრონტალურ სიბრტყეს გავავლებთ, მაშინ os zygomaticum-ის tangete-ბი მეტად დაცილებული რჩება, რაც სრულიად არ არის მონლოლებისათვის დამახასიათებელი.

**ცხვირი.** ცხვირის ფორმას და მის ინდექსს თვალისაჩინო მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიაში, მაგრამ მიუხედავად ბევრი ცდისა, ჩვენ მაინც ვერ შევძლით მთლიანად ცხვირის ძვლების რესტავრაცია და მისი ფორმის აღდგენა.

ცხვირის სიგრძე დაახლოვებით 50 mm უდრის, სიგანე—21 mm და ინდექსი კი—42. ასე რომ, ამ ინდექსის მიხედვით, შესაძლო ხდება სახის ქალის leptorhin-ად აღიარება.

ვერც apertura piriformis აღდგენა მოხერხდა, ვინაიდან nasospinale სრულიად აღარ არის შეჩენილი.

<sup>1)</sup> ამ ძვალს ხევსურები ეძახიან „ქურის ქიმს“.



კბილები. კბილებსაც საკმაო მნიშვნელობა აქვს ადამიანთა კულტურული რიეტეტების გასარჩევად.

სცეციალური ოდორნტოლოგიური და ანთროპოლოგიური ლიტერატურა ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა. ადამიანთა კბილების სიდიდე, მათი ფორმა და რიცხვი, მათი ხელოვნური დეფორმაცია და სხვა ერთგვარ სამუალებას გვაძლევს ადამიანთა ვარიეტეტების გარჩევისათვის. ამიტომ კბილების შესწავლა ანთროპოლოგიური გამოკვლევების დროს, არამც თუ სასურველია, არამედ აუცილებელიც.

სამწუხაროდ Geoffroy Saint-Hillari-ს დაკვირვებანი და შრომები ქვემო და ზემო incisiva-ს შესახებ, რომლითაც ჩვენ შევვეძლო ამა თუ იმ ვარიეტეტის დადასტურება, ჩვენთვის უნაკოფო რჩება ვინაიდან ჩვენს თავის ქალას არც ეს კბილები და არც მათი ბულები (alveoli) შერჩენილი არა აქვს.

არც P. Broca-ს (Des différentes espèces de prognathisme: Bull. de la Soc. d'Anth. de Paris 1873) და H. Welcker-ის დაკვირვება კბილების მიხედვით პროგნათიის და ორთოგნათიის გასარჩევად და ან რომელიმე ტაპის აღსადგენად ჩვენთვის საიმედო არ ხდება, რაღაც ამისთვის საჭირო ქვემო და ზემო ყბის ნაწილები და მათში ჩასმული კბილები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ მოგვეპოვება. Owen-მა და Pruner—Bey-მ თავისი გამოკვლევებით დაამტკიცეს, რომ, თუ თეთრკანა ადამიანებს საძირე კბილები, წინიდან უკანისკენ თანდათან უფრო უპატარავდებათ, პრიმეტიული ადამიანის ეს კბილები წინიდან უკანისკენ თანდათან უდიდდებათ. საერთოდ კბილების სიდიდე მაღალი კულტურის მქონე ადამიანს არ ახასიათებს.

ზემოავტალის ადამიანის კბილების ინდექსი 41,8 არის და ამიტომ W. H. Flower-ის კლასიფიკაციით ის უნდა მივაკუჯვნოთ მიკროდონტს.

Magitot-ის და Galippe-ს გამოკვლევით, კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომ ხალხს მარჯვენა უბის კბილები უფრო მჭიდროდ აქვთ ერთიმეორესთან, ვიდრე მარცხენა, რაც არ შეიძლება ითქვას კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხზე. Darwin-ის, P. Broca-ს და Mantegazz-ის გამოკვლევებით „სიბრძნის კბილის“ ნაკლებობა ახასიათებს მაღალი კულტურის მქონე ადამიანს. ეს კბილი კულტურულად განვითარებულ კაცობრიობას თანდათან ეკარგება<sup>1</sup>. ჩვენს

<sup>1)</sup> R. Wiedersheim, Der Bau des Menschen als Zeugnis für seine Vergangenheit. Tübingen 1908, S. 202.

თავის ქალას ეს კბილი შეტჩენილი აქვს, მაგრამ განუვითარებელია. შეტჩენილი კბილები არც ერთი არ აქვს გაფუჭებული.

თავის ქალის წონა. ჩვენი თავის ქალის წონა 370 gr უდრის. მართალია, თავის ქალას სრულებით აკლია ქვემო ყბა<sup>1</sup> და ზოგიერთი ნაწილი, მაგრამ ამ დანაკლისი ნაწილების წონა საერთოდ 70—80 gr—ს არ უნდა აღემატებოდეს; ასე რომ ზემოავჭალის სამარის თავის ქალის წონა დაახლოვებით 440—450 gr უნდა ყოფილიყო, რაც მეტად ცოტაა თავის ქალის წონისათვის<sup>2</sup>.

ზემოავჭალის ადამიანის სიმაღლე. ჩონჩხის სიგრძე, ანუ ზემოავჭალის ადამიანის სიმაღლე, ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ მხარის ძვლის (humerus) მიხედვით, ვინაიდან, გარდა ამ ძვლისა, არც ერთი მთლიანი ძვალი არ ჰქონდა ჩონჩხს შეტჩენილი. ამ ძვლის სიგრძე უმაღლეს შეტტილ caput humeri-დან trochlea-ს ქვემო ნაპირამდის (საგიტალური სიბრტყის პროექციაზედ) უდრის 275 mm, მაშესადამე, თუ ჩვენ Manouvrier-ის ტაბულას შედველობაში მივიღებთ<sup>3</sup>, მაშინ ჩვენი ჩონჩხის სიგრძე გამოვა 1470 mm. ამავე ზომას მივიღებთ დაახლოვებით, თუ ჩვენ ამას გამოვიანგარიშებთ Pearson-ის მიერ მოცემულა ფორმულით<sup>4</sup>:

აქვე საჭიროა ოღნიშნოთ, რომ მთელს მსოფლიოში ქალის სიმაღლე საშუალოდ 1540 mm უდრის და, თუ ჩვენ ტოპინარის კლასიფიკაციით ვიხელდოვანელებთ, მაშინ ზემოავჭალის ადამიანის (ქალის) სიმაღლე საშუალო ტანის სიმაღლის ზომაზე ნაკლებად უნდა ჩავთვალოთ.

რა სქესის იყო ზემოავჭალის ადამიანი? ადამიანის თავის ქალის მიხედვით სქესის გამორკვევა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს და ზოგიერთს შემთხვევაში—შეუძლებელიც არის, განსაკუთრებით, თუ პრიმიტიულ ადამიანთა გვაქვს საქმე. მაგრამ, თუ კულტურულად განვითარებულ ადამიანთა ვარიეტეტებს ავიღებთ, მაშინ თავის ქალის მიხედვით სქესის გამორკვევა უმეტეს შემთხვევაში (90%<sup>5</sup>) შესაძლებელია.

<sup>1)</sup> დედაგაცის ქვედა ყბის წონა საშუალოდ უდრის 56 gr, ხოლო მამაკაცის—88 gr.

<sup>2)</sup> დედაგაცის თავის ქალის წონა საშუალოდ აღებული უდრის 55 gr, მამაკაცის—731 gr.

<sup>3)</sup> L. Manouvrier, La determination de la taille d'après les grands os des membres: *Mem. de la Soc. d'Anthrop.* t. IV, Paris 1893.

<sup>4)</sup> 706,41+(2,894×275). K. Pearson, Mathematical Contributions to the Theory of Evolution. V. On the reconstruction of the stature of prehistoric races: *Phil. Trans.* Vol. 192. A. p. 169, London 1899.



ჩვენი ზემოავჭალის აღამიანის თავის ქალა, როგორც თავი-დანვე იყო ოღნიშნული, დედაკაცის არის. ამას გვეუბნება თავის ქალის *habitus*-ი და კრანიომეტრიული ზომები. ამასავე ამტკიცებენ თავის ქალის ძვლების წონა, თხელი 4 mm-სისქე თხემის ძვალი (os parietale), თავის ქალის მოცულობა (კაპაციტეტი), როგორც აბსოლუტური, აგრეთვე რელატიური, პატარა *foramen occipitale magnum*, დვრილისებური მორჩის (processus mastoideus) და აგრეთვე ყველა კუნთოვანი მორჩების და ხაზების მეტად სუსტი გამოხატულება, განუვითარებელი. *glabella* და *arcus superciliaris*, დაქანებული შუბლი, რომელიც ჯერ სწორად არის განვითარებული და შემდეგ კი უცბად გადაზინექილი, საკმაოდ ამობრილი თხემის ბორცვები და კეფი, მეტად პატარა ზომის ვისცერალური ნაწილი, პატარა ზომის კბილები და სხვა.

ყველა ზემოამოთვლილი ნიშნები საკმაოდ არის. გამოხატული და საერთოდ გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ზემოავჭალის აღამიანის თავის ქალი დედაკაცის არის.

ამასთანავე თუ მჟღიგონებთ ჩონჩხის სიგრძეს და სამარის ზოგიერთ ინვენტარს, სახელდობრ—შელავზედ წამოცმულს ბრინჯაოს, ორს, პატარა ზომის ( $D=5,4$  cm) სამაჯურს, პატარა ზომისავე ( $D=1,8$  cm) 5 ცალ ბეჭედს, მახათს და მრავალ მძივს,—მაშინ უფრო ცხადი გახდება, რომ ზემოავჭალის სამარეში აღმოჩენილი აღამიანი ქალი უნდა ყოფილიყო.

როგორი თავის ქალები იყო აღმოჩენილი ზემოავჭალის მასლობლად? საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი თავის ქალები იყო აღმოჩენილი ზემოავჭალის მახლობლად, განსაკუთრებით სამთავროს უძველესი დროს, რომელსაც აღმოჩენილი აღმოჩენილი უკავშირდება ზემოავჭალის სამარე.

იმ საკითხის შესახებ ჩვენ მეტად ბუნდოვანი ცნობები მოგვეპოვება. ფ. ბაიერნი ამბობს, რომ მან სამთავროს „ძირი სართულის სამარეებში“ აღმოაჩინა «Macrocephalen Schädel»<sup>1</sup>. ამგვარსავე მაკროცეფალურ თავის ქალებს აღნიშნავენ ჰენ. ფრიცი (H. Fritsch) სამთავროში<sup>2</sup> და რუდოლფ ვირხოვი და სხვანი სამთავროს სასაფლაოდან, მაგრამ რა ტიპის სამარეებიდან—არ ვიცით<sup>3</sup>.

<sup>1)</sup> F. Bayern, Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus und seine vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie: Verhandlungen, S. 340, Berlin 1882.

<sup>2)</sup> Verhandlungen, S. 149, Berlin 1875.

<sup>3)</sup> Verhandlungen, S. 478, 1882.



სამთავროს სასაფლაოში აღმოჩენილ მაკროცეფალური თავის ქალებს აღწერს ს. ს ცეპურა<sup>1</sup>, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ აღწერილი თავის ქალები არის ფიქალო ქვებით ნაშენი აკლდამებიდან ამოღებული. როგორც ჩანს, მაკროცეფალური თავის ქალები აღმოჩენილი ყოფილა, როგორც ძირა სართულის ორმოსამარებში, აგრეთვე ფიქალო ქვებით ნაშენებ აკლდამებშიდაც. ეს მაკროცეფალური თავის ქალები ის თავის ქალები გახლავთ, რომლებზედაც ჩვენ მოგვეპოვება ისტორიული ცნობები ჰიპოკრატის ნაწერებში: «De aere aquis et locis». თუ როგორი იყო ამ Macrocephalen-schädel-ების გვერდით სხვა თავის ქალები სამთავროს ორმოსამარებში, ეს ჩვენ არ ვიცით.

მართალია ჩ. ვირხოვი ერთს თავის შრომაში ამბობს, სამთავროს სასაფლაოს თავის ქალები გრძელი და ვიწრო არიან<sup>2</sup>, მაგრამ აქ არ უნდა იყოს ნაგულისხმევი ძირა სართულის ორმოსამარები<sup>3</sup>.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ მაკროცეფალური თავის ქალები ბევრს სხვადასხვა ადგილის არის ნახული (მაგალითად მდინარე ღონის ნაბირზე, როსტოვის ახლოს, სამარის მიდამოებში; ციმბირში—ტომსკ-თან, უნგრეთში, აგსტრიაში, რაინის ნაპირზედ, საფრანგეთში, ჩრდილოეთში, აგრეთვე ავსტრიაში და სხვაგან).

<sup>1)</sup> С. Ф. Сцепура, Опыт антропологического исследования макрекефалических черепов. Тифлис 1875.

<sup>2)</sup> Verhandlungen, S. 479, 1882.

<sup>3)</sup> აღსანიშვაგია, რომ დეფორმირებული მაკროცეფალური თავის ქალები აღმოჩენილია აგრეთვე სართავებით (Vérhand., S. 478. 1882), გახანში (ჩერქეზი, გასულ წელს, ინახება საქ. მუზეუმში), ყირიმში (გახანურებით ქ. ქრისტიანობიში), ქვემო ავსტრიაში და სხვაგან.

ყირიმში და ქვემო ავსტრიაში აღმოჩენილ მაკროცეფალურ თავის ქალებს აკადემიური ბრი (Baer) ავარელების შემსევის დროს აკუთხებდა და შესაძლებლად სთვლიდა, რომ ეს თავის ქალები ეკუთხოდა რომელიმე ტომს, რომელიც ავარელების კავშირში (der avarische Bund) შედიოდა (Die Makrokephalen im Boden der Krym und Oesterreichs u. s. w. St. Petersburg 1860). ეს შრომა მოთავსებულია: Mémoires de l'Academie Imper. des sciences de St. Petersb. VII Serie, Tome II, № 6.

ბროკა (Broca) ამბობდა, რომ მაკროცეფალური თავის ქალები ეკუთვნიან კომერცებს (შეადარე სცეპურა გვ. 11).

რუდ. ვირხოვი არ ასახელებდა, თუ რა ხალხს ეკუთვნოდა მაკროცეფალური თავის ქალები, მაგრამ ფიქრობდა, რომ „წინაისტორიულ“ დროში ყირიმიდან დაწყებული სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთის ველებამდის ერთი მეორესთან დამოკიდებული მოსხლეობა (zusammenhängende Bevölkerung) იყო: Verhandlungen, S. 479—480. Berlin 1882.



ლო იტალიაში, ინგლისში და სხვა და სხვა. ვიცით აგრეთვე, რომ მაკროცეფალური თავის ქალის მიღებას დეფორმაციის საშუალებით დღესაც მისდევებ ბევრს სხვადასხვა ადგილს (Бу шан, Наука о человеке, стр. 232—233, Москва 1911; Лю б о р Н е д е р л е, Человечество в доисторические времена, стр. 507—508, Петербург 1898), ამიტომ დღეს ყველასათვის ცხალია, რომ მაკროცეფალური თავის ქალები ერთსა და იმავე ტოშს ან ხალხს არ მიეწერება, როგორც ეს ერთს დროს ეკონათ<sup>1</sup>.

რომელ ადამიანთა ვარიეტეტს ეკუთვნოდა ზემოავტალის ადამიანი? თუ რომელ ადამიანთა ვარიეტეტს ან ხალხს<sup>2</sup> ეკუთვნოდა ზემოავტალის ადამიანი, ამის თქმა შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენ მხოლოდ ერთს და ისიც არა მთლიანად შენახულ ადამიანის ნაშთთან და მეტად ცატა სამარის ინვენტართან გვაქვს საქმე.

კრანიომეტრული და საერთოდ ანთროპოლოგიური ზომები გვეუბნება, რომ ზემოავტალის ადამიანი დაბალი ტანის იყო; პირის სახე მოგრძო და ტრიანგულარული ფორმის ჰქონდა, ხოლო თავი კი „გრძელი“, ე. ი. ის გრძელთავი იყო<sup>3</sup>. რაც შეეხება მის კულტურულ განვითარებას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ეკუთვნოდა მალალი კულტურის მქონე ხალხს, რასაც სხვათა შორის ნათლად უჩვენებს თავის ქალის კარგად განვითარებული ცერებრალური ნაწილი.

დრო, როდესაც ცხოვრობდა ზემოავტალის ადამიანი, უნდა

<sup>1</sup>) დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. Д. Н. А н у ч и н, О деформированных черепах, найденных в России: Изв. Общ. любителей естеств. антроп. и этнogr. XLIX, стр. 367, Москва 1887.

<sup>2</sup>) ადამიანთა ვარიეტეტი ანუ „რასა“, როგორც ამას გროსსე (G r o s s e) განმარტავს, შესაძლოა ადამიანთა ერთს დიდ ჯგუფს ეწოდოს, რომელსაც თანდაყოლილი და ჩამომავლობითი სომატიური და ფსიქიური თვისებები ერთი მეორესთან აკავშირებს და ამავე დროს ეს თვისებები სხვა ადამიანთა ჯგუფიდან ასხვავებს.

ცნება „ხალხი“ კი უმეტეს შემთხვევაში უფრო ფართოა, ვიდრე ცნება ვარიეტეტი. ხალხი უმეტეს ნიწილად ადამიანთა სხვადასხვა ვარიეტეტებიდან შედგება, „ხალხს“ ახასიათებს საერთო ენა, კულტურა, ზნეჩვეულება და სხვა და სხვა. შეადარე J a c o b—F r i e s e n, Grundfragen der Urgeschichts-Forschung, S. 2—3, Hannover 1928 და Eugen Fischer, Anthropologie, S. 124, Berlin und Leipzig 1923.

<sup>3</sup>) მართალია კრანიომეტრულმა ზომებმა Hyperdolichocephal-ი მოგვცა, მაგრამ ეს ზომები ცოტა გადამეტებული იყო, ვინაიდნ თავის ქალას დეფორმაცია ჰქონდა განცდილი მიწაში მოხვედრის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ჩვენი თავის ქალა Dolichocephal-ური მაინც რჩება.

საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI.



განვსაზღვროთ საქართველოში ბრინჯაოს ხანის დამდინარეების, ან რეინის ხანის დასაწყისით. ეს კი დაახლოებით ის დრო არის, როდესაც წინა აზიაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში ადამიანთა სხვადასხვა ვარიეტეტების ერთი მეორეში მეტად ინტენსიური შერევა ხდებოდა.

თუ ჩვენ ანთროპოლოგიურ შრომებს და უმთავრესად თანამედროვე გამოჩენილ ანთროპოლოგ ევგენი ფიშერის<sup>1</sup> გამოკვლევებს დავემყარებით, დავინახავთ, რომ უძველეს დროში მთელს წინა აზიაში (განსაკუთრებით სირიაში, მცირე აზიაში და მის ჩრდილო-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეებში, მაშასადამე საქართველოშიდაც) გავრცელებული იყო ეგრეთ წოდებული „წინა აზიური“ „რასა“, რომელსაც სხვათა მორის ხეთთებც კი ეკუთხნდენ (vorderasiatische Rasse. Syn. armenoid, alarodisch, kappadokisch, protoarmenisch, hethitisch)<sup>2</sup>. ეს წინააზიური „რასა“ იყო უძველესი „რასა“ და თანაც მეტად ძველი კულტურის მატარებელი მთელს წინა აზიაში.

ამ „რასის“ სომატიური თვისებები განათხარი ანთროპოლოგიური მასალების, ძველი ბარელიეფების და თვით თანამედროვე ადამიანების მიხედვით, ნათლად და მკაფიოდ არის გამოხატული.

ამ „რასის“ ანთროპოლოგიურ თვისებებს შეადგენს საშუალო ზომის ტანი, მოკლე (85—86 წნდექსი). და თანაც მაღალი ფორმის თავი, გრძელი სახე, მეტად დიდი ცხვირი, მოშავო ფერის სქელი თმა და შავი თვალწარი.

ეს „რასა“ დღესაც ცხოვრობს ამიერ კავკასიაში, სომხეთში, სპარსეთში, მცირე აზიაში, სირიაში და სხვაგან.

ამ უძველეს წინააზიურ „რასას“ თითქმის ყოველი კუთხიდან ერეოდენ სხვა „რასები“. ხოლო მეორე ათასეულის პირველ ნახევარში ჩვენ წელთაღრიცხვამდე მცირე აზიას ჩრდილო-დასავლეთ კუთხიდან შეერია ინდო-გრძმანული კულტურის მატარებელი ხალხი, რომელშიდაც ნაწილობრივ „ჩრდილო რასა“ (nordische Rasse) შედიოდა. და რამაც წინა აზიას 5—10% ქერაომა და გრძელთავა (Dolichocephalie) ადამიანები შემატა.

მეორე თვალსაჩინო „რასათა“ შერევა წინა აზიაში მოხდა სამხრეთის მხრიდან, საიდანაც მეტად მრავალრიცხვანი სემიტთა ხალ-

<sup>1)</sup> Eugen Fischer, Spezielle Anthropologie: Rassenlehre. Sammelwerke «Anthropologie», S. 170—174. Leipzig und Berlin 1923.

<sup>2)</sup> ამ „წინააზიურ რასას“ ანთროპოლოგი Reche უწოდებს «Homo tauricus»: Reallexikon der Vorgeschichte, B. V, S. 378, Berlin 1926.



ხი მოაწყდა. ეს სემიტთა ხალხი უმთავრესად „ორიენტალურ“ (orientalische) „რასას“ ეკუთვნოდა და ფიქრობენ არაბეთიდან უნდა ყოფილიყო გამოსული. ამ ორიენტალური „რასის“ თვისებებს შეადგენდა; დაბალი ტანი, შავი თმა და შავი თვალწარბი, სუფთა, ლამაზი ცხვირი. და გრძელი ვიწრო თავი.

ამ ამ სამი „უმთავრესი“ (წინააზიური, ინდო-გერმანული და ორიენტალური) „რასების“. შერევა მოხდა წინა აზიაში უძველეს დროში. 19

აღსანიშნავია, რომ ამგვარ შერევას შედეგად მოყვა ის, რომ წინა აზის სამხრეთ მხარისკენ მცხოვრებთ უფრო „ორიენტალური“ „რასის“ კომპონენტები აქვთ, ხოლო ჩრდილო მხარისკენ მცხოვრებთ — „ჩრდილო რასის“ ნიშნები ეტყობა, თუმცა ამავე ადგილებში დღესაც ბლომად შეხვდებით ნამდვილ წმინდა „წინააზიურ რასის“ წარმომადგენლებს.

ცხადია, რომ წინა აზიაში სამი უმთავრესი „რასის“ გარდა სხვა „რასებიც“ (მაგალითად, მედიტერანული) არიან შეჭრილი და შერეული და ამიტომაც არის, რომ „რასათა“ პრობლემა, საერთოდ ყოველ კუთხეში, დღეს მეტად რთულ და მრავალ შერივ სადაო სავარაუდ არის გადაჭუეული.

ამიტომა, რომ ჯერ ჯერობით გარკვეულის რისამე თქმა, თუ რომელ ადამიანთა ყარიერებს ანუ „რასას“ ეკუთვნოდა ზემოავტალის ადამიანი, ყოვლად შეუძლებელია (საქმეს ართულებს აგრეთვე განათხარი ანთროპოლოგიური მასალების უქონლობაც).

მნელია აგრეთვე იმის თქმა, თუ რომელ ხალხს ან რომელ კულტურულ წრეს ეკუთვნოდა იგი, ვინაიდან ამისათვის ჯერ კიდევ ჟეტად ცოტა განათხარი ინვენტარი მოებოვება და თანაც, როგორც საქართველო, ისე ამ უკანასკნელის მოსაზღვრე ქვეყნები, არქეოლოგიურად შეუსწავლელი არიან, რომ ადამიანს შესძლებოდა საერთო კულტურული ელემენტების ამოკრეფა და სინთეზის მოხდენა.

გვხვდება თუ არა საომარი იარაღით დამარხული ქალების ჩონჩხი? სამარეები, რომელიც საომარი იარაღით დამარხული ქალები ყოფილიყოს, მეტად ცოტა მოებოვება არქეოლოგიას.

ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ იუტლანდიაში იღმოაჩინეს ქალის სამარე, რომელიც ბრინჯაოს ხანჯალი იყო ჩადებული<sup>1</sup>. ვიცით აგრეთვე, რომ დანიაში აღმოჩენილია ქალების რამდენიმე ჩონ-

<sup>1)</sup> Carl Schuchhardt, Aiteuropa, S. 180, Berlin und Leipzig 1926.

ჩხი ბრინჯაოს სატევრებით<sup>1</sup>, მაგრამ მთელს მსოფლიოზე არქოლოგიურმა ლიტერატურამ ჯერ კიდევ არ იცის არც ერთი შემთხვევა, რომ ეპოგნოსთ ბრინჯაოს მახვილით, ხანჯლით და შუბით შეიარაღებული ქალი, როგორც ამას იდგილი ჰქონდა ზემოავჭალაში, და, თუ გამოჩენილი, მსოფლიო მეცნიერი მონ ტევლიუ იუ სი დანიაში აღმოჩენილ ხანჯლით შეიარაღებულ ქალებს უკავშირებდა ამაზონების ანუ ამორდლების შესახებ წარმოშობილ მოთხოვებებს<sup>2</sup>, მით უმეტეს, ჩვენ უფრო მეტი საფუტელი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზემოავჭალის შეიარაღებული ადამიანი, რომელსაც კრილობა ჰქონდა მიღებული, მეომარი ქალი უნდა ყოფილიყო, ქალი, რომელმაც ცხენისნობა კარგად იცოდა, რადგან მას ცხენის თავის ნაწილები შუბის თავთან ერთად აღმოაჩნდა სამარეში.

ასეა თუ ისე, ეს ლირსშესანიშნავი აღმოჩენა მეტად გვაგონებს ძველი მწერლების გადმოცემებს ამაზონების შესახებ.

საქმის ასეთი გარემოება მით უფრო დამატიფიქრებელია, რომ ამაზონები ძველი გადმოცემების მიხედვით ცხოვრობდენ შავი ზღვის მახლობლად და, ცნობილი როსტოკის სრულიად ახალი გამოკვლევებით, ნახევრად ისტორიული ხალხია<sup>3</sup>; ამაზონები ომის დროს ეხმარებოდენ კიმერიელებს, ბალკანეთის თრაკიელებს და დიდ პატივისცემაშიაც იყვნენ მეზობელი ერების თვალში<sup>4</sup>.

### ბრინჯაოს ნივთები.

**მახვილი.** სამარის ინვენტარის აღწერას ჩვენ დავიწყებთ ბრინჯაოს მახვილით, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია (სურ. 20; ტაბ. IV, სურ. 1).



სურ. 20. ზემოავჭალის სამარის მახვილი.

<sup>1)</sup> Любор Нидерле, Человечество в доисторические времена, стр. 302, Петербург 1898,

<sup>2)</sup> Нидерле, S. 302.

<sup>3)</sup> М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, Российская Академия истории материальной культуры, стр. 1, Ленинград 1925.

<sup>4)</sup> Проф. В. А. Городцов, К вопросу о киммерийской культуре. Труды Секции Археологии, 4, стр. 49. Москва 1927.



ზომით ჩვენი მახვილი მოკლე მახვილთა ტიპს ეკუთვნის. მისი სიგრძე მთლიანად 58 cm უდრის, ხოლო ცალკე იღებული პირის სიგრძე—47,3 cm. ხელის მისაკიდი ანუ ტარი—8,2 cm, ტარის თავის სიმაღლე—2,5 cm, ხოლო მისი დიამეტრი—4,5 cm. პირის სიგანე ვადასთან უდრის 7,8 cm, ბოლოში—4,3 cm; წონა—1060 gr.

მახვილის ბოლო არ არის არც შაშვეტილი და არც მომრგვალებული და მჭრელი, როგორც ეს საერთოდ სჩვევიათ სხვა ტიპის მახვილებს, არამედ სრულიად ბლაგვი და სწორკუთხოვანია; ასე რომ მახვილის ბოლოს გნდე თითქმის პერპენდიკულარულად ხვდება მახვილის პირის შუა ღერძის ხაზს. ამიტომ ჩვენს მახვილს უნდა ვუწოდოთ ბოლო-სწორკუთხოვანი ანუ ბოლოკვეთილი მახვილი<sup>1</sup>.

**a****b**


სურ. 21. ზემოაეჭალის (a) და ქედაბეჭის (b) მახვილის პირის ჭრილის მოხასულობა.

მახვილის პირი ვადიდან ბოლოსკენ თანდათან სქელდება, ასე რომ პირის სისქე ვადასთან, შუა ღერძის გასწვრივ, 8 mm უდრის, შუა წელში—9 mm და ბოლოში კი—12 mm. პირის სისქე ზურგი-

1) ერთი შეხედვით ჩვენი მახვილი გვაფიქრებინებს, რომ მას ბოლო მოტე-ხილი აქვს. მაგრამ, თუ ჩვენ დავაკვირდებით ამავე ტიპის მახვილების კოლექციას, რომელიც უანგისაგან სრულებით არ არის შეცვლილი, შევამჩნევთ, რომ ამ კოლექციის მახვილები ყველა ბოლო-სწორკუთხოვანი ანუ ბოლოკვეთილია. აეილოთ, მაგალითად, ბაკურციხის მახვილი (ტაბ. V, სურ. 1), რომელიც მშვენიერად არის შენახული და რომელიც ჩვენი მახვილისაგან მხოლოდ ზომით განიჩევა, დანარჩენი ნიშნები კი (დამუშავების ტექნიკა, ტარის და პირის ფორმა, ორნამენტები და სხვა) იგივე აქვს, როგორც ჩვენს მახვილს. ბაკურციხის მახვილის ბოლო კი არავითარ ეჭვს არ ბადებს, რომ ის ბოლოკვეთილი იყო (მისი ბოლოს გნდე შიგნივ ღდნავ შეზნექილიც არის). ბოლოკვეთილია აგრეთვე ბაკურციხის სხვა მახვილებიც (ტაბ. V, VI და VII), რომელთა ბოლოები უცვლელად არის შენახული და რომელებიც ჩვენი მახვილის ტიპს ეკუთვნის. რომ ჩვენი მახვილი ბოლომოტებილი არ უნდა იყოს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას მთელი პირის გასწვრივ არსად არ აქვს ისეთი სქელი ნაწილი, როგორც ბოლოში: ასეთ ადგილას გადატეხა ყოვლად წარმოუდგენელია.

დან დაწყებული ნაპირებისკენ თანდათან კლებულობს და მახარებულობს ერთი მიღიმეტრის სისქეს არ აღმატება; ამიტომ, თუ მახვილის პირი ჭრილის მოხაზულობას წარმოვიდგენთ, მიუვიღებთ რომბს (სურ. 21a).

თუ ჩვენ უანგით დაფარულ მახვილის პირს დავაკვირდებით, მის ორსავე მხარეზედ ერთსა და იმავე ორნამენტებს შევამჩნევთ. ვადის ახლოს მახვილის პირს გარტიგარდმო მიუვება ერთი რიგი ფართოდ გაშლილი S—სპირალ ორნამენტები (სურ. 22a). ამ სპირალებიდან 7 cm დაცილებით მიუვება ამგვარივე სპირალების მეორე რიგი (სურ. 22b).



სურ. 22. ზემოავჭალის მახვილი.

ჩვენი მახვილის S—სპირალებს მოეპოება ანალოგები. მაგალითად, ბოლსკეიში (ხეთოების ძეველ ქალაქში) აღმოჩნილ რელიეფზე, რომე-

ცნობილია, რომ სპირალები ქვის ხანის ძეველი დროიდან (ვალეოლითიდან) იხმარებოდა, როგორც დეკორატიული მოტივი, და დღესაც ამ მოტივს გავრცელება აქვს მთელს მსოფლიოში. ცხადია აგრეთვე, რომ სპირალები იმდენად უბრალოსა და მარტივ ტექნიკურ ორნამენტს წარმოადგენენ, რომ მათი წარმოშობა მსოფლიოს ბევრს სხვადასხვა კუთხეში უნდა ვიგულისხმოთ, რადგან მათი წარმოშობის პირობები (ნიუარები, მცენარის ნაწილები, მოწვნის ხელობა და სხვა) ყველგან გვხვდება. მაგრამ, მიუხედავად საქმის ამგვარი გარემოებისა და თვით სპირალების სხვადასხვაობისა, შესაძლო არის სპირალების ცალკ-ცალკე ვარიანტებად დაყოფა და მითი გავრცელების ადგილების აღნიშვნა, როგორც ეს მოახდინა, მაგალითად, ბელაუმ ზოგიერთი სპირალების შესახებ<sup>1</sup>, ანუ როგორც ამას ცდილობდა მ. ჰერნესი<sup>2</sup>. თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით სპირალების საკითხს, დავინახავთ, რომ


<sup>1)</sup> Johannes Boehlau, Die Spiralen in der Bandkeramik, S. 54—98: Praehistorische Zeitschrift, B. XIX, Heft 1/2, Berlin 1928.

<sup>2)</sup> Moritz Hoernes, Praehistorische Archäologie, S. 379. შექვეს ნაწილში („Anthropologie“) კრებულისა „Die Kultur der Gegenwart“. Leipzig und Berlin 1923.



ლიც ღვთაებას ან მეფის სახეს გამოხატავს, ამოკვეთილია სპირალები რომელიც ახლო დგას რვენი მახვილის სპირალებთან<sup>1</sup>. აგრეთვე ტროის პითონის და ქედაბეკის ბრინჯაოს ქამრის სპირალები<sup>2</sup> თითქმის სრულებით ისეთივეა, როგორც ზემოავჭალისა (შეად. K. Schuchhardt, *Alteuropa*, 249).

საინტერესოა ალვიშნოთ, რომ ზემოთ ნახსენებ ხეთთების რელიეფის სპირალებს შრავლად ახლავს თევზის ფხის მოტივები (*Fischgrätenmotiv*); ეს ის მოტივებია, რომლებიც მეტად მკაფიოდ და მრავლად არის მოცემული ზემოავჭალის მახვილის მაგვარ, ძარალების ბოლოზე (სურ. 23; ტაბ. IV, V და VI).



სურ. 23. ზემოავჭალის მახვილის ტიპის მახვილის ბოლო.


ჩვენი მახვილის პირზე ამოკრილ სპირალებს ქვემოთ, ორივე ნაპირის გასწვრივ, პარალელურად მისდევს ორ-ორი წვრილი ღარი (ზაშარი), გერმანელი არქეოლოგები რომ Bluttrille-ს უწოდებენ (სურ. 22c); ეს ღარები მახვილის ბოლო-მდის ვეღარ ატანს და წყდება ბოლოდან 21,5 cm დაცილებით. ღარები დაშორებულია ნაპირებს 2 cm-ით. ღარების შიგნივე მახვილის პირს, ლერძის გასწვრივ, მისდევს ნიკებიანი ხაზი (სურ. 22d). სხვა ხაზები ან რაიმე გამოხატულება მახვილის პირს აღარ უნდა ჰქონდეს, თუმცა ამის გადაჭრით თქმა ძნელია, ვინაიდან მახვილის პირი მეტად არის დაუანგული და ყოვლად შეუძლებელი ხდება მასზედ სხვა რაიმე ხაზების შემჩნევა.

მახვილის ტარის ყელი მრგვალი ფორმისაა და არაა თანაბარი სისხლი (სურ. 20; ტაბ. IV, სურ. 1). ვადასთან მისი სისხლი დიამეტრი 27 mm უდრის, უფრო შუა წელში—24 mm, ხოლო ქუდთან—

<sup>1)</sup> ბოლასკეიში აღმოჩენილ რელიეფზე ამოკვეთილი სპირალები დასურათებული აქვთ პუნქტუალური და მოყვანილია სხვათა შორის შუბრაზე და ტაბ. I ს შრომაშიც, სურ. 60. იხ. აგრეთვე E. d. Meyer, *Reich und Kultur der Chetiter*, S. 54, 1914.

<sup>2)</sup> R. Virchow, *Über die Culturgeschichtliche Stellung des Kaukasus*, Abb. 3. Taf. II, Berlin 1895.

34 mm-ს. ტარის ამგვარი მოყვანილობა საჭირო იყო, ჟერმარტი, რომ ტარს ხელი კარგად მოვლებოდა და არ მოტებოდა დაკვრის დროს; აგრეთვე იმიტომაც, რომ მოქნევის დროს მახვილი ხელიდან არ გასხლებილიყო (შეად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I<sup>3</sup>, გვ. 11, ტფილისი 1928). ტარზე გამოყვანილია ამობურცული წინწკლებით ფოთლის მსგავსი ორი ორნამენტი და ორიც სწორი ხაზი. თუ ამ ორნამენტებს სიბრტყეზედ გავშლით, მოვილებთ ისეთ მოხატულობას, რომელიც ჩვენს სურათზეა (სურ. 24) მოცემული.



სურ. 24. ზემოავჭალის მახვილის ტარზე გამოყვანილი ორნამენტი.

ეს ამობურცული წვრილი მძივისებური წინწკლები კონსტრუქტიულად საჭირო იყო, რომ კაცს ხელი არ აცურებოდა და თანაცხელი მარჯვედ მოეკიდა.

ცხადია, ტარის სიგრძე ჩვენს მახვილს მეტად პატარა აქვს, მაგრამ საერთოდ ბრინჯაოს მახვილებს თითქმის ჟველას მოკლე ტარი აქვს ჩვენი ხელის სიდიდესთან შედარებით. მაგალითად, ბრინჯაოს ერთს მახვილს, რომელიც საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში არის დაცული და რომელიც ბაკურციხეშია აღმოჩენილი (ინვენტ. № 4349, ტაბ. V, სურ. 4), 87 mm-იანი ტარი აქვს. ამ საკითხმა კარგი ხანია არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო და ბევრი სხვადასხვა ახსნა განმარტება გამოიწვია.

გაბრიელ დე-მორტილი<sup>4</sup>; ე. შანტრი და სხვანი ამ გარემოებას ორიგინალური თეორიით (période bohémienne ou triganiennie)<sup>1</sup> ხსნიდენ. მორტილი ეს აზრით ბრინჯაოს გაკეთება პირ-

<sup>1)</sup> G. de Mortillet, Origine du Bronze, Paris 1876. იხილე აგრეთვე რეცენზია Revue d'anthropologie, 1875, 650.



ველად გამოიგონეს ინდოეთში და აქიდან ბრინჯაო და ბრინჯის გამოიყენებოდა გავრცელეს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ „ინდური ბრინჯის“ თეორიის დასამტკიცებლად მორტილიეს სხვადასხვა მოსაზრებანი მოჰყავს და სხვათა შორის კიდევაც აღნიშნავს, რომ ინდოელების და ბრინჯების ხელები პატარა ზომის არის. ამიტომ მათ მიერ გაკეთებულ მახვილებს და ამ მახვილებიდან განვითარებულ სხვა მახვილებს პატარა ტარი შერჩათ. მონტელიუსისა და რანკეს აზრით, ვინაიდან მახვილი თავდაპირველად სატევარის დანიშნულებას ასრულებდა და საჩხვლეტ (საგმირავ) იარაღს წარმოადგენდა, ამიტომ აუცილებელი არ იყო დიდი ზომის ტარი, რადგან მასზე დ მთლიანად ხელის მოვიდება საჭირო არ იყო<sup>1</sup>. ამგვარადვე სნიან მახვილის ტარის პატარა ზომას ვილლენოიზი<sup>2</sup> და ვინკლერი<sup>3</sup>.

თუ მორტილიეს ორიგინალურსა და დაუჯერებელ „ბრინჯ“ თეორიის მხედველობაში არ მივიღებთ, ზემოთ აღნიშნული სხვა ასენანი ბრინჯაოს მახვილების ტარის სიმოკლის შესახებ, ჩვენი მახვილისათვის (და, ვფიქრობთ, სხვებისთვისაც) სრულიად მიუღებელია. ჩვენი მახვილის ბოლო არ არის შაწვეტილი და მას არც ჰქონია საჩხვლეტი იარაღის დანიშნულება, რომ ადამიანს მისი ტარისთვის რამდენიმე თითოთ ხელი მოვეიდა და ტარის ქუდი (თავი) ხელის გულზე დ მიყერდნო. ჩვენ ვვგონია, რომ, ვინაიდან უპრიმიტიულესი მახვილის დანიშნულება უმთავრესად „დაჩეხა“ იყო, ამიტომ მისი კონსტრუქცია მოითხოვდა, ხელი მისთვის ისეთნაირად მოვეიდათ, რომ სიმძიმის ცენტრი მახვილის ბოლოსკენ გადასულიყო, რაც საჭირო იყო დაკვრის დროს მოპირდაპირისთვის ლრმა ჭრილობის მისაყენებლად. ამგვარ მიზანს კი მიაღწევდენ იმ შემთხვევაში, თუ ტარის თავს ხელის გულს მოავლებდენ, რომ სიმძიმის ცენტრი მახვილის ბოლოსკენ გადასულიყო; მკლავი, ასე ვთქვათ, მახვილის ტარის გაგრძელებას მოვალეობდა და ადამიანს საშუალება ეძლეოდა მოპირდაპირისათვის ჭრილობის მისაყენებლად უფრო მძლავრად, მოწყვეტით დაკრა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქველ დროში, ბრინჯის ჩამოსხმის დროს, საერთოდ ერიდებოდენ დიდ, გრძელ ფორმებს და უფრო შეკუმშულ, მოკლე ფორმებს ამჯობინებდენ, რომ ამით უფრო ვადვი-

<sup>1)</sup> Проф. Ранке, Человек, стр. 678, Петербург 1896.

<sup>2)</sup> F. de Villenoisy, Du mode d'emploi des épées antiques: Revue archéol. 1894, 230.

<sup>3)</sup> П. Винклер, Оружье, стр. 40, Петербург 1894.




ლებოდათ ნივთის ჩამოსხმა ცოტა ბრინჯაოს დახარჯვის ნავია ისიც, რომ მახვილის ტარის ზომა ინდივიდუალურ ხელის სი-დილესთან უნდა ყოფილიყ შეფარდებული და ამიტომაც არის, რომ ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ზომის ტარს (ტაბ. IV, V, VI, VII და VIII).

ჩვენი მახვილის ტარის ჭუდი ნახევარ-სუეროსებურია; მისი დიამეტრი 45 mm-ს უდრის და მასზე გეომეტრიული (წრის და სა-მკუთხოვანი) ორნამენტების საშუალებით ასტრონომიული მოტივი არის მოცემული (სურ. 25). საგულისხმოა ვიცოდეთ, თუ რას წარმო-ადგენს ეს ასტრონომიული მოტივი?



სურ. 25. ზემოავჭალის მახვილის ტარის თავი.

ჩვენის აზრით ეს უნდა იყოს გენერას გრაფიკული გამოსახვა რვასხივიანი ვარსკვლავის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ვენერას გრაფიკული გადმოცემა ხშირად გვხვდება აღმოსავლეთის ხალხთა



სურ. 26. ვენერს გრაფიკული გადმოცემა ძველ სუხაში.

შორის; მაგალითად, ირანელების რვადღიანი კვირა, საღაც თვითეულ დღეს თავისი საკუთარი პლანეტა ჰქონდა მიჩნეული, ანუ არაბების

<sup>1)</sup> შემდეგში კი, როდესაც მახვილის „საჩერ“ დანიშნულებას „საჩელუტი“ დანიშნულებაც მოემატა, მაშინ მახვილის სიმძიმის ცენტრიც შეიცვალა, ტარი კი დარჩა ისევ პატარა ზომის.

რვასხივა ვარსკვლავი—თილისმა, რომლის თვითეული წხივი ცალქ ბლანეტას წარმოადგენდა, და რვა ერთად პლანეტათა სისტემას ვაღმოსცემდა, ვენერას გრაფიკული ვაღმოცემით ისახებოდა.. ძველ სუზაშიდაც ვენერას რვასხივა ვარსკვლავით ხატავდენ<sup>1</sup>.

ბაბილონში ნახულს იშტარის გამოსახულებას კისერზე რვასხივა ვარსკვლავი აქვს<sup>2</sup> და თვით იშტარიც ხანდახან სიმბოლურად რვა ან შვიდსხივა ვარსკვლავით ვაღმოცემიდა<sup>3</sup>.

ღვთაება ნანას თავის ზემოთ რვასხივა ვარსკვლავი აქვს ვამოსახული<sup>4</sup>. როგორც ღვთაების სიმბოლო, რვასხივა ვარსკვლავი აქვს გამოყვანილი ასურბანიპალის ყელის სამკაულს. ღვთაების სიმბოლოა აგრეთვე სარგონ II-ის სტელაზე მოკვეთილი რვასხივა ვარსკვლავი<sup>5</sup>. პერგამენტების „ჯადო“, რომელიც რ. ვიუნშს აქვს შესწავლილი<sup>6</sup>, რვა ზონად არის დაყოფილი და, ვოლფგანგ შულცის გამოკვლევით<sup>7</sup>, ვენერას დასურათხატებას უნდა წარმოადგენდეს რვასხივა ვარსკვლავის საჟუალებით. ძველი ბაბილონელების საჯაღოქრო იდეოგრამაც რვასხივა ვარსკვლავით ისახებოდა<sup>8</sup> (სურ. 26).

ზემოთ მოყვანილი პარალელები ბადებს აზრს, რომ ჩვენი მახვილის ტარის ბოლოზე მოცემული რვასხივა ვარსკვლავი ვენერა უნდა იყოს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ძველ აღმოსავლეთში ვენერა, როგორც საღმოს მნათობი, ცნობილი იყო ბერნიერების და სიყვარულის ღვთაებად, ხოლო, როგორც დილის ვარსკვლავი, ცნობილი იყო ომის ღმერთად (Kriegsgott). პირველ შემთხვევაში ის ითვლებოდა დედრობით სქესად, ხოლო მეორეში—მამრობითად<sup>9</sup>.

NB

<sup>1)</sup> Ferdinand Bork, Planetenreihen: *Zeitschrift für Ethnologie*, S. 162, Heft 3/6, Berlin 1929. სურათები იხილე ბორკის შრომაში.

<sup>2)</sup> Manuel d'Archeologie Orientale par E. Babelon. Fig. 89, Paris 1888.

<sup>3)</sup> Eckard Unger, Göttersymbol: *Reallexikon der Vorgeschichte* B. 4, zweite Hälfte, S. 440, Berlin 1926.

<sup>4)</sup> Eckhard Unger, S. 440.

<sup>5)</sup> სურათები იხილე: *Reallexikon der Vorgeschichte*. B. 4, zweite Hälfte, Taf. 207 und 208.

<sup>6)</sup> R. Wünsch, Antikes Zaubergerät aus Pergamon. Berlin 1905.

<sup>7)</sup> Wolfgang Schultz, Das System der Acht im Lichte des Mythos: *Memnon*, Bd. 4, S. 72, 1910.

<sup>8)</sup> Fr. Bork, Planetenreihen, S. 183–184.

<sup>9)</sup> Fr. Bork, Kalender, Siernglaube und Weltbilder: *Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien*, S. 83, Bd. 52, 1922.



ჩვენ ვიცით ოგრეთვე, რომ სუმერები და აკადები მოცემული მიზნით სახვდენ თავიანთ ბეჭდებზე რვასხივა ვარსკვლავს<sup>1</sup> და, უძველეს დროში, რომ მაგიური მნიშვნელობით იარაღზე ვარსკვლავის გამოსახულებას აკეთებდენ, ამაზე მოვცითხრობს ამულეტების და თილის-შების საუკეთესო მცოდნე მეცნიერი ს. ზელიგ მანიც<sup>2</sup>. მაგრამ ჩვენ შევგიძლია უფრო ბეტიც ვთქვათ. არამეც თუ მახვილის ტარის ბოლოზე გამოხატული რვასხივა ვარსკვლავი ომის ღმერთის ვენერას გადმოცემა არის; არამეც თვით სპირალების რიცხვს „5“ (თვითეულ რიგში), რომელიც მოცემულია მახვილის პირზე (სურ. 22 a და b; სხვათა შორის თვითეულს მახვილს, რომელიც ჩვენი მახვილის ტიპს უდება, ყველას ხუთ-ხუთი სპირალი აქვს), ვენერასთან უნდა ჰქონდეს კავშირი. ფ. ჰომელი ამბობს, რომ ვენერას კავშირი აქვს ხელის თითების რიცხვთან, 5-თან<sup>3</sup>. არაბებმაც ვენერა „ფატმას წელს“ დაუკავშირეს და „ხუთთითა ხელის“ გამოხატულებას, როგორც ამულეტს, ხმარობენ. თილისმებსა და სხვა სამკაულებს უკეთებენ ხუთ-ხუთ ძეწკვეს, ანუ ხუთ-ხუთ მძიებს, ღილს, თვალს და სხვა, ვინაიდნ ეს რიცხვი ხელის თითების რიცხვია. ზოგიერთ შეთხვევაში კიდევაც ცდილობენ ადამიანის სახელი იმნაირად შეარჩიონ, რომ რიცხვ „ხუთთან“ ჰქონდეს კავშირი (მაგალითად Hamis ანუ Hmeis) და მით ამ სახელის მატარებელი უბედურებისგან იყოს დაცული<sup>4</sup>.

ამრიგად, რიცხვი „ხუთი“, რომელიც ჩვენს მახვილზეა მოცემული სპირალების სახით, მაგიური დანიშნულების უნდა იყოს. შესაძლოა ამ რიცხვს ვენერასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რიცხვი ხუთი თვით ხელის სიმბოლურად გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხელს კი, როგორც „იარაღების იარაღს“, როგორც ორგანოს, რომელმაც კაცობრიობას გზა გაუკავა ცივილიზაციისაკენ, უძველესი დროიდან ექცევდა განსაკუთრებული ყურადღება. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ხელის შემოქმედების დიდი როლი უძველესი დროიდან შეიგნო

<sup>1</sup> სურათები იხ.: *Reallexikon der Vorgeschichte*, Bd. 4, zweite Hälfte, Taf. 154, Abb. i u. m; Taf. 155, Abb. a, b, c, d, u. e; Taf. 156, Abb. b; Taf. 158, Abb. e, c, g u. s. w.

<sup>2</sup>) S. Seligmann, Der böse Blick und Verwandtes, Bd. II, S. 154, Berlin 1910.

<sup>3</sup>) F. Hommel, Die babylonisch-assyrischen Planetenlisten. Hilprecht Anniversary Volume, S. 88--170, 1909.

<sup>4</sup>) Fr. Bork, Planetenreihen, op. cit., S. 173.



აგრეთვე რელიგიურმა და მისტიურმა აზროვნებამაც (Н. Яфетическая теория, стр. 91. Аз. Гиз. Баку 1928) <sup>1</sup>.

საფიქრებელია, რომ მახვილის პირზე გამოყანილი ნიკბები (სურ. 22 d) გველის ან ზღვის იდეოგრაფიული გადმოცემა იყოს. ამგვარი აზრი მით უფრო მისაღებია, რომ ჩვენ ვიცნობთ შთელ რიგ ქვეყნებს, სადაც ნიკბების საშუალებით გადმოსტენენ როგორც ზღვას, ისე ზღვის ლვთაებად ქცეულ ვეველს. მაგალითად, ამგვარი აზრი დაადასტურა ელამის უამრავ ძეგლებზე (შელებილ კერამიკზე, ცილინდრულ და სხვა) P. Toscanne-მა თავის მეტად საყურადღებო შრომაში: *Mémoires de la Délegation en Perse XII, Etudes sur le serpent.*

რომ ჩვენს მახვილზე მოცემულს სხვადასხვა გამოხატულებას მა-  
გიურ-საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა, ეს აზრი აღვილად დასაშვე-  
ბია, მით უმეტეს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ უძველეს  
დროში სხვადასხვა ხალხი (მაგალითად ევგიპტელები, ბაბილონელე-  
ბი, ასურელები და სხვები) ცხოვრების უმთავრეს მომენტებს მაგიურ-  
რელიგიური მოქმედებით გამოხატავდა <sup>2</sup> და თანაც უმთავრეს ია-  
რალს, ტანსაცმელს, საცხოვრებელ ბინებს და სხვას მაგიურ-რელი-  
გიური ნიშნებით ამკობდა.

დეშელეტი აღნიშნავს, რომ დღესაც ბევრი პრიმიტიული ხალხი თავიანთ იარაღზე სახავს თავისივე კულტის ობიექტებს და ამით „იმსახურებს“ მათთან კარგ განშყობილებას 3.

თუ ჩევნი მახვილის ტიპის მახვილებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათზე სხვებთან ერთად გახვდება ზეცის, დედამიწისა და წყლის ატრიბუტების გამოხატულება. ზეცის ატრიბუტად თვითეულ მახვილს აქვს რვასხივა ვარსკვლავი, წყლის—თვეზეზი ან მისი დერივატი გველი და დედამიწის ატრიბუტად—ირემი <sup>4</sup>.

რვასხივა ვარსკვლავის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული.  
რაც შეეხება მახვილის ბოლოზე თევზის ბოლოს მსგავსის გამოსახ-

1) ძველი არიელების წარმოდგენა ხელშე, როგორც „Werkzeug aller Werkzeuge“, ბაბილონის მისტიური სახლი „die Stadt der Hand des Anu“, ან პირა-მიდა ბორსია, როგორც მარჯვენა ხელის „საცხოვრებელი“ სახლი და სხვა გე-ვრი ამგვარი იხილეთ Thurnwald-ის შრომაში: „Handschlag“: *Reallexikon der Vorgeschichte*, 5. Band, S. 96.


<sup>2)</sup> Theodor-Wilhelm DanzeI, Magie und Geheimwissenschaft, S. 10. Stuttgart 1924.

<sup>2)</sup> D'Échelette, Manuel d'Archéologie préhistorique, celtique et gallo-romaine I, 268. Paris 1908.

<sup>4)</sup> ირმის გამოხატულება ყველა მახვილს არ აქვს.

ვას (სურ. 23), აქაც უმჭველად მაგიურ-საკულტო მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე და არა რეალისტური სუჟეტის გადამახინჯებულ სიმბოლიზაციასთან<sup>1</sup>. ცხადია აგრეთვე, რომ მაგიურ-საკულტო მნიშვნელობით არიან დადგმული ქვისგან გამოკვეთილი ვეშაპები ბევრს სხვადასხვა აღილა.

მაგიურ-საკულტო მნიშვნელობით აკეთებდენ ქველი ეგვიპტელები ქვის სატევრის ბოლოს თევზის ბოლოს მსგავსად (სურ. 27); მაგიურ მნიშვნელობას აძლევს თევზს ბევრი სხვადასხვა პრიმიტიუ-



სურ. 27. ეგვიპტეში აღმოჩენილი ქვის სატევარი, რომლის ბოლო თევზის ბოლოს მსგავსია.

ლი ხალხი, როგორც, მაგალითად, ციმბირის შამანები, რომლებიც დღესაც ამკობენ თაფიანთ ტანსაცმელს თევზის ქვემო ყბის გამოხასულებით. ასეთივე მნიშვნელობით აკეთებდენ წინააზიელები თევზის გამოხატულებას ზარებზე (*Reallexikon der Vorgeschichte* Bd. 4, 2, Hälfte, Taf. 144, Abb. b). ასურელებიც ნილაბს თევზის გამოხატულებით იკეთებდენ, როდესაც სურდათ ივადმყოფის განკურნება მავნე „სულისგან“ (Eckard Unger, *Göttersymbol*: R. d. V. B. 4, S. 432). წყლის „ღმერთებლს“ ევასაც ხომ თევზის ფორმის ტანსაცმელი ჰქონდა და „შეეძლო“ ბოროტი „სულის“ განდევნა<sup>2</sup>.

მაგიურ-საკულტო დანიშნულება აქვს ირემსაც, რომლის გამოხატულება, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ჩვენი

<sup>1)</sup> თუ ჩვენ სხვადასხვა ქვეყნების მითოლოგიას თვალს გადაჭავლებთ, დავინახავთ, რომ თევზი ანუ მისი დერივატი გველი, ვემაბი და გველვებაში ქვეცას მცხოვრებია და ბუნების სტიქიასთან —წყალთან დაკავშირებული, წყლის მფლობელი. წყალი კი სიკეთის და ბოროტების მომცემი. წყალში ყოველ დღე ესვენება „დედამზე“ და ბელეთი იცავს სამყაროს, ბოროტება მეფობს, მაგრამ წყალი ისევ შობს „დედა-მზეს“ და ისევ შექით იმოსება ყველაფერი, იმარჯვებს სიკეთე. ერთი სიტყვით დამყარებულია სიკეთის და ბოროტების, სიკედილის და სიცოცხლის დაუბოლოვებელი ერთი მეორის შენაცვლება, დაუბოლოვებელი დამარჯვება, დაუბოლოვებელი ბრძალა. შესაძლოა, რომ ბოლოვეთილ მახვილებში მოცემულ ატრაბუტებში, სხვადასხვა მაგიურ-საკულტო მნიშვნელობასთან ერთად, ამგვარი მითოლოგიაში მოცემული იდეაც იყოს ჩაქსოვილი.

<sup>2)</sup> აქვთ აღვნიშნოთ, რომ „თევზერხა“-ს (*pristes antiquorum*) ცხვირის წინა ქვალი კბილებით იხმარებოდა როგორც იარაღი.



მახვილის ტიპის მახვილებზე. ხალხური გადმოცემით ირემი დედამიწა წასა და ზეცას შუა კავშირის გამბმელია. ირმის ნახტომების კვალს ღლესაც „არჩევს“ ხალხი ცაზედ თეთრი ზოლების და შავი წერტილების სახით. ხალხური გადმოცემით ირმის რქები დედამიწიდან ზეცას აღწევენ და ცის კიდურს ებჯინებიან და ამიტომ რა გასაკვირია, თუ ამ არაჩევულებრივი თვისებებით წარმოდგენილს ცხოველს არაჩევულებრივ გავლენას მიაწერდენ.

ჩვენს მახვილზე გამოსახულ კარსკვლავს შუა გულზე აქვს წრე (სურ. 25), რომელიც ორად არის გაყოფილი. წრის შიგნით ოთხი ცალი პატარა ზომის ლურსმნი უნდა ყოფილიყო ჩარჭობილი. ჩვენს მახვილს აქვს შერჩენილი მხოლოდ ორი ლურსმანი ნახევარ-სფეროსებური თავებით (სურ. 25); ლურსმნის თავის დიამეტრი 6 მმ არის, ხოლო ლურსმნის სივრცე—14 მმ.

მახვილის ტარის ბოლოზე დაფანჯრული აღგილები (სურ. 25) ხის ნაწილებით ივსებოდა და წრის შუაგულში ჩარჭობილი ლურსმნები ხისავე ნაწილებით მაგრდებოდა. მართალია, ამ ხის ნაწილებიდან დროთა ვითარების გამო, ჩვენამდი მოალწია მხოლოდ გაშავებულმა და ისიც ნახევრად მტვრად ქცეულმა ნაშთებმა, მაგრამ მათმა ქიმიურ-მიკროსკოპიულმა გამოკვლევამ (მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის ლაბორატორიაში) დაადასტურა, რომ ისინი ეკუთვნიან ფართო ფოთლოვან ხეს (უკანასკნელი სახე ვერ იქნა გამორჩეული). აქევე მოვნიშვნავთ, რომ უძველეს დროში, ევროპის ჩრდილო მხარის მცხოვრებლები მახვილის ტარის ბოლოზე დაფანჯრულ აღგილებს ქარვით და სხვადასხვა ფერადი თვლებით ავსებდენ, რომ მახვილს უფრო ლამაზი შეხედულობა ჰქონდა <sup>1</sup>.

მახვილის ტარი მასიური კი არ არის, არამედ ის გამოფულ-რულია. ამგვარად მის გაკეთებას ის უპირატესობა ეძლევა, რომ ცოტა მასალის დახარჯვით მახვილის ტარი სიმაგრესთან ერთად ლებულობს დიდი სიმჩატეს და ამრიგად სიმძიმის ცენტრი თავისთავად მახვილის ბოლოსკენ გადადის, რომ ხელი შეუწყოს მახვილის უმთავრეს დანიშნულებას, „ჩეხებს“. ამავე დანიშნულებას ხელს უწყობს უკვე ზემოთ აღნიშნული მახვილის პირის ბოლოს სისქეც.

მახვილის ტარი და პირი ერთსა და იმავე ყალიბში მთლიანად და ერთად არიან ჩამოსხმული. ყალიბი არ უნდა ყოფილიყო ქვის, რაღაც ჩვენს მახვილს არ ეტყობა არავითარი შემაერთებელი ნაწილურები, რომლებიც ქვის ყალიბში ჩამოსხმულ ნივთებს თან ახლავს. უფრო საფიქრებელია, რომ ჩვენი მახვილისათვის ჯერ იყო

<sup>1)</sup> РАНКЕ, стр. 675.



დამზადებული სანთლის „მოდელი“, რომლის გარშემო ცუკლი გამჭვის ყალიბი იყო გაკეთებული. როდესაც ამგვარად გაკეთებულ ყალიბში ბრინჯაოს ასხამენ, მაშინ სანთლი დწება და სპეციალურად ყალიბში დატანებულ მიღწი გადის, ხოლო მის ადგილს ბრინჯაო იქცერს. რომ ჩვენი მახვილი ამავე წესით არის ჩამოსხმული, ამას მოწმობს მასზე მეტად ლამაზად და სუფთად გამოყენილი სხვადასხვა რენამენტები<sup>1</sup> (შეადარე: M ö t e f i n d e, Geschichtsblätter für Technik 1914, S. 147 f; Z. f. Ethn. 1915, S. 309 ff.).

მახვილის მდიდრად მორთული ტარის და პირის ერთი მთლიანობა გვეუბნება, რომ ჩვენი მახვილი არ არის უპრიმიტიულესი; ის კარგად განვითარებულ ბრინჯაოს ინდუსტრიას მოწმობს. ჩვენ ვიცით, რომ უპრიმიტიულეს ბრინჯაოს მახვილებს ტარი არ აქვს ბრინჯაოსი; მათ აქვთ პირის ზემო ნაწილთან რამდენიმე ნახვრეტი ხის, ძვლის ან რქის კოტების დასაგებად; ან პირის ზემო ნაწილი აქვს სრულიად უორნამენტო, სადა, ბრტყელი ფორმის კურწი (Angelgriff) ტარის გასაკეთებლად, ან ზედ თოვის ან ტყაყის შემოსახვევად, როგორც ეს ჰქონდა ყველაზედ უძველეს კვიპროსის მახვილებს.

მახვილის პირის მოყვანილობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის სწორად გადაკეთილს ბოლოს, გვეუბნება, რომ ჩვენმა მახვილმა უკვე განიცადა ერთგვარი ეკოლუცია და მახვილის უძველეს ფორმებს სრულებით დაშორდა. მაგალითად, თუ ჩვენი მახვილის პირს დავაკვირდებით, ნათლად შევამჩნევთ, რომ მისი ფხები ბოლოსკენ ორივე გვერდით ერთგვარ ჩაზექილ რკალისებურ ფორმას იღებენ, რაც არ სჩვევია უძველეს მახვილებს, რომლებსაც ფხები ან პარალელურად მისდევენ ერთი მეორეს დიდს მანძილზედ ან ტრიანგულარულ ფორმას იღებენ, როგორც, მაგალითად, ეს ემჩნევა სირიელების, ფილისტერების, კეფტიუს და სხვა ხალხთა მახვილებს.

ჩვენი მახვილის პირის საერთო კონსტრუქტიული მოწყობილობა გვეუბნება, რომ მახვილს ჰქონდა არა შემოლოდ „საჩენი“ და ღრმა ჭრილობის მიმცემი დანიშნულება, არამედ თვით გრძელი ჭრილობის მიმცემისაც, ვინაიდან მისი ბოლოსკენ ჩაზექილი რკალისებური ფხები, დაკვრის ღროს, თავის თავად უკანვე იწევს და ამრიგად „უსვამს“ და აღიდებს ჭრილობის სიგრძეს. მიუხედავად მისი ასეთი გაუმჯობესებული კონსტრუქტიული მოწყობილობისა, ჩვენს მახვილს მაინც აქვს საკმაო არქაული ნიშნები შერჩენილი, მა-

<sup>1</sup>) სპირალები და ღრები მახვილის ჩამოსხმის შემდეგ არის ამოკვეთილი. ექსპერიმენტალურად დადასტურდა, რომ ბრინჯაოს უძველეს ნივთებზე ბრინჯაოსც „საკვეთით“ შეეძლოთ სხვადასხვა სახეების ამოჭრა.



გალითად, მეტად ფართო პირი ტართან, მოკლე პირი<sup>1</sup> და ტარი და სხვა. ყველა ეს ნიშანი ნათლად გვეუბნება, რომ ჩვენი მახვილი დიდი ხანი არ არის რაც დასკილდა ზოგიერთ თვის პროტოტიპს, უძველესი დროის ფართო პირიან მოკლე სატევარს და „ნაჯახს“, და უმთავრესად შეინარჩუნა დაჩეხის თვისებები, რისთვისაც მას სიმძიმის ცენტრი ბოლოსკენ აქვს გადატანილი.

ჩვენი მახვილის ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მისი შემადგენლობა ბრინჯაო არის, რომელიც შეიცავს 90,07%<sub>0</sub> სპილენძს (Cu), 9,89%<sub>0</sub> კალას (Sn), 0,04%<sub>0</sub> რკინის (Fe) და ფოსფორს (P)<sup>2</sup>. ეს ორი უკანასკნელი ნივთიერება განზრახ არ უნდა ყოფილიყო შერეული, არამედ შემთხვევით მოხვედრილა ან ბრინჯაოს გაკეთების, ან სპილენძის და კალის დამუშავების დროს, რაც სრულიად აღვილად იყო შესაძლებელი, რადგან სპილენძის მადანს თითქმის ყოველთვის თან ახლავს რკინის, ტყვიის, ნიკელის და სხვა მაღნები. რომ ეს ნივთიერებანი (Fe და P) განზრახ ყოფილიყო შერეული, ბრინჯაოს ხარისხის შესაცვლელად, მაშინ მათი რაოდენობა უფრო მეტი უნდა ყოფილიყო.

ერთს დროს ცდილობდენ ბრინჯაოს ანალიზის მიხედვით გამოკრით, როგორც ბრინჯაოს ნივთის „ხნოვანება“, აგრეთვე აღვილი მისი გაკეთების, მაგრამ ამ მხრივ ჩატარებულ შეშიაობას ჯერ კიდევ არ აქვს დასაყრდენი წერტილები<sup>3</sup>. ბრინჯაოს ნივთების ანალიზის მიხედვით ვიცით მხოლოდ, რომ უძველესი დროის ბრინჯაოს კალას შემადგენლობა 1—3%<sub>0</sub> არ აღემატება, ხოლო უფრო ახალ დროისაში კი 6—16%<sub>0</sub>-მდე აღის<sup>4</sup>.

1) შუ ხ ჰ ჰ ა რ დ ტ ი (ჩვ. 52) აღნიშნავს, რომ პირველყოფილი მახვილები მეტად მოკლე იყო.

2) ანალიზი გააკეთა სამეცნიერო ქიმიურ-ტექნიკურ ინსტიტუტში ქიმიკომა 3. ცისკარი შვილმა, რისთვისაც მას დიდ მაღლობას უცხადებთ.

3) ამ მხრივ საყურადღებოა ოსკარ მონტელიუსის შრომები: Findet man in Schweden Ueberreste eines Kupferalters? და Bronzezeit: Reallexikon der Vorgeschichte, B. II, S. 179—188.

4) კავკასიის ბრინჯაოს ნივთების ანალიზის შესახებ ცნობები აქვს მოყვანილი ა. უვაროვს, ი. არხიპოვს, ჭ. პეტროვს, რ. ვირხოვს, ვ. სკინდერს და სხვებს, მაგრამ ეს ცნობები ვერ არის ვამოსაყენებელი რამე საყურადღებო შედეგების მისაღებად. უძველესი დროის ნივთების ქიმიური ანალიზების შესახებ საყურადღებო შრომა აქვს Helm-ს. Über die Bedeutung der chemischen Analyse bei vorgeschichtlichen Untersuchungen: Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien. Bd. XXX, Heft I; O. K r ö h n k e, Chemische Untersuchungen an vorgeschichtlichen Bronzen, 1900, S. 42 ff.; ZfEthn Verhandlungen 1897, S. 344, Olshausen u. a.

როგორ უნდა წარმოგიდგინოთ ჩვენი მახვილის „წარმოშობა?“ ცნობილია, რომ მახვილი კარგად განვითარებული ლიტერატურული სტრიის დროს არის წარმოშობილი, და მის პროტოტიპი უკუკეთ დროის ლითონის სატევარია დასახული.

ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს იგრეთვე, მახვილის პროტოტიპიად ხის კეტი უნდა დაისახოს. მართლაც, ავსტრიალიის პრიმიტიულ ხალხთა შორის დღესაც გხვდებით ხისგან გაკეთებულს „მახვილისებურ“ იარაღს. ოკეანის მცხოვრებლები ამგვარ იარაღს უკეთებენ ხეიმენის ანუ ნათელთევზას კბილებს, ხოლო ძეველი მექსიკის მცხოვრებლები—ობსიდიანის ნამტვრევებს, და ამრიგად იღებენ ერთგვარ დასარტყმელს და თანაც ჭრილობის მიმცემ იარაღს, რომელიც ყოველ შემთხვევაში მახვილის დანიშნულებას ასრულებს<sup>1</sup>. მაგრამ ამგვარი ხის იარაღის მახვილის პროტოტიპიად აღიარებას მეტად ფრთხილად უნდა მოვევიდოთ, ვინაიდან ადვილად შესაძლოა, რომ ეს იარაღი (ხის „მახვილი“) ლითონის მახვილის შემოლების შემდეგ წარმოშვა. აგრეთვე დაუჯერებელია ის აზრი, ვითომც მახვილის პროტოტიპი დანა იყოს.

ჩვენი მახვილის პროტოტიპებად, თუ შედევრელობაში არ მივიღებთ ხის „მახვილს“, უნდა ჩევთვალოთ სპილენძის ფართობირა სატევარი და იგრეთვე მეტად გრძელი პირის მქონე ნაჯახი, რომელის მაგვარი უკვე გავრცელებული იყო როგორც წინა აზიაში, აგრეთვე ბევრს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს პროტოტიპები (სპილენძის სატევარი და ნაჯახი) იძლეოდნ იდეს, რომ მათი უმთავრესი თვისებები ერთს იარაღში ყოფილიყო მოცემული, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მოპირდაპირისათვის მძიმე ჭრილობის მიყენება მანძილზედაც.

ზოგიერთის აზრით მახვილის იდეა უნდა მიეცა ტრიანგულარული ფორმის სატევარს, რომელსაც ტარი ისეთ ნაირად ჰქონდა დაგებული, როგორც ეს სურათზედ არის ნაჩვენები (სურათი იხილე შუბპარდტის შრომაში: Alteuropa, Abb. 17, S. 51). ამგვარად ტარდაგებულ სატევარს, ცხადია, აღამიანისათვის შეეძლო მიეცა იდეა მახვილის შექმნისათვის, მაგრამ ჩევნთვის თვით ამნაირად ტარდაგებული. სატევარი მეტად საეჭვოა.

ეჭვე უნდა ღინიშნოს ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეგვიპტეში აღმოჩენილს ქვის სატევარს, რომელიც უკველეს დროს ეყუოვნის, ბოლო თევზის ბოლოს მაგვარად აქვს გამოყანილი. (სურ. 27). სრულიად ამგვარივე ბო-

<sup>1)</sup> H. Schurtz, Urgeschichte der Kultur, S. 334, Leipzig und Wien 1912.



ღო ეტყობა ჩვენი მახვილისთანა ტიპის მახვილს, რომელიც ბაკურ-  
უნეშია. ნაპოვნი და რომლის ბოლოზე თევზის ფხის მოტივები  
არის მოცემული (სურ. 23). რომ ამგვარი ბოლო და ორნამენტი  
შემთხვევითი არ არის, ამაში გვარწმუნებს ბაკურციხეში აღმოჩე-  
ნილი სხვა ამგვარისავე ტიპის მახვილები (ტაბ. IV, V და სხვა).  
მართალია, ჩვენს მახვილს ასეთი ბოლო და ორნამენტები  
დღეს აღარ ეტყობა, ვინაიდან მისი ბოლო უანგით არის შექმუ-  
ლი და შეცვლილი, მაგრამ საფიქრებელია, რომ მასაც ამგვა-  
რივე ბოლო ჰქონდა თავდაპირველად. ჩვენ ამით სრულიადაც არ  
გვინდა ვთქვათ, რომ ეგვიპტის კაუის ქვის სატევარს უშუალო გავ-  
ლენა ჰქონდა ჩვენი მახვილის ბოლოს წარმოშობაზე, მაგრამ დასა-  
შვებია აზრი, რომ, როგორც ეგვიპტური სატევრის გამკეთებელს,  
ფრეთვე ჩვენი მახვილის ტიპისთანა მახვილების გამკეთებელს, თავ-  
დაპირველად ერთი და იგივე იდეა ასულდებულებდა.

შესაძლოა, ეგვიპტის კაუის ქვის სატევრის მაგვარი სატევრები  
ერთს დროს კიდევაც იყო გაურცელებული წინა აზიაში და, თუ ჩვენ  
დღეს მათ ჯერ-ჯერობით ვერ ვპოულობთ, ამით მათი უარყოფა კი-  
დევ არ შეიძლება.

დღეს შეცნიერებას ბლომად მოეპოვება სხვადასხვა ტიპის მახ-  
ვილები. რომელების ფორმა და დამზადების ტექნიკა გვეუბნება,  
რომ მათი განვითარება სხვადასხვა ევოლუციურული გზით მიღიოდა.  
ამავე მახვილებს ეტყობა, რომ მათი წარმოშობის ცენტრი მარტო  
სპილენძით მდიდარი კუნძული კვიპროსი არ უნდა იყოს, როგორც  
ეს ზოგს ჰქონია, მათი წარმოშობის ცენტრები ბევრს სხვადასხვა  
ადგილს არის საძებარი, რადგანაც მახვილის წარმოსაშობად ბევრს  
კეთიანაში მოიპოვებოდა საჭირო მასალა და პირობები.

**ტიპოლოგიისათვის.** აღნუსხვა ყველა იმ მრავალფეროვანობის,  
რომელიც დღეს მახვილებს აქვს, ჩვენს პატარა წერილში შეუძლებე-  
ლია და არც ჩვენს მიზანს შეადგენს მათი ტიპოლოგიის დადგენა.  
მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია მახვილთა უმთავრესი ტიპების აღნიშ-  
ენა, რათა წარმოდგენა გვქონდეს, თუ რა ადგილი უნდა მიექუთვ-  
ნოს ჩვენს მახვილს, მახვილთა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში.

ბრინჯაოს მახვილების რიცხვი, სხვა ბრინჯაოს ნივთებთან შე-  
დარებით, უფრო მცირე მოეპოვება არქეოლოგიას. მაგრამ მიუხედა-  
ვად ამისა, ჩვენ მაინც იმდენი მოგვეპოვება ძველი დროის დამახა-  
სიათებელი მახვილები და მათი გამოსახულებანი (მაგალითად კედ-  
ლის მხატვრობა, ბარელიეფები და სხვა), რომ შეგვიძლია მათი  
ერთგვარი ტიპოლოგიის დადგენა.



როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ჩვენ არ შევხებით მთელს მსოფლიოში გვარცელებულს სხვადასხვა მახვილების ფორმებს და არც მათს მთლიან ტიპოლოგიას, აღნიშნავთ მხოლოდ უმთავრესად საქართველოს მეზობლად, ან ცრტად თუ ბევრად დაშორებულს ქვეყნებში აღმოჩენილ მახვილებს, რომ შევძლოთ მათი ერთი მეორესთან შედარება. დავიწყოთ ქედაბეკიდან.

ქედაბეკში აღმოჩენილია ორი მახვილი; ერთი მათგანი ინახება მოსკოვის საისტორიო მუზეუმში (სურათი იხ. *Материалы по археологии Кавказа*, вып. VI, табл. I, рис. 3), მეორე კი—საქართველოს მუზეუმში, ინვენტარის № 31—16/1. ეს მახვილები აშკარად განსხვავდება ზემოაღწალის მახვილისგან, როგორც თვით პირის და ბოლოს მოყვანილობით, აგრეთვე ტარითაც. იმ დროს, როდესაც ჩვენი მახვილის ტარი ბრინჯაოსი არის და ტარს შიგნით ღრუ აქვს დატანებული, ქედაბეკის მახვილმა ტარის ღრუ სრულებით არ იცის და თანაც ტარის კრასტრუქტურის სრულებით არაფერი აქვს საერთო ჩვენი მახვილის ტართან. ქედაბეკის მახვილს პირის გასწვრივ ქედის გამოსახვა არ ეტყობა (სურ. 21b); პირი თხელია; ღრუები უფრო ხშირი, ფართო და ღრმა აქვს და თანაც ლამაზი სუფთა ნახელარია; პირის ჭრილი სულ სხვა მოხაზულობას იძლევა, ვიდრე ზემოაღწალის მახვილის პირის ჭრილი (სურ. 21a), ასე რომ მათი ტიპი სულ სხვა არის, ვიდრე ზემოაღწალის მახვილის.

ქედაბეკის მახვილის ტიპის მახვილები სხვადასხვა ადგილის არიან აღმოჩენილი. ამ ტიპის მახვილებს შემდეგში ჩვენ ყველას მოგიხსენიებთ.

კასპიის ზღვის ნაპირებზედ მდებარე ადგილებში, მაგალითად, ტარიშში (სპარსეთი) მორგანის მიერ აღმოჩენილი მახვილები ტრიანგულარული ფორმის არის და ბოლოწარვეტილი (*Morgan, Delegation en Perse: Mémoires* VIII, p. 277, 283, 296, 318, 328), თუმცა ტალიში, როგორც ამას აღნიშნავს ჰანს ბონეტი<sup>1</sup>, მოწყვეტილი და დაშორებული იყო ძველი ორიენტის უმთავრეს კულტურულ ცენტრებს და ძნელი წარმოსალებენია, რომ მას კავშირი ჰქონდა მცირე აზიის და ეგვიპტის ქვეყნებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტალიშის მახვილების ტარი, პირის სქელი შუა ქედი და სხვა გვეუბნება, რომ ამ მახვილებს ნათესაობა აქვთ ხმელთა შუა ზღვის ქვეყნების მახვილებთან და ამ უკანასკნელის ფორმებზედ არის აღმო-

<sup>1)</sup> Hans Bonnet, Die Waffen der Völker des alten Orients, S. 76 Leipzig 1926.

ცენტრული. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტალიშის მახვი-  
ლებს ზოგი ისეთი დამახასიათებელი ნიშნები აქვთ, რომლებითაც ურთიერთების  
ისინი ჩელელთა-შუა ზღვის ქვეყნების მახვილებისაგან განსხვავდე  
ბიან.

ასურელების და ბაბილონელების მახვილს ფხები ჯერ თითქ-  
მის პარალელურად აქვს; შემდეგ ფხები უცბად ერთდება და მახვი-  
ლის პირს ბასრ, წვეტიან ბოლოს ძლევს<sup>1)</sup>. ეს მახვილები აწლო ენა-  
თესავება კვიპროსის მახვილს, რომელიც ბრინჯაოს შველ ხანას  
ეკუთხნის (2500—2000) და რომლის სამშობლოდ ოფით კვიპროსი  
ითვლება<sup>2)</sup>. ამ კვიპროსის მახვილიდან განვითარდა სხვადასხვა ხალხ-  
თა მახვილები, მაგალითად, სირიულების, ფილისტურულის და სხვათა.  
მართალია, ამ მახვილებს ტრიანგულარული ფორმა აქვს, მაგრამ ისი-  
ნი მაინც უახლოედებიან კვიპროსის მახვილს. ამ მახვილებთან ერ-  
თად ჩენ გვხვდება სულ სხვა ფორმის მახვილიც, რომლის პირი და-  
ლარულია და ჭილის ფოთლის ფორმის მიმგვანეობა; პირს აქვს დატა-  
ნებული კურჭი კოტას გასაკეთებლად და ბოლო კი წვეტიანია. ამ  
ტიპის მახვილი კარგად არის ცნობილი. მის სამშობლოდ ევრო-  
პა ითვლება; ის გაჩნდა მე-13 საუკუნის მიწურულში. საბერძნეთში  
ეს მახვილები ცნობილია მიკენის დროს, ხოლო კვიპროსზე და ეგვიპ-  
ტეში — უფრო ახალ დროში.

ამ ტიპის მახვილებს პირის მოყვანილობით წააგავს ხეთოების  
მახვილიც, თუმც ხეთოების მახვილების ტარები სხვადასხვაობას გა-  
ნიცდიან. შართალია, ამონათხარ მასალებში ჩენ ჯერჯერობით არ  
მოვალეოვება ხეთოების მახვილი, მაგრამ ამას გვუბნება ხეთოების  
ბარელიეფებზედ გამოყვანილი მახვილის ფორმები.

ეტყობა ხეთოების მახვილს გავლენა ჰქონდა ასურელების მა-  
ხვილზედ. სალმანასარ II-ის ანუ-ადად-ის ტაძარში ჩენ ვხედავთ მა-  
ხვილის გამოსახულებას, რომელსაც ნათლად ეტყობა ხეთოური მახვი-  
ლის გავლენა. ასურელების მახვილი იმით განსხვავდება ხეთოების  
მახვილისგან, რომ ამ უკანასკნელის ტარი და პირი ცალცალკე კეთ-  
დებოდა, იმ დროს როდესაც ასურელების მახვილის ტარსა და პირს  
ერთად ჩამოსხამდენ ხოლმე. მაგრამ ეს გარემოება მარტივად აიხ-  
სნება: ჩენ ვიცით, რომ ასურელების სატევარის პირი და ტარი  
მოლიანი იყო; ამიტომ მათ (ასურელებმა), როდესაც ხეთოების გა-

<sup>1)</sup> Zeitschrift für Ethnologie 1890, p. 26 f.; Koldewey, Tempel von Babylon und Borsippa, p. 26; იხილე აგრეთვე: Reallexikon der Vorgeschichte. Her. v. M. Ebert. B. 4. 2 Hälfte, Tafel 268, Abb. c.

<sup>2)</sup> შეადარე Schurz, S. 334 და Bonnet, S. 74.



ვლენით მახვილის კეთება დაიწყეს, აქაც მახვილს უზრუნველყოფი ტარი და პირი შეუქმნეს.

აღნიშვნათ კიდევ ერთს მეტად საყურადღებო, სრულიად ახალი ტიპის მახვილს, რომელიც ოუმცა ეგვიპტეშია ნაპოვნი, მაგრან რომლის სამშობლოდ ეგვიპტე არ ითვლება. ეს მახვილი არის მოკლე, მეტად ფართო პირი აქვს, ფხები პარალელურად ერთი მეორეს მისდევნ და პირის ბოლოზედ რეალისტურ ფორმას იღებენ. ამნაირი მახვილი აღმოჩენალია კრეტაზედ და მონტელიუსი და ნაუე აკუთვნებენ 1400 წ. ჩვენს წელთაღრიცხვებიდან.

თუ მახვილის ზემოთ აღნიშვნულ უმთავრეს ტიპებს ჩვენს მახვილს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ზემოავჭალის მახვილი სულ სხვა ტიპისაა. ჯერ ერთი, ჩვენს მახვილს ბოლო სწორკუთხოვანი აქვს, პირის ფორმა არ არის არც ტრიანგულარული, არც კილის ფოთლის მაგვარი და არც ფხები მიჰყება ერთი მეორეს პარალელურად. ზემოავჭალის მახვილის ფხები ბოლოსაკენ ჩაზნექილი და რეალისტური მოყვანილობისაა; ტარიც თავისებურად არის გამოყვანილი, ასე რომ ჩვენი მახვილი სრულიად განსხვავებულ, განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ მას განსაკუთრებულ ტიპად გამოვჰყოფთ და სახელიად ზემოავჭალის მახვილს უწოდებთ.

ქრონოლოგიისათვის. ჩვენ ვიცით, რომ მახვილები, ლითონის სხვა იარაღებთან შედარებით (მაგალითად, ნაჯახებთან, ისრის და შუბის წევრებთან, სატევრებთან და სხვა), უფრო ახალ დროს ეკუთვნიან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ქვის ხანაში მახვილი არ არსებობდა, ხოლო ლითონის ინდუსტრიის დასაწყისში კი ისეთი იარაღების-კეთება დაიწყეს, რომლებიც ქვის ხანაში ცნობილი იყო, ქვის ინდუსტრიაში მახვილს არც შეეძლო წარმოშობა, ვინაიდან ქვის მახვილი თავისი სიმძიმით ყოვლად უვარებისი იქნებოდა სახმარებლად<sup>1)</sup>, ხოლო ხე და ძვალი, რომელსაც აგრეთვე ხმარობდენ იარაღის საკეთებლად, მახვილისათვის არ ვარგოდა. აქიდან ცხადია, რომ, ვინაიდან მახვილს არც პალეოლითში და არც ნეოლითში არ ჰქონია „წინასახე“, მას არც შეეძლო წარმოშობა ლითონის უძველეს ხანაში. მხოლოდ შემდეგში, როდესაც ლითონის ინდუსტრია უფრო განვითარდა, როდესაც მახვილის პროტოტიპებმა (სატევრებმა და ნა-

<sup>1)</sup> თუმცა ეგვიპტეში არის ნახული კაუის ქვისაგან გავეობული გრემლი მახვილის პრი, რომელიც ბელით სახმარად სრულიად არ ვარგა და უნდა ვითქონოთ, რომ მას მხოლოდ რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. ი ბ ე რ მ ა შ ე რ, ცტ. 164.



ჯახებმა) სხვადასხვა სახე მიიღეს, მახვილმაც იწყო განვითარება თა-**უროვნეული კისებური ევოლუციონური გზით** და საუკეთესო საომარ იარაღად **ჭიშლის გადაიქცა.**

მართლაც, თუ დავაკვირდებით არქეოლოგიის მიერ მოპოვებულ უძველესი დროის სპილენ-ბრინჯაოს ნივთებს, იქ მახვილებს ვერ ჟევხვდებით. უძველესი მახვილები აღმოჩენილია სპილენძით მეტად მდიდარ კუნძულ კვიპროსზე და უნდა მიეკუთნოთ, როგორც უკვი ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მესამე ათასეულის მეორე ნახევარს (ჩვენს ჭელთაღრიცხვამდე).

თუმცა ზოგიერთი მეცნიერი კუნძულ კვიპროსს მახვილის სამ-შობლოდ სთვლის, მაგრამ ეს საკითხი გადაჭრილად არ შეიძლება ჩა-ითვალის. მართალია, კუნძულ კვიპროსის მახვილის ფორმა ბევრს ქვეყანაში გვხვდება (მაგალითად, ჩრდილო კვრობის მხარეში, ეგვი-პტეში, მცირე აზიაში), მაგრამ ეს კიდევ საბოლოვოდ არ სწყვეტს საკითხს მახვილის სამშობლოდ მარტო კუნძულ კვიპროსის აღი-რებისა. შესაძლოა მახვილები კვიპროსის გარეშე სხვადასხვა აღგილ-ებშიდაც წარმოიშვა, მით უმეტეს რომ ამის პირობები ყველგან იყო შემთხვებული. ეს ასეც უნდა მომხდარიყო და ამის მაჩვენე-ბელი ნიშნებიც მოიპოვება. როდესაც კვიპროსის მახვილებმა მცი-რე აზიაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში იწყეს გავრცელება, იქ ისი-ნი შეხვდენ სხვა გვარის ტიპის მახვილებს, რომლების სამშობლოდ კვიპროსი არ უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოების შესახებ ბონნეტი თავის ახალ შრომაში<sup>1</sup> აღნიშნავს: „Auch dieser ist kaum im Lande (ამბობს მცირე აზიაზე) selbst entstanden, denn er (მახვილი) zeigt deutlich Verbindung mit europäischen Typen“. ჩვენ გვგონია, რომ ბონნეტის ასეთი აზრი ნაადრევია. მართალია, ის ხმარობს სიტყვას „kaum“ და გადაჭრით არ ამბობს, მცირე აზიაშიდაც წარმოიშვა მახვილებით, მაგრამ დღეს ჩვენ ვიცით, რომ მცირე აზიაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში იყო ისეთი ტიპის მახვილები, რომლებიც მე-ფიონდ განირჩევოდა ევროპისა და სხვა ქვეყნების ტიპის მახვილები-საგან. მოვიგონოთ ის სურათი, რომელიც გამოხატულია მენ-ხეპრ-პა-სენებს საფლავის კედელზე და რომელიც წარმოადგენს ძლვენის მირთმევის სცენას ტრტმოს მესამისადმი (მე XVIII დონასტია; W. M. Müller, Egyptological Res. II p. 18, pl. 14). ამ სურათზე სხვათა შორის მოსჩანს ერთი აზიელი, რომელსაც ბოლო-სწორკუთხო-ვანი მახვილი ხელში უჭირავს. საქართველოს მუზეუმში მოიპოვება

<sup>1)</sup> H. Bonnet, Die Waffen der Völker des alten Orients, S. 72. Leipzig 1926.



ხეთთური ბარელიეფი, რომელზედაც ბოლო-სწორუქობრივი უნდა იყოს გამოსახული<sup>1</sup>. ზემოავჭალის, სამოსუროს, ცაჯურ ცხის და ზოგი სხვა ადგილების მახვილებიც ხომ ყველანი ბოლო-სწორუქობრივი კონსტრუქციის არის! მაშასაღამე, მცირე აზიაში და მის მეზობლად მდებარე ქვეყნებში მოიპოვება ისეთი მახვილები, რომელთა მაგვარი წინა აზიის გარეშე ქვეყნებში არ გვხვდება და რომელთა წარმოშობის ცენტრიც ისევ აზიაში უნდა ვიგულოო.

ბაბილონელებს მახვილი უკვე ჰქონდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ძათსეულის მიწურულში, ხოლო ასურელებსა და ხეთთებს შორის მახვილის ხმარება კიდევ უფრო ადრე იყო გავრცელებული. ეგვიპტეში პიკსოსების დროს<sup>2</sup> (XIV—XVII დინასტია 1680—1580 წ.) მახვილი უკვე ხმარებაში იყო და 18 დინასტიის (1580—1350) დროს სირიელები და პალესტინელებიც უკვე იცნობდენ მახვილს.

ვინკლერი ოღნიშნავს (Vorderasien im 2 Jahrtaus., S. 61), რომ რამზეს II-ს (1348—1281) ხათუზილმა რეინის მახვილი გაუგზავნათ. ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ წინა აზიაში, არამც თუ ბრინჯაოს მახვილები, რეინის მახვილების კეთებაც ცოდნიათ უკვე მეორე ათასეულის მეორე ნახევარში.

რაც შეეხება ჩვენი მახვილის დათარილებას ამის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს.

სამთავროს უძველეს სასაფლაოს, სადაც ბოლო-სწორუქობრივი მახვილი იყო აღმოჩენილი, აგრეთვე ცობანის და „რედკინ-ლაგერის“ კულტურას მონტელიუსი ბრინჯაოს ხანას აკუთვნებს. იმ დროს, როდესაც მორგანი კავკასიის უძველეს სამარეებს (ე. გ. სამთავროს, კობანს, რედკინ ლაგერს და ზოგიერთს კიდევ სხვას) 3000—2500 წ. აკუთვნებს<sup>3</sup>, ამავე დროს ვირხოვი კობანის სასაფლაოს ყველაზედ უძველესად სთვლის, რასაკვირველია, იმ საფლავებთან შედარებით, რომლებიც დღემდის ცნობილია კავკასიაში, და მას მე XI—X საუკუნით (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ათარილებს<sup>4</sup>. მაშასაღა

<sup>1)</sup> ეს ბარელიეფი გამოცემული აქვს მორგანს Mission Scientifique au Caucase (II, pl. V) და ბ. ა. ტურაეს-ი, К истории хеттского вопроса, табл. VI, Петербург 1900. არც მორგანი და არც ტურაევი არ აღნიშნავთ, რომ ბარელიეფები გამოსახულ ფიგურას მარჯვენა ხელში მახვილი უჭირავს.

<sup>2)</sup> Annales du Service des Antiquitez de l'Egypte VII. pl. zu p. 114

<sup>3)</sup> Нидерле, Человечество, стр. 248.

<sup>4)</sup> R. Virchow, Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten Kaukasus, S. 118 u. 124. Berlin 1883.



მე ვირხოვის გამოანგარიშებით, სამთავროს სასაფლაოს 1, ასე ვთქვათ, ხნოვანება მე-XI—X საუკუნის აქეთ უნდა გაღმოვიტანოთ.

ფინელი არქეოლოგი ა. მ. ტალლეგრენი „რედეინ-ლაგერის“ და ყაზბეგის კულტურას, რომლის ხნოვანება ზემოავჭალის სამარისას უახლოვდება, მე-XIII—IX საუკუნით ათარიღებს<sup>1</sup>.

პროფ. ვ. გოროდცოვი ერთ კერძო წერილში მატყობინებს, ბოლოვეთილი მახვილები მე XV საუკუნეს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეკუთვნიანო.

ბ. ფარმაკოვის კი რკინის ხანის დაწყებას კავკასიაში აკუთვნებს X საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაშასადამე, ზემოავჭალის სამარეც ამავე დროს უნდა მივაკუთხნოთ, ვინაიდან ამ სამარის ხნოვანება ამიერ კავკასიაში რკინის ხმარებაში შემოღებით ხსიათდება<sup>2</sup>.

შანტრი უფარდებს კობანის კულტურას ჰალლშტადტისას, ესე იგი რკინის ხანის დასაწყისს ევროპაში<sup>3</sup> და აშრიგად მისი დათარიღება ვირხოვისას უახლოვდება.

ა. ს. უვაროვი აღნიშნავს ასურეთის კულტურის გავლენას კობანის კულტურაზე და ფიქრობს, რომ ეს გავლენა ასურეთის მეფის სარიუკინის (სარგონის) დროს (721—704) უნდა მომხდარიყო. ეს ის დრო არის, როდესაც სარგონმა ეგვიპტე დაიმორჩილა და შემდეგ ომით მოადგა ურართუს, ანუ კავკასიას. თუმცა აქვე აღნიშნავს უვაროვი, რომ ასურეთის გავლენას მე-IX საუკუნეშიდაც უნდა ჰქონდა ადგილი, როდესაც ასურეთს მიზნად ჰქონდა კავკასიის დაბყრობა<sup>4</sup>.

<sup>1)</sup> როდესაც სამთავროს სასაფლაოს ვამბობთ, ჩვენ აქ ვფულისხმობთ სამთავროს ორმოსამარეებს, რომლების ხნოვანება ეფარდება ზემოავჭალის სამარის ხნოვანებას.

<sup>2)</sup> A. M. Tallgren, Kaukasus: *Reallexikon der Vorgeschichte*, S. 266 B. VI. Berlin 1926. The Kazbek Treasure. *Eurasia Septentrionalis Antiqua*, V.

<sup>3)</sup> Б. В. Фармаковский, Ахванический период в России, стр. 44: *Материалы по Археологии России*, №34. Петроград 1914.

<sup>4)</sup> Ernst Chantre, Recherches Anthropologiques dans le Caucase: *Etudes paleonthologiques dans le bassin du Rhone. Age de bronze*. Tome 2, p. 245.

<sup>5)</sup> А. С. Уваров, К какому заключению о бронзовом периоде приводят сведения о находках бронзовых предметов на Кавказе: *Труды Арх. Стезда в Тифлисе*, стр. 8—9, Тифлис 1881.

ა. ს. უგაროვს ეთანხმება პ. ს. უგაროვაც და უფრო დაასახულოს დილობს თავის დიდი შრომაში ეს აზრი უფრო დაასახულოს.

ფ. ბაიერნის აზრით სამთავროს სასაფლაო კობანის სასაფლაოშე უფრო ძველია, ხოლო „რედინ-ლაგერის“ სასაფლაო კი ამათზედ ძველი<sup>2</sup>. სამთავროს სასაფლაოს შესახებ ის საერთოდ ამბობს, რომ ეს სასაფლაო ეკუთვნის მე-VI საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-VI საუკუნემდის ჩვენი წელთაღრიცხვისა<sup>3</sup>. ი. ტოლსტოისა და ნ. კონდაკოვის აზრით კავკასიაში ცნობილი სამარეები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებზე აღირე არ უნდა მივაკუთვნოთ<sup>4</sup>.

აქ შეგვეძლო კიდევ მოგვეყენა ბერი სხვადასხვა მეცნიერთა აზრები, მაგრამ ყველა ზემო ნათქვამიდანც ცხადია, თუ როგორი დიდი უთანხმოება არსებობს კავკასიის სამარეების დათარიღების საკითხში და გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჯერ-ჯერობით არ არსებობს შეთანხმება არამც თუ აბსოლუტურს, არამედ შედარებითს დათარიღებაშიც.

რაც შეხება ზემოავჭალის სამარის დათარიღებას, ცხადია, ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საქმიან მასალები ამ როტული საკითხისათვის. შედარებითი მეთოდის მიხედვით შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ის ერთად-ერთი უძველესი სამარეა, რომელიც ჯერ-ჯერობით საქართველოს ტერიტორიაზეა ცნობილი. შეგვიძლია აგრეთვე ვთქვათ, რომ მისი ხნოვანობა არ უნდა მივაკუთვნოთ მე XIII საუკუნეზე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) უფრო აღრინდელ დროს; ამის საბუთს გვაძლევს ფიბულა, რომელიც ფ. ბაიერნმა აღმოაჩინა სამთავროში ჩვენი ზემოავჭალის ტიპის მახვილთან, ეგრეთ წოდებულ ორმოსამარეში<sup>5</sup>.

ჩვენ ვიცით, რომ ფიბულების სამშობლოდ სამხრეთი ევროპა ითვლება, ხაიდანაც ისინი სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელდენ<sup>6</sup>. ვი-

<sup>1)</sup> П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, стр. 361—365; *Матер. по арх. Кавказа*, вып. VIII, Москва 1900.

<sup>2)</sup> Fr. Bauer: *Verhandlungen*, S. 327, 340 и 346. Berlin 1882.

<sup>3)</sup> შეად. *Museum Caucasicum* ტ. V, გვ. 71.

<sup>4)</sup> И. Толстой и Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, стр. 109 и 126, вып. 3, Петербург 1890.

<sup>5)</sup> F. Bauer, Bemerkungen und Ansichten über den Kaukasus und seine vorhistorischen Verhältnisse, seine Völker und deren Industrie, S. 340; *Verhandlungen*. Berlin 1882. ამ ფიბულის სურათი მოყვანილი აქვს ვიზუალურ ტაბ. V და თვით ბაიერნსაც შრომაში: «Untersuchungen über die älten Gr. u. Schatzf. in Kauk.», Taf. XII, Fig. 1.

<sup>6)</sup> თუმც ჟაკ დე-მორგან, Доисторическое человечество, стр. 181, წარმოიშვა. Жак де-Морган, Доисторическое человечество, стр. 181,

კით აგრეთვე, რომ სულ უპრიმიტიულესი ფიბულის ჭარმოშობა შე XV—XIV საუკუნეებს შეუარის მოქცეულია. ამ დროს განმავლობრივო ფიბულის რამდენამე განსაზღვრულ ადგილას. ფიბულების ფართო გავრცელება იწყება ეკრაპაში პალლშტადტის ჰერიოლიდიდათ. მართალია, ხმელთა-შეუარის მთარეში, სახელდობრ მიკენში, მე-XIV საუკუნეში არის აღმოჩენილი ერთად ერთი ფიბული, რომლის ფორმა უპრიმიტიულესია, ეს იგი ვიოლინოს რკალისებური (Violinbogenförmig)<sup>1</sup>, მაგრამ ეს იყო იშვიათი შემთხვევა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამთავროს ფიბულა, რომლის ფორმა ნახევარ-ჭრის ფორმის მაგვარია და არ ეყუთვნის სულ უპრიმიტიულეს ფიბულითა ტიპს. და რომელიც ცოტად თუ ბევრად დაცილებულია თავის ჭარმოშობის ცენტრს, არ უნდა მივაკუთგნოთ მე-XIV—XIII საუკუნეზე უფრო ძირინდელ ხანას. ამიტომ თვით მახვილიც, რომელთაც ეს ფიბული იყო აღმოჩენილი, მე-XIV—XIII საუკუნეზე აღრე ვერ მოხვდებოდა სამარეში. მაგრამ სამთავროში აღმოჩენილი მახვილი თითქმის ხომ ისეთივეა, როგორც ზემოავჭალის, მაშასადაქე ჩვენი მახვილიც. დაახლოვებით, ამავე დროს უნდა მივაკუთვნოთ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რამ სამთავროში ჩვენი მახვილის ტიპის მახვილთან აღმოჩენილია ამაზონების ცული, რომლის ვამოხატულება ხეთთების მეფის ფიგურაზე არის მოცემული და რომელიც დაახლოვებით ამავე დროს მე-XIV—XIII საუკუნეს ეკუთვნის<sup>2</sup>. ამავე დროს ეკუთვნის აგრეთვე ხეთური ბრტყელი უყურო „ნაჯახი“, რომელიც ფ. ბაიერნის აღმოაჩინა სამთავროში ბოლო-სწორკუთხოვან მახვილთან ერთად<sup>3</sup>.

სად არის ნაპოვნი ზემოავჭალის მახვილის ტიპის მახვილები? ერთი ცალი არის ნაპოვნი ფ. ბაიერნის მიერ სამთავროში<sup>4</sup>. ერ-მოკვადა 1926. ასეა თუ ისე, ყოველს შემთხვევაში ფიბული შემოსულია საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთიდან და არა აღმოსავლეთიდან.

<sup>1)</sup> Moritz Höernes, Prähistorische Archäologie, S. 427; Udest, Zu den ältesten Fibeltypen: Zeitschrift für Ethnologie, S. 206. Berlin 1889.

<sup>2)</sup> ამგვარი ცულები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბოდასკეიში და ამიტი კავკა-სიაში არის ცნობილი.

<sup>3)</sup> ბრტყელ „ნაჯახები“ ფართო გავრცელება ჰქონდათ. ეს „ნაჯახები“ თან ახლავს კიმერების (ანუ კიმერიულების), პალლშტადტის, რუსთის ძელ აღმოსავლურ კულტურას და სხვა. ჩვენის ფიქრით ამ ბრტყელ „ნაჯახები“ ხელფის დანიშნულება ჰქონდათ და შეცდომით არიან ნაჯახებად აღიარებული.

<sup>4)</sup> სურათი მოყვანილია Museum Caucasicum, ტ. V, გვ. 64, ტაბ. VIII. ამ მახვილის შესახებ ცნობები აქვთ აგრეთვე ვირუბოვს, Objets d'Antiquité ტაბ. III, სურ. 4 და ბაიერნის, Untersuchungen, ტაბ. XI, სურ. 4. ზაზუილი ინაზება საქართველოს მუნეუმში, ინვ. 1620.

თიც აღმოჩენილია ზემოავჭალაში (აღწერა და სურათი გვ. 26-ზე) შინა მოყვანილი). ზემოავჭალის ტიპის დანარჩენი მატებულებები ლებიც საქართველოს მუზეუმს და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს მოეპოვება, შემდეგია:

სად არის ნაპოვნი	კრეს ტენი cm	სი- ტენი ტენ cm	კრეს ტენი ტენ cm	კრეს ტენი ტენ cm	კრეს ტენი ტენ cm	ნეკრო- ლოს ტენი ტენ cm
	ტენი ტენ ტენ cm	ტენი ტენ ტენ cm	ტენი ტენ ტენ cm	ტენი ტენ ტენ cm	ტენი ტენ ტენ cm	
სოფ. საცხენისი . . .	43,8	11,2	8	4,4	21—26 (ტაბ. IV, 2)	გადატეხი- ხილია შუაზე.
(აღმოჩენის ადგი- ლი გაურკვეველია). . .	48	11	7,8	3,6	88—12 (ტაბ. IV, 3)	პირის ორი- ვე მხარეზე აქვს ერთი თხის (?) და სამი ირმის გამოხატულება.
ზაქათალის ოლქი. . .	53,5	11,5	7,5	5	161-16 (ტაბ. IV, 4)	მა- ლალი და დაქანებუ- ლი აქვს, ზურგის ქე- დი რელიეფურია.
ბაკურციხე . . . .	54,5	10,8	7,5	4,9	4344 (ტაბ. V, 1).	
" . . . .	49,2	11	7,8	3,9	4345 (ტაბ. V, 2).	
" . . . .	50,2	10,2	8	4	4346 (ტაბ. V, 3).	
" . . . .	51,5	8,7	8,4	4	4349 (ტაბ. V, 4).	
" . . . .	—	—	—	—	4354 (ტაბ. VI, 1)	ტარი აკლია; ოთხად არის გატეხილი.
" . . . .	49,5	10	7,8	3,7	4352 (ტაბ. VI, 2).	
" . . . .	52,2	10,5	8,3	3,9	4351 (ტაბ. VI, 3).	
" . . . .	53	10,3	7,8	4,4	4348 (ტაბ. VI, 4).	
" . . . .	53	11	7,8	3,8	4343 (ტაბ. VII, 1).	
" . . . .	50,3	10,2	7,9	3,7	4350 (ტაბ. VII, 2).	
" . . . .	47,5	10,5	7,2	3,2	4347 (ტაბ. VII, 3).	
სოფ. ნინოშმინდა . . .	47,3	10,2	8,4	4	3667 (ტაბ. VII, 4).	
ზემო მაჩხარი . . .	51	10	8,4	3,8	4353 (ტაბ. VIII, 1).	
კახეთი . . . .	—	10,5	7,6	—	148 (ტაბ. VIII, 2)	ბოლო აკლია.
სოფ. ნინოშმინდა . . .	—	11,5	8	—	4215 (ტაბ. VIII, 3)	ბოლო აკ- ლია.
სოფელ კაკაბეთის თავზე . . . .	45,7	10,2	7,7	2,7	3235 (ტაბ. VIII, 4).	
კახეთი . . . .	—	10	7,5	—	150 (ტაბ. VIII, 5)	ბოლო აკ- ლია.

შენიშვნა: ამ ცხრილში აღნიშნული პირებელი სამი მახვილი ინახება სა-  
ქართველოს მუზეუმში, დანარჩენები—საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმში. ბა-  
კურციხის მახვილები შემთხვევით ყველა ერთად არის აღმოჩენილი 1925 წ. მიწის  
ჩუშაობის დროს, კურგანის ძირში. მათთან ერთად აღმოჩენილია ექვსი ცალი  
ბრინჯაოს სატევარი, სამი ცალი ამაზონების ბრინჯაოს ცული, სამი ცალი ბრინ-  
ჯაოს ერთ, ოხოთ ცალი ბრინჯაოს შუბის თავი, ხუთი ცალი რეინის შუბის თავი,  
25 ცალი დაღი ზომის და 13 ცალი პატარა ზომის ბრინჯაოს რელიები (ეტყობა  
ფულებად იყო ნახმარი), ბრინჯაოს ზოდები და სხვადასხვა წვრილი ნივთები.

ზემოავტოლის მახვილის ტიპის მახვილები მოეპოვება აგრეთვე 3/3  
მოსკოვის საისტორიუმ მუზეუმს სამი ცალი. ერთი მათგანი (ინვ. 55280)  
მუზეუმში „სტროგანოვის“ სასწავლებელში შეიძინა და არ იციან,  
თუ სად არის იყი ნაპოვნი! მეორე—ნაყიდია ბაქოში, ხოლო მესა-  
მე—შეძენილია ტფილისში <sup>2</sup>.

ამავე ტიპის ორი მახვილი დაცულია ერთიანში; ერთი მათგანი ნაპოვნია სოფ. ბოდბისში 1892 წ. ამ მახვილის სიგრძე 56 cm ტარი-ანად, პირის სიგრძე 45,5 cm; მეორე შეძენილია ზაქათალის ოლქი-რან. მისი სიგრძე 58 cm, პირის სიგრძე ეფესამდის 48 cm.

აი ყველა ის მახვილი, რომელიც ზემოავჭალის მახვილის ტიპს ეკუთვნის და რომელიც ჯერ-ჯერობით მეცნიერებას მოეპოვება. მართალია, ზემოავჭალის ტიპის ერთ მახვილს (სატევარის სახელშოდებით — Poinard en bronze) აღნიშნავს დე შორგანი „რედკინ-ლაგერიდან“<sup>3</sup>, მაგრამ ჩვენ გვვინია, რომ ეს ზემოთ მოხსენებული, სამთავროში აღმოჩენილი მახვილია და შეცდომით „რედკინ-ლაგერს“ მიწერილი. რამდენადც ვიცით, „რედკინ-ლაგერში“ არც ერთი მახვილი არ აღმოუჩნიათ, როგორც ამას ადასტურებს ფ. ბაიერნი, რომელსაც კუთვნის „რედკინ-ლაგერის“ ვრცელი დამუშავება<sup>4</sup>.

როგორც სურათებიდან ჩანს, ზემოთ ნახსენები მახვილები ერთსა და იმავე (ზემოავჭალის მახვილის) ტიპს ეკუთხნის და წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით, რომლებიც ერთი მეორისგან განსხვავდებიან როგორც ზომით, წონით, ბოლოს და შერების მოყვანილობით, აგრეთვე ზურგის ქედის განვითარებით. ყველა ამ მახვილს ახსიათებს სრული-ად ბლაგება ბოლო, მრუდე, შიგნივ ჩაზნევილი რეალისტური ფხები, ტარის ლრუ, ტარის ბოლოზე ჩვასხივიანი ვარსკვლავი, ერთნაირი სპირალები და ღარები, თევზის ფხის ორნამენტი და სხვა; ყველა ეს აკუთვნებს ამ მახვილებს ერთსა და იმავე კულტურულ წრეს და იმავე თრის სხვა მახვილებისაგან ნათლად ასხვავებს<sup>5</sup>.

აქვე აღსანიშნავია ერთგვარი მახვილები, რომლებიც ჰემოავ-

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା କରିବାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ ଆବଶ୍ୟକ ହେଉଥିଲା ।

<sup>2)</sup> ვახვილების აღწერა და სურათი იხ. Проф. А. Захаров, Кавказ, Малая Азия и Эгейский мир: Труды секции Археологии III, стр. 37, таб. II, рис. 2 и 4. Москва 1927.

<sup>3)</sup> Mission Scientifique au Caucase. Paris 1889. O. I, 83. 95, სურ. 41.

<sup>1)</sup> F. Bayern, Untersuchungen, S. 8 u. 32.

<sup>5)</sup> საგულისხმოა აღნიშნოთ, რომ არქეოლოგიურს ლიტერატურაში ჩეკვები დღემდის არა გვაქვს ზემოაცვალის მახვილის ტაბის მახვილები აღმოსავლეთ სა-ქართველოს ტრირიტორიის ფარგლების გარეშე.



ჭალის მახვილის ტიპის მახვილებთან ახლოს ჩნდება და ოომლებაც მეცნიერულ ლიტერატურაში, შეცდომით, ზემოავჭალის მახვილის ტიპს აკუთვნებენ<sup>1</sup>. არც ამ მახვილების რიცხვი არის დიდი. ერთი ამ მახვილთაგანი აღმოჩენილია ყოფილი ყაზახის მაზრაში<sup>2</sup>, ერთი — ლორეთში<sup>3</sup>, ერთი — ქედაბეკის ქარხნის ახლოს<sup>4</sup>, ერთი — სოფ. აკურაში<sup>5</sup>, ერთი — მდინარე არაბაშის ნაპირას (ლენინაკინის ციხის მახლობლად)<sup>6</sup>, ორი ცალი — ქედაბეკის და კალაქანეთის ახლოს<sup>7</sup> და ერთიც — სოფ. ბოიანში (აზერბეიჯანი)<sup>8</sup>. ლიტერატურული წყაროების მიხედვით ამგვარი მახვილები უნდა იყოს აგრეთვე აღმოჩენაზე შუშისა და განჯის რაიონებში, მაგრამ სად ინახება, ეს მახვილები, ან რა ადგილას არის ისინი აღმოჩენილი, ჩვენ არ ვიცით.

ამ ორი ტიპის მახვილების გავრცელების რაიონებიც სხვადასხვა არის. პირველი ტიპის (ზემოავჭალის) მახვილები გავრცელებულია ეხლანდელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მტკვრის მარცხნა მხარისკენ, ხოლო მეორე ტიპის — აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთიდ მდებარე ქვეყნებში, მტკვრის მარჯვენა მხარისკენ (სურ. 28).

ზემოავჭალის ტიპის მახვილს ეტყობა სხვადასხვა კულტურული წრეების გავლენა; მაგალითად, მასზედ გამოყვანალი სპირალები მცირე აზის და ეგვიპტის ზღვის ქვეყნებისკენ მიგვითითებს, ტარის მოყვანილობა და საერთოდ მისი კონსტრუქცია ხეთთურ გავლენას განიცდის; ხეთთურ გავლენას განიცდის აგრეთვე ტარის ყელზედ გამოყვანილი „ზონარ-ორნამენტი“ (ტაბ. VIII, 3); ტარის ბოლოზედ მოცემული ასტრონომიული მოტივი (ვარსკვლავი) და მახვილის პირზე გამოხატული ცხოველები ასურელების გავლენას გულისხმობს, ხოლო ზოგიერთი მახვილის მხრების ფორმა — სპარსულ კინაკისას. ეტყობა ზემოავჭალის ტიპის მახვილის გავრცელების რაიონში სხვა-

<sup>1)</sup> Проф. А. Захаров, Кавказ, Мал. Азия и Эгейский мир, стр. 37.

<sup>2)</sup> ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 28—15/1.

<sup>3)</sup> ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 51—05/4.

<sup>4)</sup> ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 31—16/1.

<sup>5)</sup> ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. 1—29/1.


<sup>6)</sup> ინახება მოსკოვის საისტორიო მუზეუმში, ინვ. 54322. სურათი და აღწერა იხილე ა. ზარავის შრომაში: Кавказ, Малая Азия и Эгейский мир, გვ. 36—37, ტაბ. II, სურ. 5.

<sup>7)</sup> ინახება მოსკოვის საისტორიო მუზეუმში. სურ. ი. А. А. Ивановский: Материалы по археологии Кавказа, вып. VI, табл. I, рис. 1 и 3.

<sup>8)</sup> Г. Филимонов, Закавказские древности: Вестник О-ва древне-русского искусства, стр. 100—102, № 11—12, Москва 1876.



১৫৮৩৬৭৪০  
৩০৮৪০৩০৩৩





დასხვა კულტურული წრეები ერთმანერთს ხვდებოდა, ერთი ძეგლი ზედ გავლენას ახდენდა და აღვილობრივ ფორმებთან ერთად ქმნიდა ჰიბრიდებს.

რადგანაც ლითონის დამუშავება საქართველოს ტერიტორიაზე კარგად იყო განვითარებული ძველ დროში, ზემოავჭალის ტიპის მანევრები აღვალობრივ უნდა იყოს დამზადებული<sup>1</sup>. მართალია, დღეს ჩვენში კიდევ არ არის ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ყალიბები აღმოჩენილი, მაგრამ ჩვენი არქეოლოგიური განათხარები თითქმის სულ სასაფლაოებია, სადაც ლითონის დამუშავების ნიშნების პონას (მაგალითად, ყალიბებს, ბრინჯაოს სადნობ ჭურჭელს და სხვა) არ უნდა მოველოდეთ. ჩვენში ეშირიად პოლუნძენ სპილენძის და ბრინჯაოს ზოდებსა და ნამტვრევებს, მეტად მსხვილსა და დიდი ზომის ბრინჯაოს რგოლებს, რომლებიც ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელად უნდა ყოფილიყო დამზადებული. მართალია, ჩვენში არ არის კალა (ყოველს შემთხვევაში, ჩვენ ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვაპოვება, თუმცა ზოგიერთები ადასტურებენ, რომ კაგასიის ახლო მდებარე ქვეწებში, უძეველს დროში კალის ჭრულობდენო, მაგალითად, მცრავ აზიაში, კასტამუნში (სინოპიდან დასავლეთის მხრივ), კასპის ზღვის სამხრეთისკენ<sup>2</sup>, სპარსეთში, ავლანისტანში და სხვაგან),<sup>3</sup> მაგრამ ეს ჩვენს აზრს მაინც არ ეწინააღმდეგება. ჩვენ ვიცით ქვეყნები, სადაც არც კალა და არც სპილენძი ადგილობრივ არ მუშავდებოდა, მაგრამ ადგილობრივ, მიუხედავად ამისა, მეტად ბევრ ბრინჯაოს ნივთებს აკეთებდენ, მაგალითად, შვეციაში და შვეიცარიაში. დღეს ამ ქვეყნებში განვითარებული ძველის დროის ბრინჯაოს ინდუსტრია ყველა სათვის დამტკიცებულად ითვლება (P a n k e, ცტ. 674). ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ შვეციაში, ძველ დროში, არც კალის და არც სპილენძს აღვილობრივ არ ამუშავებდენ, თუმცა ეს მაღნები იქ საკმა-

<sup>1)</sup> რომ ბრინჯაოს ინდუსტრია გავრცელებული იყო კავკასიაში, ამას ბევრი მკლევარი მხარს უქერს. მაგალითად R u d o l f V i r c h o w' ერთს თავის შრომაში ამბობს: «Man wird daher wohl annehmen dürfen, dass in der Gegend von Kajakenet und Schuscha Centren der Metalltechnik bestanden haben» (Ueber die culturgeschichtliche Stellung des Kaukasus: Abhandlungen der Königl. Preuss. Akademie der Wissenschaften zu Berlin 1895). მორიც ჰოერნესი ამბობს, რომ ბრინჯაოს გავეთებას თავდაპირველად ამიერ-კავკასიაში, ან მის მოსაზღვრე ქვეყნებში მიხდენო.


<sup>2)</sup> E. Tietze, Die Mineralreichthümer: Persiens. Jahrbuch d. k. k. geologisch. Reichsanstalt in Wien XXIX, S. 640, 1879.

<sup>3)</sup> Fischer: Neues Jahrb. f. Mineralogie. Bd. II, 1882, S. 91, 92. Prof. Arzruni, Über das Vorkommen von Zinnstein und die Bronzeindustrie des Kaukasus: Verhandl. Berlin 1884, S. 58.



ოდ მოიპოვებოდა. ბრინჯაო ზოდებად შედიოდა ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში და იქ ადგილობრივ ამზადებდენ სხვადასხვა ნივთებს<sup>1</sup>.

რომ ბრინჯაო ჩვენში მზადდებოდა, ამის დასამტკიცებელი მფლისურისა ლა დღეს კიდევ არ მოგვეპოვება, მაგრამ არც ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ლითონი ჩვენში არ მზადდებოდა; არ შეგვიძლია აგრეოვე კიფიქროთ, რომ ჩვენი მახვილი იმპორტის ან ნადავლის შედეგია, კინაიდან განათხარი ამგვარი მახვილები ჩვენ არც ერთს სხვა ქვეყანაში არ ვიცით, გარდა ჩვენი მხარისა. ამიტომ ჩვენი მახვილის ტიპის მახვილების განვითარება და წარმოშობა, განათხარი მასალების მიხედვით, ჯერ-ჯერობით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას უნდა მივაკუთვნოთ და ავთოხოონურად ჩავთვალოთ.



სურ. 29. ბრინჯაოს სამაჯურები.


**სამაჯურები.** მარცხენა, წინა მკლავის ძვლებზედ წამოცმული იყო ორი ცალი ბრინჯაოს სამაჯური (სურ. 29 და სურ. 3F); ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასში შედიოდა Cu 88,06%, Sn 9,31%, ხოლო სხვადასხვა ნივთების 2,63%.

სამაჯურებს უფრო ოვალური ფორმა აქვთ, ვიღრე წრის; ამიტომ თვითეულ მათგანში ორს სხვადასხვა ზომის დიამეტრს (პატარა D=5,4 cm, ხოლო დიდი D=6,2 cm) ვარჩევთ.

სამაჯურები წარმოადგენენ გახსნილ რგოლებს ერთი მეორეზედ თავებ-შეექცეულს, ასე რომ ყოველთვის არის შესაძლებელი მათი მორგება მკლავის სხვადასხვა აღვილას.

სამაჯურები ნაკეთებია მსხვილი ოთხწახნაგოვანი „მავთული-საგან“, რომელსაც სამი გვერდი თითქმის ბრტყელი აქვს, ხოლო მეოთხე (გარეთა) — ამოდრუკილი. ამ მავთულის საშუალო სისხო 0,6 cm არის; არავითარი ორნამენტი მას არ ამკობს და ეტყობა მეტად პრიმიტიული ხელობა.

<sup>1</sup>) Нидерле, Человечество в доисторические времена, стр. 282. Петербург 1898.



ამგვარი სამაჯურები არის ოლმოჩენილი კავკასიის სხვადასხვა კუთხეში. სხვათა შორის ოლმოჩენილია კობანშიღაც და შანტრი ად უკანასკნელის სასაფლაოს შესახებ ამბობს: ის ჩონჩხი, ომელისაც მაჯაზე ორი სამაჯური აქვს შერჩენილი, დედაკაცის არისო<sup>1</sup>.

**ბეჭდები.** მარცხენა ხელის უსახელო თითის პირველ ფალანგზე წამოცმული იყო ოთხი ბეჭდი (სურ. 5); ამათგან სამი—მთლიანად იყო შენახული, ხოლო მეოთხე—უანგისგან სრულებით დაშლილი. ბეჭდის ნატეხები ვიპოვეთ აგრეთვე ფიალის შიგნით, სადაც მარჯვენა ხელის ძვლის ნაწილები იყო მოხვედრილი.

ბეჭდები, ისე როგორც სამაჯურები, მთლიან რგოლებს არ წარმოადგენს; თავები ამათაც ერთი მეორეზე აქვთ შექცეული. ბეჭდები 2 mm-ის სისხო მავთულისაგან არიან ნაკეთები და გარდიგარდობი დაღარული. თვითეული ბეჭდის დიამეტრი — 1,8 cm. ქიმიურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ბეჭდები ბრინჯაოსია, რომლის შემაღენლობაში შედის Cu 88, 47%, ხოლო Sn — 11,68%.

**მახათი** ბრინჯაოსია და სიგრძით 10,5 cm უდრის. მას ყური მოტეხილი აქვს, ცოტად თუ ბევრად მოღუნულია და თანაც ოთხად არის გატეხილი (სურ. 3 1). აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მახათებს უმეტეს შემთხვევაში ყოველთვის მოღუნულს პოულობენ სამარეებში.

**ლილები** (ბრინჯაოსი) სამი ცალი ვიპოვეთ. ამათი ფორმა ნახევარსფეროსებურია და „კედლის“ სისქე 1 mm არ აღემატება (სურ. 7).

**ფირფიტა** (ესეც ბრინჯაოსი) ვიპოვეთ ხანჯლის ანუ დანის სრულიად უანგად ქცეულ ნაშთებთან (სურ. 4 b) და, ცხადია, გამოყენებული იყო ნახსენები იარალის ტარის ბოლოს სამეაულად. ფირფიტის სისქე 1,5 mm-ი. მას მომრგვალო ფორმა აქვს. ერთი მისი დიამეტრი 2,8 cm-ი, ხოლო მეორე — 2,4 cm.

**ლურსმნები-**ც ბრინჯაოსია და ფირფიტასთან ერთად იყო ოლმოჩენილი. უეჭველია, რომ ესენიც ზემოთ ნახსენები იარალის ტარის სამეაულად იყო ხმარებული. თვითეულს ლურსმანს თავი ნახევარსფეროსებური აქვს, ბოლო სრულებით ბლაგვი, სიგრძე კი 1 cm არ აღემატება.

#### რეზის ნივთები.

**შუბის თაფი.** სიგრძე დაახლოვებით 23 cm-ი, აქვს ღრუ ბუნის ღასაგებად (სურ. 6).

<sup>1)</sup> Chantre, Matériaux pour l'histoie primitive et naturelle de l'homme. შეადარე Rudolf Virchow, Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Kaukasus, S. 42, Berlin 1883.




ხანჯალი (ანუ. და ან ა) სიგრძით 20 cm-ამდის არის. პირი უნდა ჰქონოდა (სურ. 3 J).

ეს ორი ზემოთ ნახსენები რკინის ნივთი (შუბის თავი და ხანჯალი) იმდენად არის უანგით შეცვლილი და ფრაგმენტებად ქცეული, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მათზე რისამე თქმა. ამათ გარდა სხვა რაიმე რკინის ნივთი სამარტი არ აღმოჩენილა.

### თიხის ფურცელი.


ფიალი. თიხის ჭურჭელი სამარტი აღმოჩნდა მხოლოდ ხუთი ცალი. მიცვალებულის მარჯვენა შეარქეს ჩადებული იყო ფიალი (სურ. 3B და 30), რომლის სიმაღლე 175 mm უდრის, ზემო ნაპირის წრის დიამეტრი—460 mm. ფიალის ზემო ნაპირთან დატანებულია მოკლე მილი, რომლის სიგრძე, ფიალის გარეთა პირიდან, 12 mm-ს უდრის. მილი დაცილებულია ფიალის კიდეს 16 mm-ით. მილის დიამეტრი 17 mm-ს არ აღემატება, ხოლო მისი სისქე—7 mm-ს. ფიალის ნაპირი სამი სანტიმეტრის სიგანეზე ცოტად შიგნით არის გადაქანებული და თავდება მრგვალი ფორმის კიდურით, რომელიც გარეთა პირისკენ არის მომართული. საერთოდ უნდა აღნიშნოთ, რომ ფიალი გადაკვეთილი კონუსის ფორმას გვაგონებს, თუ ამ კონუსის მცირე ფუქსის ფიალის ძირად წარმოვიდგენთ. თიხა, რომლიდანაც ფიალი არის ნაკეთები, კარგად დამუშავებულია და თანაც მჟღენივრად გამომწვარი, თუმცა მას მოშავო ფერი დაპერავს.



სურ. 30. ფიალი (ზემო ნაპირთან დატანებული მილი მოჩანს).


ფიალი მორგვზე<sup>1</sup> არის ნაკეთები და არავითარი ორნამენტი მას არ ამჟობს. ამგვარი ფიალები ნახული იქნება ფ. ბაიერნს სამთავროს უძველეს («Kuppelgräber» ანუ Brunnengräber) საფლავებში,

<sup>1)</sup> მორგვი უკვე ჰქონდათ ხმარებაში ეგვიპტელებს 1900 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.



მაგრამ ამ ფიალებს ნაპირზე არ უნდა ჰქონდეს მიღმა გრავირებული შემთხვევაში ეს არ არის მათს აღწერაში მოხსენებული და არც მათს სურათზე ჩანს (B. Wyrouboff, Pl. X, f. 10, 12).

ზოგიერთი მკვლევარი ფიალის წარმოშობას მეტად ძველ დროს აკუთვნებს (მაგალითად, Klemm-ი ერთს თავის შრომაში «Handbuch der germanischen Alterthumskunde»). საერთოდ კი ზემოთ ნახსენები ფორმის ჭურჭელი ბევრს სხვადასხვა ადგილას არის ცნობილი ნეოლითის დროიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდის.




სურ. 31. ფიალი, რომლის შიგნით მოჩანს ჯამი და წინამთხრის ძვლები.

ჯამი, რომელიც ფიალის შიგნით იყო ჩაფებული პატარა ზომისაა და ნაპირები შემოკეთებული აქვს (სურ. 3P და 31). ამ ნაპირების წრის დიამეტრი 222 mm უდრის. ჯამს საკმო (57 mm) სიღრმე აქვს და სისქით 8 mm-ს არ აღემატება. მისი თიხა კარგადაა დამუშავებული და საკმაოდ გამომწვარი. ჯამის მორგვებები და არ აქვს ორნამენტები. ჯამის ჩამომტვრეულ ნაპირებს თუ დავკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მისი შიგნითა და გარეთა პირი სრულებით შავია და თანაც მოპრიალებული, ხოლო გულისქენ კი მოწითური ფერი დაპკრავს.



სამარეშივე იყო ერთი მოკლე ყელანი, დიდ პირიანი და ფარ-<sup>ურული</sup> თო მუცულიანი დოქი (სურ. 3 A და 32), რომლის სიმაღლე 287 mm უდიდეს არის, ხოლო მუცულის უდიდესი დიამეტრი — 270 mm; ყელის სიმაღლე — 61 mm; ამავე ყელის ზემო პირის დიამეტრი — 95 mm, ხოლო ქვემოსი — 73 mm. ძირი ბრტყელია და მისი დიამეტრი 96 mm-ია. დოქის კედლების და ძირის სისქე 7 mm-ს უდრის. ტარი იმდენად პატარა აქვს, რომ მოზრდილი ადამიანის ხელისათვის სრულიად შეუფერებელია. ტარის ცალი თავი მიმაგრებულია ყელის ზემო ნაპირზე.




სურ. 32. დოქი.

ამ ჭურჭლის თიხა არ არის ძალიან წმინდა და აქვს მუქი ნაცრის ფერი. დოქი გაკეთებულია მორგვებე, მშვენივრად არის გამომწვარი და მუცულის გარშემო, ტარისკენ უფრო ახლოს ვიდრე ძირისკენ, სამი ამოლარული წრე უვლის პარალელურად 8 mm-ით ერთი მეორეზე დაშორებული. სხვათა შორის, ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ტროაში (მეექვსე შრე).


**კოჭობი.** ჩონჩხის წინ იდო პატარა ზომის, დაბალი ორყურა კოჭობი (სურ. 3), რომლის მუცულის შუა ადგილი ირგვლივ თვალსაჩინოდ არის გარეთ გამოწეული (სურ. 33b და სურ. 34b). ამ ჭურჭლის სიმაღლე 94 mm-ია, დიამეტრი — 125 mm, ზემო ნაპირების წრის დიამეტრი — 67 mm, ძირის დიამეტრი — 62 mm. ჭურჭლის ყურები ორივე

გვერდით გახვრეტილია, რომ შესაძლებელი ყოფილი ჰაბოკიდება, ან ხელის მოსაკიდის გაკეთება (სურ. 34 b).



სურ. 33. მუცელვიწრო (a) და ორყურა (b) კოჭობები.

ზემოთ აღნიშნული ჭურჭლის გვერდით წაქცეული იდვა ძალიან პატარა, მუცელვიწრო კოჭობი. მისი სიმაღლე უდრის 83 mm-ს; ხოლო მუცლის დიამეტრი 62 mm-ს (სურ. 33 a და 34 a); პირის წრის დიამეტრი 39 mm-ია, ხოლო ძირის 32 mm.



სურ. 34. მუცელვიწრო (a) და ორყურა (b) კოჭობები (ზემოდან დაბედვით).

ამ ორი უკანასკნელი ჭურჭლის კედლების სისქე ცოტა უფრო ნაკლებია, ვიდრე დანარჩენი ჭურჭლის კედლების; ორივე მორგვევა გაკეთებული და მათი თიხის ფერი, დამუშავება, გამოწვევა—თითქმის იგივეა, როგორც სხვა უკვე ნახსენები ჭურჭლის. ძირი ამათაც ბრტყელი აქვს.



საერთოდ, როდენაც ზემოავჭალის სამარტის ჭურჭელს თვალს გადავავლებთ, შევამჩნევთ, რომ მისი ფორმები ან მოკვეთილ კონუსს მოვავარებენ (მაგალითად, ფიალი, სურ. 30), ან ორ მოკვეთილ კონუსს, ძირა ფუძეებით ერთად შეერთებულს (მაგალითად, ორულა ქოქობი, სურ. 33, დოქი, სურ. 32). ეს გარემოება ამთავითვე უნდა აღინიშნოს იმიტომ, რომ შესაძლოა შემდეგში ამგვარი ფორმის ჭურჭელი ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში ცალკე გამოვყოთ.

ზემოთ უკვე იყო მოხსენებული, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილ ზემოავჭალის ჭურჭელს არ აქვს ისეთი ფერი, რომელიც ჩვეულებრივ, თანამედროვე, კარგად გამომწვარ თიხის ჭურჭელს სწევთა, არამედ — მოშაო (მუქი ნაცრის ფერი).

როგორ უნდა აეხსნათ ასეთი გარემოება?

ჩვენ ვიცით, რომ წმინდა თიხა, რომელიც უმეტეს ნაწილად არის შედეგი ფელდშპატების დაშლისა, თავისი ქიმიური შემადგენლობით წარმოადგენს წყალნარევ ალუმინიუმის სილიკატს და გამოიხატება ფორმულით  $Al_2O_3 \cdot 2 SiO_2 \cdot 2 H_2O$ ; მაგრამ ამგვარი შემადგენლობით თიხა ბუნებაში თითქმის სრულიად არ გვხვდება; მას ყოველთვის აქვს შერეული სხვადასხვა ორგანიული და არაორგანიული ნივთიერებანი, რომლებიც წმინდა თიხის მოთეთრო ფერს ბევრნა-ირად სცვლინ: მომწვანოდ, მოლურჯოდ, მოშავოდ და სხვა. თიხის კარგად გამომწვის დროს, კველა ორგანიული ნივთიერება იწვის, ხოლო არაორგანიული—(როგორიც არის უმთავრესად რკინის ჟანგი) აძლევს გამომწვარ თიხას მოხალისეურ ან მოწითურ ფერს.

თუ აყალო მიწას არ აქვს რკინის ჟანგი და თანაც ორგანიული ნივთიერებით სულ შავად არის შედებილი, ასეთი აყალო გამომწვის შემდეგ ღებულობს თეთრ ფერს.

მაშ როგორ არის, რომ მიწაში ნაპოენ, ძველი დროის კარგად გამომწვარ ჭურჭელს, ზოგიერთ შემთხვევაში წავი ან მოშავო ფერი აქვს ხოლმე, როგორც, მაგალითად, ჩვენს მიერ ნაპოენ, ზემოთ მოხსენებულ ჭურჭელს. ამგვარ გარემოებას სხვადასხვა ნაირად სწნიან: მაგალითად, F. Jäger-ი (Verhandl. 1878, S. 228. Verh. 1879, S. 43; Verh. 1882, S. 457) თიხის ჭურჭლის შავ ფერს აწერს თიხისავე ჭურჭლის უხერხულად გამოწვას, რომლის დროს ვითომდა კვამლით იმურებოდა თიხა და ამიტომ ჭურჭელი შავ ფერს ღებულობდა<sup>1</sup>. ეტყობა Rudolf Virchow-ც ამ აზრს ადგია კობანის სასა.

<sup>1)</sup> დღესაც აფრიკის ზოგიერთი ზანგები თიხის ჭურჭელს უმორგვოთ აკეთებენ, ახმაბენ მხერე, შემდეგ ყოველ მხრივ შემოუწყობენ თივას და ცოტად თუ ბევრად ახერხებენ გამოწვას.

ცულას შესახებ დაწერილ მონოგრაფიაში (Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Kaukasus, S. 110, Berlin 1885). ამავე გარემოებით ხსნის უვაროვი კობანსა და მცხეთაში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის შავ ფერს (Уварова, Могильники Северного Кавказа: Материалы по археологии Кавказа, вып. VIII, стр. 72, Москва 1900. Die Sammlungen des Kaukasischen Museums B. V, S. 69, Tiflis 1902). И. П. Красниковი აღნიშნავს, რომ თიხის ჭურჭელს შავი ფერი მიცემოდა, მას (ჭურჭელს) გამოწვამდის წაუსვამდე ფის, ქონს, სანთელსა და სხვა ამგვარ ნივთიერებას და შემდეგ, გამოწვის დროს, ასეთი ჭურჭელი კვამლის გავლენით იღებდა მუქს, ხან სრულიად შავ ფერს<sup>1</sup>. ზოგიერთი თიხის ჭურჭლის შავ ფერს ხსნის იმ გარემოებით, რომ მასში (თიხაში) „გრაფიტი“ (მინერალური ნაბშირი) არის გარეული<sup>2</sup>. მაგრამ გრაფიტნარევი თიხა, თუ ის ძლიერ კარგად გამომწვარი არ არის, ადვილად გამოსაცნობია, ვინაიდან დანითაც კი შეიძლება მისი დაჭრა და ამ ნაჭრების, როგორც ფანჯრის, გამოყენება.

ზემოავჭალაში და აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილი შავი კერამიკა გრაფიტის გარევით არ აიხსნება. ამ კერამიკის შავი ფერი სხვა მიზეზებით არის გამოწვეული.

ჩვენ გვეონია, რომ კერამიკის შავი ფერი აიხსნება სხვადასხვა გარემოებით და აგრეთვე ოვით აყალო მიწის მოშავო ფერითაც, რომელიც მას ჰქონდა მიღებული ორგანიული და არა ორგანიული ნივთიერებიდან. ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში კერამიკა კარგად არ იყო გამომწვარი, ამიტომ სულ მთლად ერთიანად არ იწოდენ აყალო მიწაში შერეული ნივთიერებანი და თიხის ჭურჭელს „გამოწვის“ შემდეგ მოშავო ფერი რჩებოდა. რომ მართლაც შავი თიხის ჭურჭელს თან ახლავს ორგანიული ნივთიერებანი, რომლებიც მას მოშავო ფერს აძლევენ, ამაში ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ ექსპერიმენტალურად. ამისათვის საჭიროა შავი თიხის ნატეხი ან მთელი ჭურჭელი კარგად გამოწვათ და ჩვენ მივიღებთ მოწითალო ფერს, ვინაიდან თიხაში შერეული ორგანიული ნივთიერებანი დაიწვის და რკინის ფანგი, რომელიც თიხაში ურევია, ბუნებრივ თეთრს თიხას მოწითალო ფერს მისცემს. მაგრამ აქვე შეგვიძლია ვრციქროთ, რომ

<sup>1)</sup> Керамика и ее сохранение. Изд. Государств. Академии Истории Матер. Культ. стр. 28 и 30. Ленинград 1926.

<sup>2)</sup> Alfred Götzte u. J. Kostzewski, Graphit u. graphitierte Gefässe: Reallexikon der Vorgeschichte. B. IV, zweite Hälfte, S. 498. აგრეთვე Museum Caucasicum, B. V, S. 69. Tiflis 1902.

შეორედ, კარგად გამოწვის დროს, დაიწვის არა ორგანიული ნივთი-ერებანი, არამედ ის „მური“, რომლითაც გაშავებული იყო ჭურჭელი ჰარევლად გამოწვის დროს. რომ ამგვარი აზრის დაშვება ყოვლად შეიძლება მიუღებელია, ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგში.

თუ საქართველოში განათხარ შავი თიხის ჭურჭლის ნამტვრე-ებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ისინი ოთხ უმთავრეს ჯგუფად დაიყოფა; პირველ ჯგუფს შეადგენენ ისეთები, რომელთაც კედლების მთელ სისქეზე თანაბარი შავი ან მოშავო ფერი აქვს. მე-ორე ჯგუფს ეკუთვნიან ისეთები, რომელთა კედლის შუა გული შა-ვია, ხოლო მის გარშემო მდებარე ორივე პირები (შიგნითა და გარე-თა) — მოწითალო. მესამე ჯგუფს შეადგენენ ისეთები, რომელთაც გა-რეთა პირი შავი, ცოტად მოპრიალებული აქვთ, ხოლო შიგნითა — მოწითალო. მეოთხე ჯგუფსაც ეკუთვნიან ისეთები, რომელთა კედლის შუა გული წითელია, ხოლო მის გარშემო მდებარე ორივე პირები (შიგნითა და გარეთა) — მოშავო. როგორ უნდა ავხსნათ ჩვენ საქმის ამგვარი გარემოება?

ივილოთ პირველი შემთხვევა. ჩვენ აქ საქმე გვაქვს შავ თიხას-თან, რომელიც არ არის კარგად გამომწვარი და რომელსაც თან ახლავს კიდევ ორგანიული მოშავო ფერის მიმცემი ნივთიერებანი. შესაძლოა, რომ ამავე შემთხვევაში კერამიკის ფერი შეცვლილი იყოს ჩინაურონი წყლით, რომელშიდაც გახსნილი იყო სხვადასხვა ნივთიერება. მეორე შემთხვევაში თიხა მთლიანად არ არის ბოლომდის გამომწვა-რი, თანაც ორგანიული ნივთიერებანი დამწვარი და ამიტომ მოწი-თალო; კედლის შიგნითა გული კი შავად არის დარჩენილი, ვინაიდან მას არ ჰქონდა საკმაო ტემპერატურა და მეცებადი, რომ სრულიად დამწვარიყო ყველა ის ნივთიერება, რომელმაც მას მოშავო ფერი მისცა. მესამე შემთხვევაში კი თიხა უფრო კარგად არის გამომწვა-რი, ხოლო გარეთა პირი ხელოვნურად შეღებილი და მოპრიალებუ-ლი იმ წესით, როგორც ეს ზემოთ უკვე იყო ნახსენები. მეოთხე შემ-თხვევაში, უკველად გავლენა ჰქონდა ჩინაურონ წყალს და მასში გახ-სნილ ნივთიერებას.

რომ შავ კერამიკას კვამლის საშუალებით არ აქვს შავი ფერი მიღებული, ამაში ჩვენ დავრწმუნდებით, თუ თიხის ჭურჭელს მოწი-თალო ან მოთეთრო ფერის აყალო მიწისგან გავაკეთებთ და მოვა-ქცევთ არა დიდს ტემპერატურაში და თანაც შევქმნით ისეთ პირო-ბებს, რომ ის რამდენისამე დღის განმავლობაში მუდამ კვამლში იყოს გახვეული. ამ შემთხვევაში, მართალია, ჭურჭლის კედლები, როგორც შიგნით ისე გარეთ შავად გაიმურება, მაგრამ ჭურჭლის კედლის ში-



გნითა გული კვამლისაგან მაინც არ გაშავდება. მაშასადამე ის ჯზი, ვითომც შავი ჭურჭლის კედლებში კვამლი იყოს შესული და მით შავი ფერი მიცემული, უარყოფილად უნდა ჩაითვალოს და შავი ქრისტიანის ფერი უნდა მივაწეროთ, ან თვით შავ აყალო მიწას და მოუთავებელ გამოწვეს და ან ჩანაუონი წყლის გავლენას, ვინაიდან შესაძლოა, რომ კარგად გამომწვარმა წითელი (თუნდ მოყვითალო) ფერის კერამიკამ შავი ფერი მიიღოს მიწაში მოხვედრის შემდეგ იმ ჩანაუონი წყლის გამო, რომელშიდაც ორგანიული ნიეთიერებებია გახსნილი. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მეტად დიდ დროსთან (შავი კერამიკა უმეტეს ნაწილად ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვის წინა დროს), რის განმავლობაშიც შეღებილი ჩანაუონი წყალი მას ფერს უცვლის. ეს მით უფრო საფიქრებელია, თუ წარმოვიდგენთ გამომწვარი თიხის ფორმვანობას (დაცხრილებას) და შეღებილი ჩანაუონი წყლის მაჩედ სისტემატიურად მოქმედებას ათასი წლობით.

მართალია, კვამლს შეუძლია გავლენა იქონიოს კერამიკის ფერზე, მაკრამ ეს გავლენა სულ სხვა ხასიათისაა.

### სარდოლიკის ანუ კარხოლიკის მძივები.

სამარეში აღმოჩნდა 37 ცალი სარდოლიკის ანუ კარნეოლის მძივი, რომელიც შეგვიძლია სამ უმთავრეს ჯგუფად დაყორო. პირველ ჯგუფს შეაღენს 14 ცალი გახეხილი, ელიპსოიდის ფორმის მძივი (სურ. 8); ამ მძივების პატარა ლერძის ზომა საშუალოდ 4 mm-ს უდრის, ხოლო დიდი ლერძის—5 mm-ს.

მძივის ნახვრეტი (მილი) არ არის თანაბარი ზომის: თავებთან, პატარა ლერძის ორივე ბოლოში უფრო ფართო და შუაგულისკენ ვიწრო, ასე რომ მილის ფორმა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორ მოკვეთილ კონუსად, რომელთა მცირე ფუძეები მილის შუაგულში ხდებიან. თუ მძივის პატარა ლერძზე გამკვეთ სიბრტყეს გავავლებთ, კვეთი მოვცემს ორი მხრიდან შეზნექილს ექვსკუთხედს.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის 22 ცალი მძივი (სურ. 8), რომელიც თავისი ფორმით, ზომით, ნახვრეტის მოყვანილობით, ზედაპირის გახეხვით და სხვა თვისებით უახლოვდება პირველი ჯგუფის მძივებს, ხოლო ეს მძივები პირველი ჯგუფის მძივებისგან განსხვავდებიან თავიანთი ხუთწანაგოვანობით. წახნაგები კი წარმოადგენენ მრადე სიბრტყეებს. ამავე ჯგუფს ეკუთვნის ერთი ცალი კვარცის მძივი (სურ. 9).

მესამე ჯგუფს ეკუთვნის მხოლოდ ერთი მძივი, რომლის ფორ-



მას მივიღებთ, თუ ორ თანასწორ ფუძიან და სხვადასხვა სიმაღლიან კონუსების ფუძებს ერთმანერთს შეუერთებთ (სურ. 8). ამ მძივის სიგრძე არის 16,5 mm, დიამეტრი (იქ, სადაც კონუსების ფუძები ერთმანერთს ხვდებიან) — 8 mm. მძივს აქვს ნახვრეტი მხოლოდ ცალ თავზე (დიდი კონუსის წვერზე). ტექნიკური დამუშავების შერიც ეს ნახვრეტი სრულიად არ განირჩევა ზემოთ აღნიშნული მძივების ნახვრეტისაგან. ამ მძივის ფორმა გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ, როგორც ეს მძივი, აგრეთვე მასთან ერთად სარდოლიკის სხვა მძივებიც, ყლის სამკაულად იყო ნახშარი და არა ტანსაცმელის ანუ თავსახურის მოსართავად<sup>1</sup>.

### „შუშის“ მძივები.

გარდა სარდოლიკის მძივებისა სამარეში აღმოჩნდა ორი ცალი მოყვითალო ფერის შუშისმაგვარი მძივი (სურ. 10). ამ მძივების ქმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათს შემადგენლობაში შედის  $\text{SiO}_2$  (58,3%),  $\text{CaO}$  (8,3%), რაც გვაფიქრებინებს, რომ მძივები შუშისმაგვარი ნივთიერების ან შუშის იყო. ამ მძივების ფორმაც მიაგეს ძირა ფუძეებით ერთად შეერთებულ ორ კონუსს. მათი დიამეტრი პოლუსებს შუა — 5,5 mm, ხოლო შუაწელზე — 6,5 mm.

სამარეშივე აღმოჩნდა აგრეთვე 15 ცალი მოცისფრო ფერის მეტად პატარა ზომის (სიგრძე 2 mm, D=2 mm) მძივები (სურ. 11). ამათმა ანალიზმა ( $\text{SiO}_2$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ ,  $\text{Fr}_2\text{O}_3$ ,  $\text{CaO}$ ,  $\text{CaO}_3$  Mg და სხვა) გვიჩვენა, რომ ეს მძივებიც თავიანთი შემადგენლობით შუშის მძივებს უახლოვდება<sup>2</sup>.

თუ ჩვენ ზემოავჭილის სამარის ინვენტარს ერთხელ კიდევ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ზოგიერთი ნივთების ჭარმოშობაზე და განვითარებაზე, ადგილობრივ სპეციფიკურ პირობებთან

<sup>1)</sup> რაც შეეხება თვით სარდოლიკის პოენას საქართველოს ტერიტორიაზე და მის პირველად აღმოჩნდას სარდოლიკი, ამის შესახებ უკვე გვითხოვთ აღნიშნული ჩვენს შრომაში „კარსის ხევის სასაფლაო“ გვ. 17—18.

საერთოდ აღვინიშვნათ, რომ სარდოლიკის მძივებს მეტად ბევრს პოულობენ, როგორც საქართველოს, აგრეთვე მის მოსაზღვრულ ქვეყნების ქველი დროის სამარეებში. მიგალითად, ფ. ბაიერნ მა ერთს სამარეში 5000 სარდოლიკის მძივი იპოვა (Verhandlungen, S. 340, Berlin 1882).

სამწუხაროდ უნდა აღვინიშნოთ, რომ, მიუხდავად ბევრი ცდისა, სარდოლიკის მძივის გადალესვა და მიკროსკოპიულად შესწავლა ვერ მოვახერხეთ.

<sup>2)</sup> ერთი ცალი მძივი, მეტად დაზიანებული, ქიმიური ანალიზისათვის იქნაგაწირული.



ერთად, გავლენა ჰქონდა სხვადასხვა მხარეებიდან შეიძლებილ კულტურულ ელემენტებს, რომლებიც ადგილობრივ კულტურულ ელემენტებთან ერთად ჰქმნიდნ თავისებურ ფორმებს, ჰიბრიდებს. ეს იმ ქმის, მაგალითად, მახვილზე და ზოგს სხვაზედაც.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სამარის ნივთების ტექნოლოგია თავისთავად უკვე მიგვითითებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციაზე, რომელშიდაც უნდა იყოს შერეული სულ სხვა საზოგადოებრივი ფორმაციების ზოგიერთი ელემენტებიც. ეს საზოგადოებრივი ფორმაცია არის გვაროვნული წესწყობილება.

თავისთავად უკვე მიგვითითებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციაზე, რომელშიდაც უნდა იყოს შერეული სულ სხვა საზოგადოებრივი ფორმაცია არის გვაროვნული წესწყობილება.

რომ ეკონომიკურ უთანასწორობას, რომელიც სხვა მიზეზებთნ ერთად შედეგი იყო გვაროვნული საზოგადოების ოჯახებად დაყოის, ადგილი ჰქონდა ზემოავალის აღამიანის დროს, ამას გვეუბნება სამარის მეტად მდიდარი ინვენტარი. ცნობილია, რომ ძველ დროში მიცვალებული სამარეში ხშირად თან ჩატანდნენ ხოლმე (და ამას ეხლაც იქვე ადგილი კულტურის პრიმატიულ საფეხურზე მდგომ ზოგიერთ ხალხში) იმ ნივთებს, რომელიც მიცვალებულის „კუთვნილებად“ იყო ცნობილი და რომელიც მიცვალებულისათვის აუცილებელ „საჭიროებას“ წარმოადგენდა „საიქიოში“. აქიდან ცხადია, რომ მდიდრებს, და საერთოდ მდიდარი ოჯახის შეილებს, მდიდარ ინვენტარს ჩატანდნენ სამარეში, ხოლო ღარიბებს—ლარიბს.

სამარეში აღმოჩენილ კერამიკას ნათლად ეტყობა, რომ იმ დროში, ესე იგი ხემოავალის აღამიანის დროს, უკვე ყოფილიან თიხის კურკლის გაკეთების ცალკე სპეციალისტები; ამას ამხელს მისი ტექნოლოგია. თავისთავად ცალკე სპეციალისტები ყოფილიან, არამც თუ თიხის კურკლის დასმუშავებლად, არამედ ბრინჯაოს და რკინის ნივთების დასამუშავებლადაც. ამით ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ზემოავალის აღამიანის დროს უკვე ყოფილიან მოხელეთა სხვადასხვა ჯგუფები, მაგალითად მჭედლები, ბრინჯაოს ჩამომსხმელები და სხვ., რაც გვიჩვენებს, რომ იმ დროს უკვე იქმნებოდა ელემენტები კლასობრივი დანაწილებისათვის და აღებ-მიცვმობის განვითარებისათვის.



Dr. G. NIORADZE.

### DAS GRAB VON SEMOAWTSCHALA.

(Zusammenfassung und Ergebnisse).

Das Grab von Semoawtschala wurde von mir Ende Dezember 1927 in der Sowjet-Kinder-Arbeitskolonie (Abb. 1; die Stelle des Grabes ist mit einem Stern bezeichnet) entdeckt. Es befand sich in einer Tiefe von 65 cm. Die Schicht, wo unser Fund eingelagert war, bestand aus Verwitterungslehm der jüngeren Alluvialperiode (Abb. 2 c); unter diesem Alluvium lag noch eine ältere Alluvialschicht, welche aus kleinen Kieselsteinen und grobkörnigem Sand bestand (Abb. 2 b). Noch tiefer gehend, stiess man auf oligo-cänen Sandstein (Abb. 2 a).

Bei der vorsichtigen Präparation des Grabes erschien zuerst ein zerschlagener Krug (Abb. 3 A), dann der obere Teil einer grossen Tonschale (Abb. 3 B); hierauf kam ein Schädel zum Vorschein (Abb. 3 C); ihm folgte ein Bronzeschwert (Abb. 3 D); unter dem Schwert lagen Bein- und Armknochen (Abb. 3 E, S). An dem Oberarm waren zwei Bronze-Armringe (Abb. 3 F). Am Ende des Schwertes erschienen Rippen (Abb. 3 H) und die Reste von Beckenknochen (Abb. 3 I). In der Nähe des Schwertgriffes, zwischen 2 Steinen, befanden sich Reste eines eisernen Messers oder Dolches (Abb. 3 J), dessen Griff mit 20 Stück kleinen Bronzenägeln (Abb. 4 a), das Griffende jedoch mit einem Bronzeplättchen (Abb. 3 K u. 4 b) verziert waren. Alsdann erblickte ich 2 kleine Gefässe (Abb. 3 L u. M), eine Bronzeahle (Abb. 3), die eiserne Spitze einer Lanze, unter welcher der Unterkiefer eines Pferdeschädels lag (Abb. 6 u. 3 U). Zwischen dem Schädel und der Tonschale lagen diverse Fingerknochen, an denen sich Bronzeringe befanden (Abb. 3 T u. 5). Nachdem ich von der grossen Schale die Erde



entfernt hatte, bemerkte ich in ihr Reste eines menschlichen Unterkiefers mit Zähnen und einem Tonteller (Abb. 3P), auf dem ein Eilbogenknochen lag. Unter verschiedenen Beckenknochenresten sammelte ich 37 geschliffene Karneolperlen (Abb. 8), ein Stück Quarzperle (Abb. 9), zwei dicke (Abb. 10) u. 15 (Abb. 11) dünne glasartige Perlen und auch 3 halbkugelförmige Bronzeknöpfe (Abb. 7). Hiermit war dann der Inhalt des aufgedeckten Grabes erschöpft.

Der Boden der Gruft war flach geebnet und lag 17,2 m über dem Wasserspiegel des Flusses. Die Länge des Grabbodens war 1,4 m, die Breite—1,3 m, sodass sie kreisförmig schien, auch war sie aller Wahrscheinlichkeit nach mit Kieselsteinen ausgelegt, welche überall auf dem Erdboden zerstreut lagen; diese Annahme wird dadurch bestärkt, dass auf gleicher Höhe mit dem Grabhügel Kiesel nur in den Grenzen des Grabes zu finden ist, während er ausserhalb dieser Grenzen nicht mehr nachzuweisen ist. Wie die Gruft jedoch mit den Kieselsteinen ausgelegt war, oder zu welch anderem Zwecke hier dieselben verwendet wurden, war nicht festzustellen. Desgleichen ist es unklar, in welcher Art die Gruft geschlossen wurde, denn, wie wir weiter sehen werden, wurde sie mit Erde nicht zugeschüttet.

Die Reste des Gerisses weisen auf den Umstand hin, dass der Tote in sitzender Stellung, mit hochgezogenen Knien bestattet war (Abb. 13 A). Auf den Knien des Toten ruhte das Schwert, zu seiner Rechten war der Unterkiefer des Pferdes und darauf die Lanze. Vor dem Toten, auf 2 kleinen Steinen, lagen die Reste des eisernen Messers oder Dolches und zu beiden Seiten verschiedene Tongefäße. Der Tote sass gegen Süden gerichtet mit dem Rücken scheinbar an der Hinterwand des Grabes angelehnt, welch letzteres, wie schon oben gesagt war, frei von Erde gelassen und wahrscheinlich oben mit Stäben oder ähnlichem dicht zugedeckt und darauf erst Erde geschüttet wurde. Die sitzende Stellung des Toten lässt sich an der Lage der aufgefundenen Knochen sicher feststellen, wenn man sich diese in restauriertem Zustande vergegenwärtigt, wie wir dieses auf der Zeichnung getan. Der obere Teil dieser Zeichnung (Abb. 13 A) stellt die ursprüngliche Stellung des Toten auf Grund des unteren Teiles der Zeichnung dar, welche wiederum getreu der photographischen Aufnahme (Abb. 3) nachgebildet wurde. Auf die sitzende Stellung des Toten weisen die entsprechenden Entfernun-



gen zwischen den aufgefundenen Knochen hin, z. B. die Entfernung zwischen den Becken- und Mittelfussknochen.

Gräber derselben Art und mit analogem Inventar (Bronzeschwert mit stumpfem Ende und ähnlichen Verzierungen, Keramik) waren von Bayern auf dem Samthawro-Felde aufgedeckt und als «Kuppelgräber» oder die «der unteren Etage» bezeichnet (vgl. Untersuchungen über die ältesten Gräber- und Schatzfunde in Kaukasien, Berlin 1882, S. 28—40; Verhandl., 1882, S. 352; ferner noch P. S. Uwarowa: *Museum Caucasicum*, Bd. V, S. 69—71 u. Taf. VIII und Wyrouboff u. P. S. Uwarowa, Objets d'antiquité du Musée de la Soc. des amateurs d'archéologie au Caucase, Tiflis 1877 pl. III, fig. 4.

**Schädel.** Dem Schädel fehlt der Unterkiefer, so dass er ein Calvarium vorstellt. Nach dem von Welker aufgestellten Schema könnte der Schädel einem Menschen von 30—40 Jahren angehören. Beim Schädel ist der cerebrale Teil (das Neurokranium) gut entwickelt, der viscerale (das Splanchnokranium) dagegen schwach. Dies lässt darauf schliessen, dass es der Schädel eines Menschen war, der auf einer höheren Kulturstufe stand. Das Volumen des Schadelhohlraumes, seine Kapazität, beträgt 1367, 80 ccm.

**Schädelmessung.** Die Länge des Schädels von der Glabella bis zu dem Opisthokranion gemessen gleicht 193 mm. Die grösste Breite an der Stelle der grössten seitlichen Ausladung der Schädelkapsel ist 125 mm und die grösste Höhe zwischen Basion und Bregma—151 mm<sup>1</sup>. Wenn wir jetzt die Breite wie die Höhe in Prozenten zu der Länge ausdrücken, so ergibt sich folgendes:

der Längenbreitenindex—64,77,


der Längenhöheindex—78,24,

der Höhenbreitenindex—82,78.

Auf Grund des Längenbreitenindex, können wir den benannten Schädel zu den hyperdolichocephalen zählen; die Längenhöhen und Höhenbreitenindexe reihen ihn entsprechend in die hypsicephalen und tapeinocephalen ein. Die Horizontalkurve des Schädels ist ovoidisch.

**Stirnbein.** Seine Bogenlänge (Nasion—Bregma) beträgt 141 mm; die der Frontalsehne—118 mm, der frontale Bogensehnendenindex

<sup>1)</sup> Als Orientierungsebene des Schädels wird von mir die Ohraugen-ebene (Frankfurter Horizontale) genommen.



—86,52. Daraus ist zu schliessen, dass der Vorderteil des Gehirn gut entwickelt war.

**Scheitelbein.** Die Länge des Parietalbogens zwischen Bregma und Lambda ist 130 mm, die der Parietalsehne—118 mm und der parietale Bogensehnenindex—90,78.

**Hinterhauptsbein.** Es tritt nicht sehr hervor. Die Pro-tuberantia occipitalis externa erhält bei sagittalem Schnitt dieselbe Form, wie sie bei Broca in dessen Schema unter № 2 bezeichnet ist. Die Protuberantia occipitalis externa ist bedeutend weiter entfernt von Torus occipitalis, was in der Phylogenetis seine Ursache hat. Die Länge des Occipitalbogens beträgt 111 mm, die der Occipitalsehne—98 mm und sein Index (occipitaler Bogen-sehnenindex)—88,29.

**Mediansagittalbogen.** Die Länge desselben (Nasion—Opisthion) ist 382 mm. Die auf diese Länge sich beziehenden Sa-gittalbogenindexe von anthropologischer Bedeutung sind folgende: frontaler—36,91, parietaler—34,03, occipitaler—29,05.

**Schädelnähte.** Die Sutura coronalis (Abb. 17) ähnelt der bei Broca in dessen Schema unter № 2 angegebenen. Sutura sa-gittalis und Sutura lambdoidea sind sehr kompliziert und ähneln den bei Broca in dessen Schema unter № 4 angegebenen.

**Hinterhauptsloch.** Die Länge (Basion—Opisthion) ist 37 mm, die Breite—25 mm.

**Deformation.** Im Laufe der Zeit hat sich der Schädel in der Erde deformiert und eine plattere Form angenommen. Daher ist in Betracht zu ziehen, dass diese Deformation bei der Schädelmes-sung zu einem anderen Resultat geführt hat, ganz besonders für die Sehnenlänge. Im linken Teile des Os frontale zwischen Sutu-ra frontalis und coronalis, 27 mm von Bregma entfernt, ist eine Verletzung von ovoidischer Form zu bemerken (Abb. 17). Dieselbe ist 28 mm lang und 7 mm breit. Die Ränder der verletzten Stelle sind wieder ausgewachsen. Das zeugt davon, dass die Verwunde-te nach der Verletzung eine Zeitlang noch gelebt hat. Die verletzte Stelle ist keine Folge einer Trepanation, sondern durch einen Schlag mit einem harten Gegenstande (Stein, Speerspitze u. ä.) verursacht.

**Gesichtsschädel.** Die unterhalb des Stirnbeins gelegene Schädelpartie ist schwach ausgebildet. Ferner ist eine Reduktion

des Gebisses, wie auch die zunehmende Betonung des Gesichtssinnes auf Kosten des Geruchssinnes bemerkbar. Der Gesichtsschädel hat triangulare Form.

Die Obergesichtshöhe (Nasion—Prostion) ist 64 mm; sein Index aber 69,57, da die Jochbogenbreite 92 mm beträgt.

**Augen h ö h l e n.** Die Form derselben ist viereckig mit stark abgerundeten Ecken. Ihre Länge ist 38 mm, die Höhe—32 mm, der Index—84,21, daher können wir sie zu den Mesokonchen zählen.

**N a s e.** Höhe (Nasion—Nasospinale)—50 mm. Breite—21 mm. Index—42. Folglich, der Schädel gehört zu den Leptorhininen.

**Zähne.** Zähnenindex—41,8. Nach der von W. H. Flower aufgestellten Klassifikation gehören sie zu den Mikrodonten. Sie sind nicht cariös.

**Schädelgewicht.** Es beträgt 370 gr. Einige Teile fehlen; das Gewicht derselben kann nicht über 70—80 gr. betragen.

**W u c h s.** Auf Grund nur eines gut erhaltenen Oberarmknochens (Humerus) können wir den Schluss ziehen, dass der Wuchs des Semoawtschaler Menschen 1470 mm betrug.

**Geschlechtsbestimmung.** Benannter Schädel gehört einem Weibe. Dafür sprechen: der Habitus desselben, die kraniometrischen Messungen, das geringe Gewicht (absolutes und relatives), der dünne Scheitelknochen (4 mm), die Kapazität, das kleine Hinterhauptsloch, der schwach ausgebildete Processus mastoideus, das im Verhältnis zur Schädelkapsel kleine Gesicht, die schwache Entwicklung der Glabella und der Superciliarbögen, der fliehende Verlauf der Stirn, die deutliche Ausprägung der Stirn- und Scheitelhöcker, die starke Wölbung des Schädeldaches, kleine Zähne u. a.

Auch das vorgefundene Grabinventar, wie z. B. zwei Armringe ( $D=5,4$  cm) und fünf Fingerringe ( $D=1,8$  cm), eine Ahle und viele Perlen können als Beweismaterial für unsere Behauptung dienen.

**Skelett f u n d e v o n b e w a f f n e t e n W e i b e r n.** In der Literatur sind einige Fälle bekannt, wo in Weibergräbern Dolche aus Bronze gefunden wurden. In unserem Fund ist nebst einem Dolch auch ein Schwert und eine eiserne Speerspitze gefunden worden.

Als Montelius die mit Dolchen bewaffneten vorgefundenen Weberskelette mit den Amazonen in Verbindung brachte, so konnte er es mit weniger Recht als wir jetzt tun.

**Schwert.** Das semoawtschaler Schwert ist kurz. Seine Länge mit dem Griff beträgt 58 cm. Die Klingenlänge ist 43,3 cm, der Handgriff—8,2 cm, die Höhe des Knaufes—2,5 cm und dessen Durchmesser—4,5 cm.

Die Breite der Schwertklinge am oberen Ende ist 7,8 cm, am unteren—4,3 cm. Die Dicke der Klinge verjüngt sich den Schneiden zu. Die Dicke der Mittelrippe beträgt am oberen Ende 9 mm, am unteren—12 mm.

Auf beiden Seiten der Klinge sind unterhalb des Griffes gleiche Ornamentmuster eingeritzt, die die Form eines S—Spirales haben. Ähnliche Spirale kommen auf den trojanischen Pithoi vor, auch an den hettitischen Torpfeilern, an welchen die in Relief ausgemeisselte Abbildung eines Gottes oder Königs zu sehen ist, und an dem kaukasischen Gürtel.

Von deñ Spiralen abwärts läuft die Blutrille und dazwischen eine Zickzacklinie. Andere Zeichnungen oder Darstellungen besitzt unser Schwert nicht, doch besitzen manche Schwerter vom semoawtschaler Typus eingeritzte Abbildungen von Tieren (Hirsch u. Steinbock) und Fischgrätenmotive (Abb. 23).

Der Handgriff ist mit hervorstehenden Blättermotiven und geraden Linien verziert.

Der Knauf ist halbkugelförmig und auf demselben ist ein achtstrahliger Stern (Abb. 25) abgebildet. Dieser Stern kann die Venus sein, deren graphische Darstellung in der altorientalischen Welt üblich war. Dabei ist noch zu bemerken, dass die Bronzeschwerter vom semoawtschaler Typus fischschwanzförmige Enden haben (Abb. 23) und mit Fischgrätenmotiven verziert sind. Der Handgriff ist hohl und der Knauf durchbrochen (Abb. 25). In den durchbrochenen Stellen fanden sich Spuren verfaulten Holzes vor.

Handgriff und Klinge bestehen aus einem Stück; für den Guss derselben wurde eine «verlorene» Gussform benutzt. Die Spirale, die Zickzacklinie und die Blutrille sind aber nach dem Guss eingeritzt.

Der reich verzierte Handgriff, die Art der Bearbeitung und die ganze Schwertform legen Zeugnis von einer gut entwickelten Bronzetechnik ab.

Die Analyse des Schwertes ergab 90,07% Kupfer (Cu), 9,89% Zinn (Sn) und 0,04% Eisen (Fe); auch Spuren von Phosphor (P) sind vorhanden.



Unser Schwert steht durch die Form seines Handgriffs, des Knaufs, der Klinge u. a. in der Literatur einzig da. Daher kann es als besonderer Typus unter die schon vorhandenen eingereiht werden und das «semoawtschaler Schwert» genannt werden<sup>1</sup>.

Schwerter vom semoawtschaler Typus kommen bisher nur in Ost-Georgien vor und zwar auf dem linksseitigen Ufer des Kuraflusses<sup>2</sup>. Auf dem gegenüberliegenden Ufer finden sich Schwerter von ganz anderem Typus vor (Abb. 28).

Unser Schwert ist weder eingeführt noch ein Beutestück, sondern an Ort und Stelle verfertigt worden.

Die grosse Meinungsverschiedenheit in der Alters-Bestimmung der aufgedeckten grossen kaukasischen Gräberfelder, lässt auch eine genauere zeitliche Bestimmung unseres Schwertes nicht zu. Doch sind wir geneigt es kulturhistorisch in den Beginn des Eisenzeitalters zu versetzen und halten es für möglich die Zeit um das XIII Jahrhundert vor unserer Zeitrechnung ansehen zu dürfen.

Die **Armbänder** (Abb. 29), die am Unterarm vorgefunden wurden (Abb. 3 F), sind aus dickem Bronzedraht (0,6 cm) gebogen mit aufeinander liegenden Enden. Die Analyse derselben ergab 88,06% Kupfer, 9,31% Zinn und 2,63% andere Bestandteile.

Die **Fingerringe** (Abb. 5) sind aus dünnerem (2 mm) Bronzedraht gebogen mit den Armbändern ähnlichen Enden. Um den Ring herum laufen Querfurchen.

Die **Ahle** (Abb. 3 i) ist ein wenig verbogen und ihre Länge beträgt 10 cm.

Was die Reste der vorgefundenen **Eisengegenstände** anbelangt, so sind sie durch Rost derart verändert, dass ihre genaue Form nicht mehr bestimmt werden kann.

Die **Tongefässe** aus dem semoawtschaler Grabe sind graufarbig und auf der Drehscheibe verfertigt. Unter diesen Gefässen befindet sich eine grosse Schale, deren oberer Rand mit einem Rohr versehen ist (Abb. 3 B u. 30). Die Tiefe der Schale beträgt 175 mm und der obere Durchmesser—460 mm.

Der Krug ist weitbauchig (Abb. 3 A u. 32) und ähnelt den trojanischen (aus der Troja VI). Die Höhe des kruges ist 287 mm,

<sup>1)</sup> Das gewicht des Schwertes ist 1060 gr.

<sup>2)</sup> Die bisher unbekannt gebliebenen Schwerter sind auf unseren Tafeln IV, V, VI, VII u. VIII abgebildet.

der Durchmesser des Bauches 270 mm. Die Henkelöffnung ist für einen Erwachsenen zu gering.

Von den beiden Tontöpfen ist der eine weitbauchig und mit zwei kurzen einander gegenüber stehenden durchlochten Ansätzen versehen (Abb. 33 b u. 34 b), die zum Aufhängen dienen sollten. Die Höhe dieses Topfes ist 94 mm, der Durchmesser des Bauches 125 mm. Die Höhe des anderen Topfes ist 83 mm, der Durchmesser des Bauches 62 mm.

Die Gefäße sind ohne jegliche Ornamente, nur um den Krug laufen parallel zum oberen Rande drei Rinnen.

Die **Karneolperlen** (Abb. 8) sind sorgfältig bearbeitet und die natürliche Oberfläche poliert. Die Bohrlöcher an ihrer Innenwand sind glatt und nicht gleichmäßig, sodass eine grosse Enge der inneren Lochteile bemerkbar ist.

## სახელმწიფო, ნივთების და აღგილების მაჩვენებელი

ადელაიდა 158.  
 ავადმყოფი 190.  
 ავარელები 176.  
 ავსტრალიელი 158.  
 ავსტრიალიელი 160, 161, 164.  
 ავსტრია 176.  
 ავტანისტანი 208.  
 აზია 200.  
 აკადები 188.  
 აკლდამა 151, 176.  
 აკნაცია 206.  
 აკურა 206.  
 ალუვიონი (ახალი) 139.  
 ალუმინიუმი 215.  
 ამაზონი 180, 203.  
 ამერიკა 158.  
 ამონიალი 6. ამაზონი.  
 ამულეტი 170, 188.  
 ანალიზი (ქიმიური):  
     " მასვილის 193.  
     " სამაჯურის 206.  
     " ბეჭდის 210.  
     " მძივების 219.  
 ანთროპოლოგია 153.  
 ანუ-ადამ-ის (ტაძარი) 197.  
 არაბები 186.  
 არაბეთი 179.  
 არიელები 189, 190.  
 არაბარი 206.  
 ასურბანიბალი 187.  
 ასურელები 189, 197, 200, 206.  
 ასურეთი 201.  
 ატრიბუტი 189, 190.  
 აფრიკა 158, 215.  
 აღებ-შიცემბა 220.  
 აზალმთვარე 160.  
 აზალშენი 139.

ბაბილონელები 189, 197, 200.  
 ბაბილონი 187.  
 ბაზიონი 147.  
 ბაიერნი 202.  
 ბაკურცხე 184, 195, 200, 204.  
 ბანტუ 158.

ბარელიეფი (ხეთური) 200.  
 ბარბარი 147, 152.  
 ბაქო 205.  
 ბელაუ 182.  
 ბევედი 143, 157, 175, 210.  
 ბოდისი 205.  
 ბოინი (სოფელი) 206.  
 ბორნჰოლმი 155.  
 ბორსიბა 189.  
 ბოლასკე 182, 183, 203.  
 ბოშები 185.  
 ბრაზილეფალი 164.  
 ბუნი 210.  
 ბუშნი 177.  
 ბუშტი 162.

განჯა 206.  
 გველი 189, 190.  
 გნდე 181.  
 გორაკები 141.  
 გორადცვევი 201.  
 "გრაფიტი" 216.  
 გოსლე 177.

დანა 141, 142, 146, 194, 211.  
 დანაწილება (კლასობრივი) 220.  
 დანია 179.  
 "დადა-მზე" 190.  
 დეფორმაცია 168, 173, 177.  
 დიზნენტი 164.  
 დოლინცეფალი 164.  
 დოქტი 139, 141, 157, 213, 215.

ეგეოსი 196, 206.  
 ეგვაპტე 190, 194, 198, 199.  
 ეგვაპტელები 189, 190, 211.  
 ევა 190.  
 ელამი 189.  
 ებბირი 159.  
 ემუ 158.  
 ერმიტაჟი 205.  
 ესკიმისი 158, 160.  
 ექვეკუთხედი 218.  
 ერო 204.



- ვადა 181, 182, 183.  
ვაზიანი 176.  
ვარიეტეტი 162, 163, 164, 165, 168, 173,  
177, 178, 179.  
ვარსკვლავი 186, 187, 191, 205, 206.  
ვენერა 186, 188.  
ვეშაპი 190.  
ვინკლერი 200.  
ვირხოვი 200.  
  
ზანგები 215.  
ზარა 190.  
ზაქათალი 204, 205.  
ზელიგმანი 188.  
ზეცა 191.  
ზოდები 204, 208, 209.  
ზღვა 189, 196, 167, 203.  
  
თავის ქალა 141, 152, 163, 174.  
თალი 153.  
თევზი 189, 190, 194, 195.  
„თექუ-ხერხა“ 190.  
თვლები 191.  
თილისმა 187, 188.  
თხემის ბორცვები 175.  
      „ ძვალი 165.  
  
თაბანია 158.  
იდეოგრამა 187.  
ილინოსი 170.  
იმპირტი 209.  
ინდექსი (გბილების) 173.  
      (ორბიტას) 172.  
      (პირის სახის) 172.  
      (სიგრძე-სიგანის) 163, 164.  
      (სიგრძე-სიმალის) 163, 164.  
      (სიმალუე-სიგანის) 163, 164.  
ინგლისი 177.  
ინდოელები 185.  
ინდოეთი 158.  
ინდოსტანი 158.  
ინდუსტრია 192, 208.  
ირანელები 186.  
ირემი 189, 190, 191.  
ისარი 198.  
იუტლანდა 179.  
იტტარი 187.  
  
კალა 193, 208.  
კალაქანეთი 206.  
კაკაბეთი 204.  
კაპაციტეტი 175.  
კარნევალი 6. სარდლიყი.  
კასტმუნი 208.  
კეტი 194.  
კეფა 175.
- კეფის როკები 168.  
კეფის ძვალი 166.  
კეფის ხერელი 167.  
კეფტიუ 192.  
კეილები 143, 161, 173, 175, 194.  
კვარცი 143, 146, 218.  
კვიპროსი 192, 197, 199.  
კვირა (რვადლიანი) 186.  
კიმერები 176, 203.  
კიმერელები 6. კიმერები.  
კობანი 200, 201, 210, 215.  
კონდაკორი 202.  
კონუსი 215, 219.  
კოტა 192, 197.  
კოჭობი 213, 214, 215.  
„კუნგულა“ 166.  
კუპერ-კრიკ 158.  
კურგანი 204.  
  
ლენინგრანი 206.  
ლიოსი 149.  
ლიუცონი 160.  
ლურუთი 206.  
ლურსმანი 142, 191, 210.  
  
მავთული 211, 218.  
მაზრა (ყაზახის) 206.  
მადან 193, 208.  
მაკროცეფალი 175, 176, 177.  
მაჩხანი 204.  
მახათა 148, 157, 175, 210.  
მახვილი (სულუელების) 197.  
      (ბაბილონელების) 197.  
      (ევროპის) 197.  
      (კვიპროსის) 197.  
      (ჭრეტაშედ და ეგიპტეში აღმო-  
      ჩენილი) 198.  
      (ზემოაცემალის) 198.  
      (საბერძნეთის) 197.  
      (სირიელების) 197.  
      (ტალიშის) 196.  
      (ქადაბეგის) 196.  
      (ხეთთების) 197.  
მეზოცეფალი 164.  
მელანეზია 158.  
მენ-ხეპ-პა-სენება 199.  
მენჯი 141, 143, 147.  
მეოთხეული 139.  
მეტობიზმი 167.  
მეტსიკა 194.  
მიკენი 203.  
მილი 192, 211, 218.  
„მოდელი“ 192.  
მორგანი 200.  
მორგვი 211, 212, 214, 215.  
მონტელიუსი 200.



მოტივები (ფენის ფენის) 183.  
მურია 158, 159, 161.  
მური 217.  
მუხლის თავი 147, 148.  
მცირე აზა 199, 200, 206, 208.  
მძიები 143, 175, 219.

ნადალი 209.  
ნათელობება ნ. ხვიმენი.  
ნაკადები 141.  
ნეკრი 158.  
ნაცარი 158.  
ნაზმრი 157, 158.  
ნაჯახი 193, 194, 198, 203.  
ნეკნები 143.  
ნეოლითი 170, 198, 212.  
ნიბები 183, 189.  
ნიკლი 193.  
ნინიშმნდა (სოფელი) 204.  
ნიჟარა 182.  
ნიღბი 190.  
ნაწიბური 131.

ობსიდიანი 194.  
ოფანი 194.  
ოლგოცენი 139.  
ორბიტა 172.  
ორთოგნათი 173.  
ორმოსამარე 150, 151, 175, 176.

პალეოლითი 158, 160, 182, 198.  
პალესტინელები 200.  
პერგამენტები 187.  
პერუანელები 152.  
პითონ 183.  
პლანეტა 186, 187.  
პოლინეზია 158.  
პრეარაცია 141.  
პროგნათი 173.  
პროექცია 147, 150, 165, 166.  
პროტოტიპი 193, 194, 198.

ჟანგი (რკინისა) 215, 216.


რაზეს მეორე 200.  
რეოლები 204, 208, 209.  
„რედინ-ლაგერი“ 200, 201, 202, 205.  
რედუქცია 162, 172.  
რეკონსტრუქცია 150.  
რეხე 178.  
რეზა 193.  
რიო-გრანდე-ლა-სული 158, 160.  
რიტუალი 154, 155.  
რიყე 139, 141, 145.  
როსტოკევი 180.

საგურამო 154, 155, 157.  
საზოგადოება (გვაროვნული) 220.  
„საკვეთი“ 192.  
საკუთრება (კერძო) 220.  
სალმანასარ მეორე 197.  
სამარე 142, (სურ. 3), 150, 154, 155,  
157.  
სამარის ძირი 144.  
სამაჯური 141, 157, 175, 209, (სურ. 29).  
210.  
სამთავრო 200, 203.  
სამკაული 142.  
სანთელი 156, 192, 216.  
სარგონ მეორე 187.  
სარგონი 201.  
სარდესი 219.  
სარდინია 155.  
სარდალიკი 143, 145, 157, 218.  
სართაჭალა 176.  
სარიუკონი ნ. სარგონი.  
სატევარი 5. ხანჯალი.  
საურანგეთი 155, 176.  
საშეილოსი 159.  
საცხებისა 204.  
სემიტები 178, 179.  
სილა 145.  
სომბოლო (ლეთაების) 187.  
სინბი 208.  
სირია 178.  
სირიელები 192, 197.  
სომხეთი 178.  
საარსეთი 178, 208.  
სპილენძი 193, 208.  
სპირალი 156, 182, 183, 192, 205, 206.  
სპირტი 146.  
სტელა 187.  
სტროგონოვი 205.  
სუზა 187.  
„სული“ (ბოროტი) 190.  
სუმერები 188.  
სქემა 150.

ტალღერენი 200.  
ტალიში 196, 197.  
ტასმაცმელი 147.  
ტასმანია 158.  
ტერფის ძვლები 143.  
ტიპოლოგია 195, 196.  
ტოლსტიო 202.  
ტომი 177.  
ტომსი 176.  
ტოტები 147.  
ტოტმოს მესამე 199.  
ტრეანაცია 170, 171.  
ტროია 183.  
ტყვია 193.



- უვაროვა 202.  
 უვაროვა 200.  
 უთანასწორობა (ეკონომიკური) 220.  
 უნგრეთი 176.  
 ურართუ 201.  
 ურნა 158, 160.  
 ფალანგები 143, 144.  
 ფარბექოვსკი 201.  
 ფატმა 188.  
 ფელდშატი 215.  
 ფერი 139.  
 ფიალი 141, 143, 157, 210, 211, 212,  
     215.  
 ფიბულა 102, 203.  
 ფილისტერები 192, 197.  
 ფილოგენეზი 166.  
 ფირფიტა 142, 210.  
 ფის 216.  
 ფიზერი 178.  
 ფიცრები 147.  
 ფორაკა 165.  
 ფორმაცია (საზოგადოებრივი) 220.  
 ფოსფორი 193.  
 ფრაგმენტები 211.  
 ფუნჯი 141.  
 ფხა 192.  
 ქამარი 183.  
 ქარვა 191.  
 ქედაბეჭი 183, 196, 206.  
 ქერჩი 176.  
 ქეცე 190.  
 ქეის ხანა 159.  
 ქეიშა-ქვა 139.  
 ქოთანი 142.  
 ქონი 216.  
 „ქურის ქმით“ 172.  
 ლილი 143, 145, 210, სურ. 7.  
 ლმერთი (სიყვარულის) 187.  
     (ომის) 187.  
 ლმერთქალი 190.  
 ჟალი 156, 191, 192, 208.  
 ჟა 143, 146, 152, 173, 174.  
 ჟირიმი 176.  
 ჟუთი 158.  
 ზაბანი 158.  
 ზანტრი 200.  
 ზაზარი 183.  
 ზელლაჭი 146.  
 ზევიცარია 208.  
 ზევცია 208.  
 ზუბი 143, 144, 146, 157, 180, 198, 204,  
     210.  
 ჩომჩხი 144, 146, 148, 149, 151, 152, 154,  
     174.  
 „ჩრდილო-რასა“ 178, 179.  
 ცეცხლი 158.  
 ციბირი 176.  
 ცული 203.  
     „ამაზონის“ 204.  
 ცხენი 143.  
 ცვეირი 173.  
 ძვალი (შუბლის) 165, 167.  
 წესწყობილება (გვაროვნული) 220.  
 წვივი 147.  
 წინააზიელები 190.  
 წრე 147.  
 ჭირისუფალი 159.  
 ჭურჭელი 146, 151, 152.  
 ხალხი 177.  
 ხახი (ნიბებიანი) ნ. ნიკბები.  
 ხათუზალი 200.  
 ხაჯალი (ქვის) 190, 194, 195, სურ. 27.  
 ხვიძენი 194.  
 ხეთები 178, 182, 183, 197, 200, 206.  
 ხელქო 203.  
 ხელი 188.  
 „ხადო“ 187.  
 ჯამი 143, 212.  
 ჰალლშტადტი 203.  
 ჰამის 188.  
 ჰიბრიდი 208, 220.  
 ჰიქსისები 200.  
 ჰმეის 188.  
 ჰოტენტოტები 158.




1

2

3

4

გ. ნიაზაძე, ზემოავჭალის სამარე.



1

2


3

4

გ. ნიორაძე, ზემოავჭალის სამარე.



გ. ნოორაძე, ზემოავჭალის სამარე.




1

2

3

4

გ. ნიორაძე, ზემოავჭალის სამარე.



გ. ნიორაძე, ზემოავჭალის სამარე.

№ 115/450

KL253273





สำนักหอสมุดแห่งชาติ  
ประเทศไทย